ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

9 სექტემბრიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული დეტექტივი
დანაშაული აღარ მოხდება
ტომი 8
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი

ორშაბათი, 15 სექტემბერი, 2014 №218 (6529) ფასი: 30 თეთრი

„ქართული ოცნებიდან“ გარიცხული მურმან დუმბაძე ოპოზიციაში გადადის

გვ.3

დაპირისპირება მმართველ გუნდში

„სამწუხაროდ, მეჰმან დუმბაძე ცდილობდა, უხეშად ჩახეულიყო აჭარის მთავრობის საქმიანობაში. ჯერ ჯიდევ ბიძინა ივანიშვილმა ახალითხელი გააფრთხილა იგი სიტყვიერად, აღარ ჩახეულიყო მასში".

გვ.2

არჩილ გამზარდია: „ივანიშვილი მარგველაშვილის სახით ახალ ფილიალს ქმნის“

„აფხაზეთში სერიოზული ცვლილებები მოხდება“

გვ.6

რა გზავნილს უნდა ველოდოთ სოხუმიდან

კახა კალაძე: „მურმან დუმბაძე აჭარის მეთაურის უფლებამოსილებაში პირდაპირ ერეოდა“

— გვ. 3 —

ISSN 1987-9385

„მარგველაშვილს პოლიტიკური მომავალი არ ექნება, თუ „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდება“

გვ.4

არჩილ გამზარდია: „ივანიშვილი მარგველაშვილის სახით ახალ ფილიალს ქმნის“

შორენა მარსაგიშვილი

მახითავს თუ ახა ქვეყანას ისევ ბიძინა ივანიშვიილი, ჰას უნდა მივანეჭოთ მისი გაცხახება, ახსებობს თუ ახა ქვეყანაში პოლიტიკუჩი ჯჩიზისი – ამ თემებზე „ახაე თაობას" საზოგადოებჩივი ჯომუნიკაციების ჯვლევისა და განვითაჩების ცენტჩის ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი ახჩიე გამზახჩია ესაებჩება.

– ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუ ტრადიციულად სკანდალური აღმოჩნდა. ამ ინტერვიუს შემდეგ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გაეროში წასვლაზე უარი თქვა. ნიშნავს თუ არა ეს იმას რომ ქვეყანას ისევ ექსპრემიერი მართავს? და თუ ეს ასეა რისი მაჩვენებელია?

– სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს არც ერთი არგუმენტი, რომ ამ აზრს შევეწინააღმდეგოთ, თითქმის ყველა მოვლენა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ადასტურებს იმას, რომ ივანიშვილი მხოლოდ ფორმალურად არის ჩამოცილებული ხელისუფლებას და სინამდვილეში ნაბიჯის გადადგმა არ ხდება მის გარეშე. როდესაც პრემიერ მინისტრი მის აზრს უპირატეს აზრად მიიჩნევს და არც მალავს ამას, სრულიად გასაკვირია, რატომ არ არის ბიძინა ივანიშვილის აზრი თანაბრად პრიორიტეტული სხვა მრავალი ადამიანის მსგავსად ან რომელი კრიტერიუმების საფუძველზე ინარჩუნებს ის იმავე გავლენას, რომელიც ჰქონდა პრემიერობის დროს. ქვეყნებს ჰყავთ პრეზიდენტები და ყოფილი პრეზიდენტები, ხშირად ყოფილი პრეზიდენტები განსაკუთრებულ როლსაც თამაშობენ მიმდინარე ლიდერებისა და ქვეყნის ცხოვრებაში, მაგრამ ისინიც კი განსაზღვრულ ჩარჩოებში არიან მოქცეულები და ლიდერები არ აღიარებენ ყოფილების უპირატესობას მოქმედზე. ბოლოს და ბოლოს, თუ ამა თუ იმ ადამიანურ რესურსს აქვს კანონიერი უფლება და ასევე სურვილი ქვეყნის მართვისა, მან უნდა მიიღოს კიდეც ეს უფლება შესაბამისი პასუხისმგებლობით. ივანიშვილის შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ უფლებას და არა პასუხისმგებლობას. მის მიერ შექმნილი კოლექტივი (გუნდის ნიშან-თვისებებს „ქართულ ოცნებას“ ვერ მივაწერთ) კი იმდენად სუსტი ადამიანური რესურსებისგან შედგება, რომ იციან ივანიშვილის ნების გარეშე მათ ნაბიჯის გადადგმის საშუალება არ ექნებათ, ასევე იციან, რომ მათი მოქმედების აქტივობა ძალიან მცირეა, ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ „ისარგებლონ დროით“ და მაქსიმალურად სათავისოდ გამოიყენონ მიმდინარე პროცესები. „ქართულ ოცნებაში“ მრავალი პირი იმდენად უსახურია, რომ მათ მტრებიც კი არ ჰყავთ მოწინააღმდეგე ბანაკებში;

დღევანდელი ხელისუფლების მთავარი წამოსაძახებელი ნაციონალური მოძრაობის დამარცხებაა, მაგრამ თუ მათ მიმდინარე გავლენებსა და „ქართული ოცნების“ მიერვე მიცემული პერსპექტივების მიხედვით ვიმსჯელებთ, ვშიშობ, ეს „მიღწევაც“ ნაკლებად წამოსაძახებელია, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელით საზოგადოების კვებასაც აქვს თავისი ვადები და ის უსასრულო არაა, როგორც ნაციონალური მოძრაობის თავისდროინდელი წამოძახებები „მოქალაქეთა კავშირისა“ და შევარდნაძის ხელისუფლებასთან მიმართებაში. ეს ორი მიმართება საოცრად იდენტურია ერთმანეთის.

ამ პროცესში კი ყოფილი პრემიერი ივანიშვილი, ერთი მხრივ წარმმართველია, მეორე მხრივ, თითქმის ნულოვანი პასუხისმგებლობის რეჟიმშია (მორალურ პასუხისმგებლობას თუ არ ჩავთვლით); არაერთი უცხოელი ჩინოსანი კულუარულ საუბრებში ჩვენს ორგანიზაციებთან იმაზეც საუბრობს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ძალიან უჭირთ ოფიციალურ საქართველოსთან კომუნიკაცია, რადგანაც რეალურ ლიდერთან წვდომა არ აქვთ, ფორმალურ ლიდერებთან კი აზრს ვერ ხედავენ კონტაქტში.

– თავად გაეროს გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე რას იტყვით. რატომ იყო ღარიბაშვილისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი მარტო თავად წასულიყო ამ კონფერენციაზე. ან რატომ გაჯიუტდა მარგველაშვილი. რისი დამტკიცება სურდათ ამით?

– აქ მნიშვნელოვანია გავიაზროთ ეს „სიჯიუტეა“, როგორც ბიძინა ივანიშვილმა დაარქვა თუ ლეგალური უფლება საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისა მათ შორის. ან თუ სიჯიუტეა, მისი გამომწვევი რა შეიძლება იყოს. აქ საკითხთა რამდენიმე მახასიათებელი შეიძლება აღმოვაჩინოთ: ერთი, რომ მარგველაშვილი ამჟამად ლიდერად ქმნადობის პროცესშია, ის ეფექტურად გამოდის სხვადასხვა შეხვედრაზე და ქულებს იწერს, როგორც შიდა აუდიტორიასთან – საქართველოს საზოგადოებასთან, ასევე გარე აუდიტორიასთან – საერთაშორისო საზოგადოებასთან; რაც მეტია მისი შთამბეჭდაობა, მით მეტი გავლენის შესაძლებლობები ემატება მას, ამიტომაც მისი ამგვარი გასვლები მნიშვნელოვანი შესაძლებლობებია მარგველაშვილის ლიდერად ჩამოყალიბების პროცესში; შესაბამისად, თუ მას ხელი შეეშლება, მისი დინამიკა ნაკლები იქნება; ასევე ხელი ეშლება მის „დამოუკიდებელი ლიდერის“ შესაძლო საიმიჯო მახასიათებელს; საზოგადოება მას სისუსტედ უთვლის, რომ მან პრინციპულობა არ გამოიჩინა და მკვეთრად არ შეეწინააღმდეგა ბიძინა ივანიშვილის სურვილს.

– ივანიშვილმა თქვა, რომ მარგველაშვილი მთავრობას კონკურენტად მიიჩნევდაო. ამის ნიშნები ჩანდა? ივანიშვილი ხშირად ამაყობს რომ ზუსტ პროგნოზებს და კარგ არჩევანს აკეთებს. რატომ შეცდა მარგველაშვილს არჩევაში, მართლა დაიჯერა რომ ის პლასტელინი იქნებოდა.

– რთულია თქმა ივანიშვილი რამდენად ზუსტ პროგნოზებს აკეთებს, რადგან საქმე გვაქვს არა იმდენად ანალიტიკოსთან, არამედ მოვლენის შემქმნელ ძალაუფალთან; ეს სხვადასხვა კატეგორიის მახასიათებლებია; იმის თქმაც რთულია, მარგველაშვილი არ აღმოჩნდა „პლასტელინი“ თუ მარგველაშვილის სახით ახალ ფილიალს ქმნის საკუთარი ძალაუფლების განსახორციელებლად, რადგან მიმდინარე ტემპს და გარემოებებს თუ გავითვალისწინებთ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ნაკლებად პერსპექტიული უნდა იყოს გრძელვადიან პერსპექტივებში; ბიზნესის ადმინისტრირებაში არსებობს მეთოდი, რომლის მიხედვითაც შესაძლოა ერთსა და იმავე მომხმარებელზე გათვლილი ორი განსხვავებული მიმწოდებელი შექმნა, ერთმანეთთან კონკურენციაშიც მათ შორის, მაგრამ მფლობელი იყოს ერთი ანუ მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, ორივე მათგანი ერთ მფლობელზე იმუშავებს და ამ მიწოდების პროცესშიც ამ ერთი მფლობელის ინტერესები და სურვილები იქნება წარმოდგენილი. ამდენად, ძნელია ახლა ვთქვათ, ივანიშვილი „გაოცებული“ დატოვა მარგველაშვილმა თუ ამ პროცესის შემოქმედი თავად ივანიშვილია.

– უკვე დიდი ხანია აცხადებენ, რომ მარგველაშვილი ნაციონალებისკენ გადაიხრება. ამ ამბების შემდეგ კი კიდევ უფრო აქტუალური გახდა ეს თემა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– რასაც ვადევნებ თვალს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პროცესიც შეიძლება ივანიშვილის პროდუქციის წარმოების ნაწილი იყოს. ბიძინა ივანიშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ ის ებრძვის არა ნაციონალურ მოძრაობას მთლიანობაში, არამედ მიხეილ სააკაშვილს; თუ ჩვენ დასაშვებად ჩავთვლით, რომ მარგველაშვილს სამომავლოდ შესაძლოა პარტნიორებად მოევლინოს „ნაციონალური მოძრაობა“, არ იქნება ბოლომდე ფუჭი თვალსაზრისი, რომ ნაციონალური მოძრაობა ამით თავისდაუნებურად ივანიშვილის წყალზე დატრიალდეს, ეს ერთი შეხედვით ნაკლებად დამაჯერებლად მოჩანს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ნაციონალურ მოძრაობას ლიდერების სერიოზული დეფიციტი აქვს, რაც მათ სიცოცხლისუნარიანობას უშლის ხელს, მარგველაშვილისა და მათი ერთობლიობა ლოგიკურია რომ სწორედ სააკაშვილის ჩამოცილებაზე უნდა იყოს გათვლილი.

მეორე მხრივ, თუ ამ შესაძლო სცენარის განხორციელება ვერ მოხერხდება, მაშინ რჩება შანსი ე.წ. „მესამე ძალა“ მარგველაშვილმა შექმნას, რამაც შესაძლოა სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ ჩაანაცვლოს დროთა განმავლობაში;

ჩვენ რეალურად დღემდე ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ომთან გვაქვს საქმე და მიმდინარე მოვლენები მხოლოდ ანარეკლი და ბრძოლებია ამ ომში.

თუ მარგველაშვილს რეალობაში ნაწილობრივ მაინც აქვს პირადი მიზნები და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, მას სულაც არ უნდა აწყობდეს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ან სხვა რომელიმე ამჟამად აქტიურ პარტიასთან ღია კავშირი, რადგანაც თუ მისი დინამიკა გაგრძელდება, მისთვის უფრო სასურველი იქნებოდა ალტერნატიული ძალის ჩამოყალიბება თანდათან, სადაც ეტაპობრივად გააერთიანებდა იმ ადამიანებს, რომელიც გაცვეთილ პოლიტიკურ ძალებთან ნაკლებად იქნება ასოცირებული;

– გუშინ, 14 სექტემბერს, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა. სადაც განსხვავებული მოსაზრებების გამო პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე პარტიიდან გარიცხეს. ამ გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ?

– თავისთავად მოვლენა პარტიიდან კონტროლს გასული პირის მიმართ სასჯელია; საუბარი რომ იყოს სხვა რომელიმე პირზე, შეიძლებოდა უფრო მეტად მოგვწადინებინა მიზეზების მოძიება, მაგრამ ამ პიროვნებასთან დაკავშირებით ეს აქტი სრულიად ლოგიკურია, თუმცა „ქართული ოცნების“ სხვა წევრებისთვისაც, ჩანს, ეს უნდა იყოს სიგნალი, რომ ბოლომდე დაემორჩილონ „ქართული ოცნების“ მოთხოვნებსა და ჩარჩოებს. სხვათა შორის, მსგავსი მიდგომები ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობასაც და პარტიის ქცევის წინააღმდეგ წასულ პირებს პარტიიდან რიცხავდა; თუმცა, ვიმეორებ, მურმან დუმბაძის შემთხვევაში ჩემს ერთ მეგობარს დავეთანხმებოდი, რომელმაც გამოთქვა, როგორ ჩარიცხეს ესაა საკითხავი, თორემ სწორადაც მოიქცნენ, თუ გარიცხესო.

– ექსპერტების და პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებული კრიზისის განმუხტვის მიზნით ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს. არის თუ არა ეს ყველაფერი კრიზისი და სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ დაპირისპირებამ?

– შესაძლო ვადამდელი არჩევნები სრულიად უშინაარსოდ მიმაჩნია, რადგან პოლიტიკურ ბაზარზე ჩვენ პროდუქტი არ გვაქვს, ასარჩევიც შესაბამისად არაფერია. ამ თავისებურ „პოლიტიკურ კრიზისს“ ჩვენთან პირდაპირი მმართველობითი ჩავარდნები კი არა, რელატიურად უფრო ფართო მოცემულობა ქმნის, ჩვენ რეალურად ერთსა და იმავე წრეზე დავდივართ. ხელისუფლებაში მოდიან არა ახალი ადამიანები, არამედ ძველი ადამიანები ცვლიან დროდადრო როლებს; მთლიანობაში ეს საზოგადოებისთვისაც და სახელმწიფოსათვისაც წამგებიანია. ჩვენ არ ვართ პროგრესის პროცესში, რეალურად ხალხიცა და ქვეყანაც რეგრესის პროცესში ვართ და ამას სწორედ ადამიანური რესურსების და პიროვნების კრიზისი ქმნის ჩვენს გარშემო, უფრო სწორად, თითოეული ჩვენგანი ვქმნით, მიუხედავად იმისა, რომ თითს სხვისკენ ვიშვერთ, რეალურად, ნებისმიერი ჩვენს მიერ გაპროტესტებული პიროვნება ან გაერთიანება ჩვენი, საზოგადოების შეცდომის შედეგია. ნებისმიერ კრიზისს, რასაც ბოლო წლებში აქვს ჩვენთან ადგილი და იმას, რასაც მომავალში ექნება ადგილი, მთლიანობაში ჩვენი ნაკლები ინფორმირებულობის, ნაკლები მონდომებულობის, ნაკლები მსჯელობის და რაციონალურობის, სამაგიეროდ მომატებული იმპულსურობისა და მოუთმენლობის შედეგია; ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი, საზოგადოების შეცდომებზე ნაკლებად ვსაუბრობთ, მხოლოდ პოლიტიკურ სპექტრზე ვმსჯელობთ და გვგონია, რომ პრობლემების სათავეები ისინი არიან, წყალი სათავიდან იმღვრევა, ჩვენი პრობლემების სათავე კი მთლიანობაში მთელი საზოგადოება ვართ.

საკონსტიტუციო სასამართლომ უცხოელი მოსწავლეების სარჩელი დააკმაყოფილა

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ახალქალაქში მაცხოვრებელი 6 უცხოელი მოსწავლის (რუსეთისა და სომხეთის მოქალაქეები) სარჩელი, რის შედეგადაც ძალადაკარგულია კანონში არსებული ის ნორმები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აკისრებს ვალდებულებას, სასკოლო ვაუჩერის მისაღებად გადაიხადონ განსაზღვრული ოდენობის თანხა.

ახალგაზრდა ირუისტთა ასოციაციის აზრით, რომელიც სასამართლოში მოსწავლეების ინტერესებს იცავდა, ზოგადი განათლების მისაღებად უცხოელებისათვის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულების დაკისრება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, რომლითაც გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობა. ვინაიდან სასკოლო ვაუჩერს საქართველოს მოქალაქეები უსასყიდლოდ იღებდნენ, ხოლო უცხოელები ამისთვის საფასურს იხდიდნენ, ამით სხვა ქვეყნის მოქალაქეები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული.

გარდა ამისა, საიას მიაჩნდა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლს, სადაც მითითებულია, რომ განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება ყველას და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის უფლებას წარმოადგენს.

საია მიესალმება საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უდავოდ პროგრესულ გადაწყვეტილებას, რომელიც შესაბამისობაში მოდის სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.

საია ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით წარმატებას უსურვებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ 400-მდე მოსწავლეს, რომელთათვისაც დისკრიმინაციული საფასური სერიოზულ ტვირთს წარმოადგენდა ზოგადი განათლების მიღების გზაზე.

მედიანიუსი

ლაშა მახარაძის მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ოქროპირიძე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, გაასაჩივრებს

ლაშა მახარაძის მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ოქროპირიძე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. გიორგი ოქროპირიძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ ორ თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ოქროპირიძე ლაშა მახარაძის მკვლელობაში თავს უდანაშაულოდ თვლის.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2 სექტემბერს, ღამით, ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 1987 წელს დაბადებულ ლაშა მ.-ს რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა, გიორგი ო. კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ბრალდებული ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მიმალვას შეეცადა, რა დროსაც იგი ე.წ. „საზღვრის უკანონო“ გადაკვეთის ბრალდებით ცხინვალის რეგიონის დეფაქტო წარმომადგენლებმა დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებისა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლების აქტიური მუშაობის შედეგად, აღნიშნული პირი 12 სექტემბერს სოფელ ერგნეთში ქართულ მხარეს გადმოეცა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნებიდან“ გარიცხული მურმან დუმბაძე ოპოზიციაში გადადის

შორენა მარსაგიშვილი

ჯოალიცია „ქართული ოცნებაში" დიდი ამბები ტრიალებს. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიჯრიყვნის შემდეგ მეოცნებეებმა პარლამენტის ვიცე-სპიკერის მურმან დუმბაძისთვისაც მოიცალეს. მისი საკითხი პოლიტსაბჭოს სხდომამ განიხილა. სხდომას პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი უძღვებოდა. პოლიტსაბჭომ ვიცე-სპიკერი პარტიიდან გარიცხა.

ამ გადაწყვეტილებას წინ აჭარის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება უძღოდა. უნდობლობის გამოცხადება წინა კვირაში მოხდა. აჭარის მთავრობას უნდობლობა უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ გამოუცხადა.

აჭარელი მეოცნებეები ადგილობრივ მთავრობას უმოქმედობასა და კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებდნენ. მათ მოსაზრებებს იზიარებდა ბათუმის მაჟორიტარი მურმან დუმბაძე.

მისი თქმით, არსებობს უამრავი სამართლებრივი არგუმენტი, რომლის გამოც აჭარის რეგიონული მთავრობა უნდა გადადგეს. აღნიშნული პოზიციის დასაბუთებას მურმან დუმბაძე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს გუშინდელ სხდომაზეც შეეცადა.

მიმდინარე წლის 9 სექტემბერს ამ საკითხთან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ“ საგანგებო განცხადება გაავრცელა. პარტიამ აჭარის მთავრობისთვის გამოცხადებული უნდობლობა თვითნებურ ნაბიჯად შეაფასა.

ეს თვითნებური ნაბიჯი მურმან დუმბაძეს ძვირად დაუჯდა. გუშინ ის პარტიიდან გარიცხეს. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, მეოცნებეებს მისი გარიცხვა კარგა ხანია სურთ და ახლა შესაბამისი მომენტი ნახეს.

მურმან დუმბაძე სკანდალური პოლიტიკოსი გახლავთ. მას სკანდალები არც „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანების შემდეგ მოჰკლებია. მას შემდეგ, რაც ქვეყნის სათავეში ეს ხელისუფლება მოვიდა, ბათუმის მაჟორიტარის მიმართ გამუდმებით ისმის პრეტენზიები.

როგორც ამბობდნენ, დუმბაძე აჭარაში სულ თავის ნათესავებს ასაქმებდა. ეს ინფორმაცია არც ბათუმის მაჟორიტარმა უარყო. მისი თქმით, აჭარაში ყველა მისი ნათესავია და მხოლოდ ეს არის იმის მიზეზი, რომ მისი ნათესავები დასაქმდნენ. დუმბაძის ასეთი თავგამოდების გამო ბათუმს ხუმრობით მურმანსკიც კი დაარქვეს.

რამდენიმე თვის წინ ვიცე-სპიკერი კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია. მას პარტია „ქართული ოცნების“ წევრი მერაბ ღოღობერიძე გინებაში ადანაშაულებდა. უფრო ადრე დუმბაძე ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს დაუპირისპირდა. ეს დაპირისპირება აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთო ბერიძის გამო მოხდა.

გასული წლის მიწურულს მედიისთვის ცნობილი გახდა იმ ტენდერის შესახებ, რომელიც აჭარის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა. ამ ტენდერზე ავთო ბერიძისთვის ახალი ავტომანქანები უნდა შეეძინათ. ამას დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ხალხის აღშფოთებას მხარი „ოცნების“ ლიდერებმაც აუბეს. ბერიძე და მისი ავტოვნებანი კახა კალაძემაც შეაჩვენა. მოგვიანებით მას პრემიერი ღარიბაშვილიც შეუერთდა. ამის შემდეგ ის ტენდერი ჩაიშალა და ავთო ბერიძე კვლავ ძველი ავტოთი დადის.

უმაღლესი საბჭოს თავკაცს მურმან დუმბაძე გამოეხმაურა. მან კალაძეს ავტონომიური რესპუბლიკის შიდა საქმეებში ჩარევის გამო უსაყვედურა. ბათუმის მაჟორიტარი უპასუხოდ არც ვიცე-პრემიერს დაუტოვებია. თუმცა ეს დაპირისპირება მოგვარდა. თვითმმართველობის არჩევნებისთვის აჭარაში ხალხი პარტიულ სიაში კალაძემ ძირითადად დუმბაძის რჩევით შეიყვანა.

ახლა, ეტყობა, დუმბაძეს მეტისმეტი მოუ-

ვიდა. მეოცნებეებსაც მოსწყინდათ მისი თვითნებობა და ვიცე-სპიკერს განაჩენი გამოუტანეს.

ეს სასტიკი განაჩენი პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაახმოვანა. მისი თქმით,

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სამდივნომ ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატის, პარლამენტის ვიცე-სპიკერ მურმან დუმბაძის ქმედებებზე იმსჯელა და გადაწყვეტილება მიიღო.

– სამწუხაროდ, მურმან დუმბაძე ცდილობდა, უხუშად ჩარეულიყო აჭარის მთავრობის საქმიანობაში. ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ გააფრთხილა იგი სიტყვიერად, აღარ ჩარეულიყო აჭარის მთავრობის საქმიანობაში. ჩვენი მთავარი მონაპოვარი არის ის, რომ მოხდა ხელისუფლების რეალური გადანაწილება, მკაფიოდ გამიჯნულია პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, მათ შორის, აჭარის მთავრობის და აჭარის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები. სამწუხაროდ, მურმან დუმბაძის ქმედებები ძალიან სერიოზულ კითხვებს ბადებდა ჩვენში. მისი მცდელობა, რომ საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია როგორც აჭარის უმაღლესი საბჭო, ისე აჭარის მთავრობა, უშედეგოდ დასრულდა. ორი წლის შემდეგ და არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, იგი აგრძელებდა მსგავს დესტრუქციულ მოქმედებას. ამიტომ ჩვენ გავაანალიზეთ მისი ქმედებები და, სამდივნოს გადაწყვეტილებით, იგი გარიცხულია პარტია „ქართული ოცნებიდან“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი იმავე დროს პარლამენტის ვიცე-სპიკერიც არის. არ არის გამორიცხული, მას ეს თანამდებობაც დაატოვებინონ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძის თქმით, „ქართული ოცნება“ პარლამენტის ვიცესპიკერობიდან მურმან დუმბაძის გაწვევის საკითხზეც აპირებს მსჯელობას,

უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძის განცხადებით, პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პარლამენტში აჭარის დეპუტატიას პარლამენტის ვიცე-სპიკერის კვოტა გააჩნია და დუმბაძე სპიკერატში სწორედ ამ კვოტით არის წარდგენილი.

საგანელიძის განმარტებითვე, შეიცვლება თუ არა ვიცე-სპიკერის პოსტზე მურმან დუმბაძე – საკითხზე მსჯელობა გაიმართება აჭარის დეპუტაციასთან, ვისაც აქვს ვიცე-სპიკერის წარდგენის უფლებამოსილება.

საპარლამენტო უმრავლესობის დატოვების შესახებ დუმბაძემ უკვე გააკეთა განცხადება. ამბობს, რომ ის მოღვაწეობას ოპოზიციონერი დეპუტატის რანგში გააგრძელებს. ამტკიცებს, რომ მისი მოღვაწეობა პარლამენტში სერიოზულ რყევებს გამოიწვევს.

მან საოცნებო მთავრობას წინა მთავრობების ბედის გაზიარება უწინასწარმეტყველა. ის თავს პარტიიდან გარიცხულად არ თვლის და ამბობს, რომ თავად დატოვა პარტია.

– დაახლოებით 25 წელია, პოლიტიკაში ვარ და ყველა მთავრობა ამბობდა, რომ დესტრუქციულად ვიქცეოდი. ყველა მთავრობამ კრახით დაასრულა თავისი საქმიანობა. როცა მითხრეს, რომ პარტიიდან უნდა გავრიცხულიყავი, ვუპასუხე, რომ ეს იყო დაგვიანებული. მათ დავუსვი კითხვა, უჭერდნენ თუ არა მხარს აჭარის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას და იმას, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოს თავისი უფლებამოსილებები განეხორციელებინა. ისინი კატეგორიულად ამბობენ, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან. მე, ჩემი მხრივ, რამდენიმე დღის წინ ვთქვი, რომ თუკი პარტიის პოლიტსაბჭო არ დათანხმდება ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივას, მე პარტიის რიგებს დავტოვებ, – აღნიშნა მურმან დუმბაძემ.

მისივე თქმით, ამ თვალსაზრისით ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება დაგვიანებულია. მურმან დუმბაძე ამბობს, რომ რეგიონში არის ხელდასხმული, უნიათო მთავრობა, ხოლო თანამდებობებზე ხალხი ინიშნება უფრო მლიქვნელობის ხათრით, ვიდრე სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მურმან დუმბაძეს პარტიიდან რიცხავენ. 2011 წელს ის პარტიიდან რესპუბლიკელებმა გარიცხეს. იმ დროისთვის ის აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი და რესპუბლიკური პარტიის რეგიონული ოფისი ხელმძღვანელი იყო. პარტიიდან ის პარტიული წესდების რამდენიმე მუხლის დარღვევის საფუძველზე გარიცხეს. მას პარტიის ოფიციალურ კურსთან შეუსაბამო პოზიციაც აღმოაჩნდა.

საქმე ეხება უთანხმოებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის თაობაზე საქართველოსა და თურქეთს შორის შესაძლო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ბათუმში აზიზიეს მეჩეთის ხელახლა აშენებისა და რამდენიმე სხვა მეჩეთის რეკონსტრუქციის საანაცვლოდ უნდა მოხდეს თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ოშკის, ხანძთის, იშხნის სამონასტრო კომპლექსებისა და ოთხთა ეკლესიის რეაბილიტაცია.

დუმბაძე ეწინააღმდეგებოდა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის შესაძლო ხელახლა აშენებას. იგი ამ ფაქტის გასაპროტესტებლად ბათუმში 2011 წლის 23 მარტს გამართული აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

რესპუბლიკელებიდან გარიცხვის შემდეგ დუმბაძე სახალხო კრებას შეუერთდა. ის აქტიურად მონაწილეობდა 2011 წლის მაისში კრების მიერ მოწყობილ აქციებში. 26 მაისის დარბევისას ის რუსთაველის გამზირზე იყო. მას პოლიცია და ზონდერები სასტიკად გაუსწორდნენ. ესეც არ აკმარეს და ერთი თვით გაუშვეს ციხეში.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ დუმბაძე კრების აქტიური წევრი იყო. ამ ფრონტზე მისმა აქტიურობამ სულ რამდენიმე თვე გასტანა. 2011

წლის შემოდგომაზე ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გააკეთა განცხადება. დუმბაძე უმალ მის მხარეს გადავიდა და არც წაუგია. ის მეოცნებეებმა ბათუმის მაჟორიტარად დაასახელეს.

ის ამ პერიოდშიც გაეხვია შარში. მის გარშემო სკანდალი რესპუბლიკური პარტიის წევრ გიორგი მასალკინის მიმართ გაკეთებული განცხადების გამო აგორდა.

მურმან დუმბაძემ ქსენოფობიური განცხადება რესპუბლიკური პარტიის წევრ გიორგი მასალკინის მიმართ 2012 წლის 31 მარტს „ობიექტივის“ ჟურნალისტ ირმა ინაშვილთან სატელევიზიო ინტერვიუს დროს გააკეთა.

ინტერვიუ ბათუმის „25-ე არხის“ სტუდიაში შედგა და ბათუმში აზიზიეს მეჩეთის წინააღმდეგ აქციის ორგანიზებას შეეხებოდა. დუმბაძემ რესპუბლიკური პარტიის

ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი მასალკინი, რომელიც პირდაპირ ეთერში სატელეფონო ჩართვის დროს ამ აქციას გაემიჯნა, შემდეგი სიტყვებით მოიხსენია: „გიორგი მასალკინი არ არის გენით ქართველი. ვერ მიხვდა, რა არის საქართველო... ნახევარი წელი ვკამათობდით ამ საკითხზე. ოშკი გაგონილი არ აქვს, სანთელი არ დაუნთია. ოშკს მასწავლის ახლა გიორგი მასალკინი, რა არის? ... ქართველობაა მთავარი, ტერიტორიაა მთავარი, ღირსებაა მთავარი, სამშობლოა მთავარი, ჩემი წინაპრის სასაფლაოა მთავარი“.

ამ განცხადების გამო მოგვიანებით მან ბოდიშიც მოიხადა. ამ ბოდიშის გამო ის ბიძინა ივანიშვილმაც შეაქო.

ახლა ივანიშვილი მისი ქმედებებით უკმაყოფილოა. მურმან დუმბაძე დარწმუნებულია, რომ მისი გარიცხვის გადაწყვეტილება ექს-პრემიერმა მიიღო. ოცნებაში ასეთი გადაწყვეტილებები მის გარეშე მართლაც არ მიიღება.

ოცნების ლიდერები ახლა აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ დუმბაძე ცუდად ერეოდა აჭარის მთავრობის მუშაობაში. საინტერესოა, აქამდე რატომ არ ამჩნევდნენ ამას? 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული, იმას ამტკიცებდნენ რომ ბათუმის მაჟორიტარი ყველა საქმეში ერეოდა.

დუმბაძე მოღვაწეობას ოპოზიციონერი დეპუტატის რანგში გააგრძელებს და, როგორც გვეუბნება, ხმაურიან განცხადებებსაც გააკეთებს. საინტერესოა, დასწყევლის თუ არა მეოცნებეებს. ალბათ, გახსოვთ, არჩევნების წინ რომ დაიწყევლა, ვინც 5 ნომერს შემოხაზავს, ხელი გაუხმებაო. ნაციონალებს მისმა წყევლამ ცუდად უწია. კარგი იქნება, თუ მეოცნებე დეპუტატები აწი პარლამენტში გიშრის ქვებით ივლიან, მურმან დუმბაძის ავი თვალი რომ არ ეცეთ.

ხუმრობა იქით იყოს და დუმბაძის პარტიიდან გარიცხვა ლამაზი საქციელი არ არის. ისე გამოჩნდა, რომ ის განსხვავებული პოზიციის გამო დააწიოკეს. ამის შემდეგ ოცნებაში განსხვავებული აზრის გამოთქმას, ალბათ, აღარავინ გარისკავს.

კახა კალაძე: „მურმან დუმბაძე აჭარის მეთაურის უფლებამოსილებაში პირდაპირ ერეოდა“

ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე არაერთხელ იყო გაფრთხილებული, აჭარის მთავრობის საქმიანობაში არ ჩართულიყო, ის გაფრთხილებას მაინც არ ითვალისწინებდა.

კალაძემ ეს მურმან დუმბაძის პარტია „ქართული ოცნების“ გარიცხვის კომენტირებისას განაცხადა.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ვიცე-სპიკერი აჭარის მეთაურის უფლბამოსილებაში პირდაპირ ერეოდა.

„დუმბაძე არაერთხელ იქნა გაფრთხილებული ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იყო. დუმბაძე ერეოდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ საკრებულოს წევრები, სად უნდა დანიშნულიყვნენ. ის პირდაპირ ხაბაძის უფლებამოსილებაში ერეოდა. ის არაერთხელ იქნა გაფრთხილებული, მაგრამ ბატონი დუმბაძე ისევ ჩვეულ რეჟიმში აგრძელებდა მოღვაწეობას და ჩვენ შესაბამისი გადაწყვეტილება მივიღეთ“,– განაცხადა კახა კალაძემ.

ნიუსპრესი

ალექსი პეტრიაშვილი ლატვიის თავდაცვის მინისტრს შეხვდა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი ლატვიაში, რიგის მე-9 საერთაშორისო კონფერენციისა და სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ლატვიის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს, რაიმონდს ვეიონისს შეხვდა.

მხარეებმა უელსში გამართულ ნატო-ს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები და საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივები განიხილეს.

როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში აცხადებენ, ლატვიის თავდაცვის მინისტრმა განსაკუთრებით საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი აღნიშნა და ქვეყნებს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„მარგველაშვილს პოლიტიკური მომავალი არ ექნება, თუ „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდება“

ნონა ცაბაძე

ბიძინა ივანიშვილის მიერ პრეზიდენტ მარგველაშვილის მიმართ გამოთქმული კრიტიკა საზოგადოებაში ახალი განხილვების თემად იქცა. რამდენად ერევა ივანიშვილი ქვეყნის მართვაში, ვის ინტერესებს ემსახურებოდა აჟიოტაჟი გაეროში ვიზიტთან დაკავშირებით? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანს ესაუბრა.

ნანა დევდარიანი:

– ივანიშვილს ვერავინ აუკრძალავს, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება და შეხედულება, გინდ პრეზიდენტზე, გინდ პრემიერზე და გინდ მთავრობის წევრებზე და ზოგადად მიმდინარე პროცესებზე. რაც შეეხება იმას, მარგველაშვილი უნდა წასულიყო თუ არა, ამაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა. დავიწყოთ იმით, რომ ძალიან უხერხულია, როდესაც ასეთი კინკლაობაა ყველას დასანახად.

– საჯარო რომ გახადეს, ეს ქმნის უხერხულობას...

– რასაკვირველია. შიგნით, საკუთარ გუნდში შეუძლიათ ამაზე იმსჯელონ და რაღაცა დასკვნამდე მივიდნენ, მაგრამ ეს ახირება, რომ გინდა თუ არა პრეზიდენტი უნდა წავიდეს გაეროში, არაფერს ჰგავს! ერთადერთი ჰგავს იმას, რომ ნაციონალებმა წააქეზეს. იმიტომ, რომ ერთადერთი, ვისაც დღეს ხელს აძლევს ეს სიტუაცია, არის ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ყველანაირად ეცდება, რომ მმართველ გუნდში განხეთქილება შეიტანოს. ფილოსოფოსია კაცი და კი უნდა ხვდებოდეს, ამ თამაშის უკან რაც დგას და ამ თამაშში არ უნდა შედიოდეს!

– თუ მართლა ნაციონალებმა წააქეზეს, რატომ წამოეგო მათ ანკესს?

– ძალიან ადვილია ადამიანის წამოკიდება. მის გარემოცვაში ჩვენ ვხედავთ იმ ადამიანებს, ვინც არიან დაკავშირებული ნაციონალურ მოძრაობასთან. სახელების და გვარების ჩამოთვლას არ დავიწყებ, მაგრამ იმ იდეოლოგიის ხალხია მის გარემოცვაში, რაც გაგვიგია და ახლა ამის გარდა ალბათ კიდევ არიან მათნაირები, ვისაც ჩვენ არ ვიცნობთ, ან არ ვიცით, რომ იქ არიან. ამის გარდა, არის კიდევ მეგობრული კონტაქტები, ჯერ კიდევ თავისუფლების ინსტიტუტის ეპოქიდან. როგორც ჩანს, იმდენი ელაპარაკეს, რომ გადაადგმევინეს ეს ნაბიჯი, რომელშიც გონივრულობის ნასახიც არ არის.

– რამდენად გამოვა უკან ამ თამაშიდან მარგველაშვილი? საუბარია, რომ სწორედ მათთან ეძებს ის მოკავშირეებს. ნაციონალები მყავს მხედველობაში.

– თუ ბოლო ათმა წელიწადმა არ ასწავლა მას და არ დაანახა, რომ მათთან მოკავშირეობა კარგს არაფერს მოუტანს, პოლიტიკური მომავლის თვალსაზრისით, ეს უკვე მისი სერიოზული პრობლემაა. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ წარსულის პოლიტიკურ ძალასთან, მით უმეტეს, ამდენი დანაშაულის ჩამდენ პოლიტიკურ ძალასთან, ურთიერთობა მომგებიანი ნამდვილად არ არის.

– საკმაოდ ბევრს საუბრობენ მისი და გიგა ბოკერიას ახლო კავშირებზე...

– საერთოდ არის კატეგორია ადამიანების, ვინც ნაცმოძრაობაში იყო, ან ახლოს ნაცმოძრაობასთან, რომლებსაც აქვთ წარმოდგენა, რომ ბოკერია არის უჭკვიანესი ადამიანი. თავისთავად უკვე ეს შეხედულება ბევრზე მეტყველებს. ბოკერიაზე ჭკვიანი ადამიანი ცხოვრებაში ნანახი რომ არ გეყოლება, ეს სერიოზული პრობლემაა. ასე ფიქრობენ ისინი და როცა ადამიანს ჭკვიანად და ავტორიტეტად მიიჩნევ, თავისთავად მისი ნათქვამიც გჯერა.

– რას მოუტანს მარგველაშვილს ახალი თამაშის წამოწყება და საკუთარ პოლიტიკურ გუნდთან დაპირისპირება?

– ამაში კარგი არაფერი იქნება და მისი პოლიტიკური მომავალი ჩათვალეთ, რომ აღარ არსებობს. მაშინ ერთადერთი გზა რჩება, რომ შეუერთდეს ნაციონალურ მოძრაობას. დღეს ნაციონალურ მოძრაობას ადამიანი რომ

შეუერთდება, მას პოლიტიკასთან ბევრი საერთო აღარ აქვს.

– ითქვა, რომ ეს იყო შურისძიება ივანიშვილზე. პირველი კრიტიკა მარგველაშვილზე სწორედ ყოფილი პრემიერის მხრიდან წამოვიდა. ამიტომ გადადგა მარგველაშვილმა მსგავსი ნაბიჯი და დაუკავშირდა ნაციონალებსო...

– ეს იმდენად მეწვრილმანეობაა, რომ არც მინდა ამაზე ლაპარაკი. პოლიტიკაში როცა ხარ, რაღაცაზე ზემოთ დადგომა უნდა ისწავლო.

– ივანიშვილის ბოლო ინტერვიუ კვლავ კრიტიკით გამოირჩევა, რომლის ობიექტები ისევ ჟურნალისტები და ექსპერტები არიან. თქვენ რა მესიჯები ამოიკითხეთ მის ახალ განცხადებებში?

– ეს არის გაგრძელება იმისა, რაც იყო. ყველა ადამიანს აქვს უფლება, მოსწონდეს ან არ მოსწონდეს რომელიმე ჟურნალისტი, რომელიმე ტელეკომპანია. საბედნიეროდ, სააკაშვილის ეპოქისგან განსხვავებით, ივანიშვილი ამას სიტყვიერად ამბობს და ამის სრული უფლება აქვს. არც ერთ ტელეკომპანიაში არ შევარდნილან და ავტომატებით ჟურნალისტები არ დაუწვენიათ იატაკზე და ხალხისთვის არ უდევნიათ. ეს უნდა დავინახოთ. ვინ წაართვა მას უფლება, რომ თქვას საკუთარი აზრი?! ეს ხომ არავითარ ქმედებებში გამოხატულებას არ პოულობს?! არავითარი შევიწროვება იმის გამო, რომ რომელიღაც ჟურნალისტი არ მოსწონს, არ ყოფილა. კრიტიკას ვინ როგორ მიიღებს, თვითონ იმ ადამიანის პრობლემაა. ისევე, როგორც თვითონ ბიძინა ივანიშვილსაც უჭირს კრიტიკის მიღება. საკმაოდ უჭირს. ადამიანი პერსპექტივის მქონეა, როცა ნებისმიერი კრიტიკიდან შეუძლია, ჯანსაღი მარცვალი ამოიღოს. ეს თანაბრად ეხება როგორც მოქალაქე ივანიშვილს, ისე მოქალაქე ჟურნალისტებს.

– ივანიშვილმა თქვა, რომ მხოლოდ მაღალი პრემიებია ამ ხელისუფლების შეცდომა. რამდენად სწორი მიდგომაა, სხვა ნაკლი ვერ აღმოუჩინა ამ მთავრობას?

– ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი ძალიან მდიდარი ადამიანისა არის ის, რომ მას არ აქვს შეხება მოსახლეობის უმრავლესობის პრობლემასთან. წარმოდგენაც კი არა აქვს, რა პრობლემები აწუხებს იმ ადამიანებს, ვისთვისაც თვიდან თვემდე თავის გატანა არის პრობლემა. ამ საინფორმაციო ვაკუუმს უნდა ავსებდეს მისი საახლობლო წრე. ეს იქნებიან ექსპერტები, უბრალოდ ოჯახის მეგობრები თუ ასე შემდეგ. მაღალი პრემიები არის აღმაშფოთებელი ყველასთვის, მდიდრისთვისაც და ღარიბისთვისაც, მაგრამ ამის იქით უამრავი პრობლემაა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილამდე არ მიდის. თორემ მარტო ამაზე არ ილაპარაკებდა.

– ანუ მიზანმიმართულად ხდება ინფორმაციის დაბლოკვა?

– როგორც ჩანს. თუმცა ადამიანი თვითონ უნდა იყოს ამ ინფორმაციების მიღებით დაინტერესებული.

– პრესას ხომ მაინც ეცნობა...

– არა მგონია, იჯდეს და დილიდან ყველა გაზეთს კითხულობდეს, მაგრამ ამისთვის არსებობს სხვადასხვა სამსახურები, თუნდაც იგივე იმ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ამონაკრებს გაუკეთებს, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი დღევანდელ ინფორმაციებში. ეს თუ არ გაკეთდა, ის თვითონ ვერ მიადევნებს თვალს, ისეთი მასივია ინფორმაციის.

– გამოდის, არ უნდათ, რომ ივანიშვილი სრულ ინფორმაციას ფლობდეს?

– ეს ყოველთვის ასეა. ამაში უცნაური არაფერი არ არის. თუ ჩემზეა დამოკიდებული, რა ინფორმაცია მივაწოდო და ისიც იმაზეა დამოკიდებული, მე ხვალ როგორ ვიქნები, ყოველთვის ვეცდები, ისეთი სურათი მივაწოდო, რომ პრობლემები არ შემექმნას.

– შემოდგომაა, პოლიტიკური ცხოვრება აქტიურ ფაზაში შედის, პროცესების როგორ განვითარებას ელით? აქეთ ნაციონალები აპირებენ გააქტიურებას, იქით „ქართულ ოცნებას“ გამოეყოფა ერთი პოლიტიკური ჯგუფი.

– დავიწყოთ ბოლოდან, რომ ჯგუფი გამოეყოს მმართველ კოალიციას. ამის ყველა პერიოდი ჩავლილია, ბოლო იყო ადგილობრივი არჩევნები. ასეთი გადაჯგუფებები ხდება, როგორც წესი, არჩევნების წინ. საპარლამენტო არჩევნებამდე ორი წელია და პროცესებს ვნახავთ, როგორ განვითარდება. თავის დროზე ივანიშვილმა თქვა, თუ ვინმეს კოალიციიდან გასვლა უნდა და დამოუკიდებლად თამაში, კისერს მოიტეხსო და ეს ნამდვილად ასეა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ კოალიციაში შემავალი პარტიები ივანიშვილის გარეშე ბარიერსაც კი ვერ ლახავდნენ ხოლმე. ხელისუფლებაში ყოფნა იძლევა იმის საშუალებას, რომ გააძლიერო შენი პარტია, შენი გუნდი და შემდეგი არჩევნებისთვის მომზადებული იყო. მაგრამ ყველანაირ რესურსს აქვს საზღვარი. შიგნით კოალიციაშიც კონკურენცია არის და რომ არ იყოს, ეს იქნებოდა გასაკვირი. ამიტომ ახლა ამას არ ველოდები, მაგრამ კულუარული გარიგებები, მოლაპარაკებები და შეთანხმებები ნაციონალებთან შეიძლება იყოს. მაგრამ ამომრჩევლისთვის ამის ახსნა, რომელმაც სულ რაღაც ორი წლის წინ ნაციონალური მოძრაობა ძლივს მოიშორა თავიდან, იქნება უკიდურესად რთული. მე უფრო ველოდები, რომ გაძლიერდება ის არასაპარლამენტო ოპოზიციის სექტორი, რომელმაც ადგილობრივ არჩევნებში აჩვენა გარკვეული შედეგი. ამდენად იმედი იმისა, რომ ხალხი უკმაყოფილოა, „ქართულ ოცნებაზე“ უარს იტყვის და ნაციონალურ მოძრაობას აირჩევს, არის ზღაპარი. თუ არჩევანი იქნება, არჩევანი იქნება რომელიმე სხვა ძალის სასარგებლოდ. თუმცა თავისი ელექტორატი „ქართულ ოცნებას“ ისევ ბიძინა ივანიშვილის გამო არ დაეკარგება.

– მაშინ ასე გკითხავთ, რამდენად იქნება კვლავ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ სახე შემდეგ არჩევნებში?

– ერთადერთი შემთხვევა, რომ ბიძინა ივანიშვილი ისევ ჩაუდგეს სათავეში კოალიციას, მოხდება მაშინ, თუ ძალიან კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნება. ასევე უნდა იყოს საშიშროება ისევ იმ რეჟიმის მობრუნების. სხვა შემთხვევაში მე ამას ვერ ვხედავ, რომ მან კვლავ მოინდომოს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა. ის იმდენად უკმაყოფილოა მის მიერ დატოვებული მთავრობით, რომ არც ის არის გამორიცხული, ახალი კონფიგურაციის შექმნა მოინდომოს.

პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხები გიორგი არველაძის კომპანიაში ირიცხებოდა

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანი კანონი თავისუფლება“ პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდების ხარჯვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია გამართა.

როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ჭულუხაძემ 2008-2013 წლებში გაწეული ხარჯვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების წარმოდგენისას განმარტა, ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ქვეყნის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის №10 (17.01.2012), №804 (14.05.2012) ბრძანებებით და საქართველოს მთავრობის №1379 განკარგულებით გამოყოფილ თანხებზე, რომელიც ჯამში 1 105 197 ლარს შეადგენდა.

მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული ხელშეკრულებების ასლებიდან ირკვევა, რომ №805 ბრძანებით გაფორმდა ხელშეკრულება შპს „აი პი არ საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტთან“, რომლის ღირებულება 74 960 ლარს შეადგენდა“.

გარდა ამისა, ორგანიზაციამ პრეზიდენტ, მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცემული განკარგულებების შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებებზეც ისაუბრა.

„პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 1674 593 ლარი „საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას“ და „საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში საკონსულტაციო მომსახურებას“ მოხმარდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ განკარგულებების შესაბამისად ერთ-ერთი ხელშეკრულება გაფორმდა იმავე კომპანიასთან, რომელთანაც გააფორმა მთავრობის კანცელარიამ, კერძოდ შპს „აი პი არ საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტთან“. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ კომპანიასთან პრაქტიკულად ერთდროულად ხდება ხელშეკრულებების გაფორმება. ჯამში კომპანია „I ღ“-მა ამ 2 ხელშეკრულებით 145 760 ლარი მიიღო. ხელშკრულების პირობების შესაბამისად კომპანიას დამკვეთისთვის უნდა განეხორციელებინა კვლევები და დახმარებოდა უწყებებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით. მათ შორის, უნდა ეზრუნა მაშინდელი პრემიერის, ივანე მერაბიშვილის იმიჯზე, მოემზადებინა გამოსვლის სიტყვა, მთავარი მესიჯები და ა.შ.“ – განაცხადა გიორგი ჭულუხაძემ.

გარდა ამისა, ორგანიზაციის კვლევის თანხმად, პრეზიდენტის ადმინისტრაციას კიდევ გაფორმებული ჰქონდა ოთხი ხელშკრულება, საიდანაც სამი გაფორმებული იყო კომპანია „გრინბერთან“, ხოლო ერთი ლობისტურ კომპანია „ითაკა ჯგუფთან“ უშუალოდ „გრინბერგის“ სახელშეკრულებო თანხებმა შეადგინა 1 168 580 ლარი, ხოლო „ითაკა ჯგუფის“ – 435 212 ლარი. სწორედ „ითაკა ჯგუფის“ ხელშეკრულება ითვალისწინებდა ლობირებას საერთაშორისო დონეზე.

„მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ხელშეკრულებები ძირითადად 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედებდა, ანუ აშკარაა, რომ ხელშეკრულება ემსახურებოდა მაშინდელ მმართველ ძალას და ამ მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ახალი მთავრობის უფლებამოსილებების ძალაში შესვლამდე უნდა მომხდარიყო.

როგორც ანალიზის პროცესში გაირკვა კომპანია „აი პი არ საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტის“ დამფუძნებელი და 50 პროცენტიანი წილის მფლობელი იმ დროისათვის იყო მაშინდელი ხელისუფლების გუნდის წევრი და ყოფილი მინისტრი, გიორგი არველაძე. 2012 წლის 12 ოქტომბერს კომპანია გასხვისდა ლიტვის მოქალაქე ვინმე დავით ვარდიძეზე. გიორგი არველაძესთან ერთად კომპანიის 50 პროცენტი ასევე დათმო მისმა პარტნიორმა დიმიტრი კილაბერიძემ და დავით ვარდიძე 250 000 ლარად გახდა აღნიშნული კომპანიის 100 პროცენტის მფლობელი“, – აცხადებს ჭულუხაძე.

ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ სარეზერვო ფონდებიდან თანხების ხარჯვა დაუფარავად ხდებოდა პარტიული ინტერესებისთვის და ზემოთ მოცემული 2 7709 790 ლარი გახარჯულია საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა დაინტერესდეს საგამოძიებო ორგანოები შპს „აი პი არ საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტის“ საქმიანობით, რადგან ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ ხელშეკრულებით გათვლისწინებული 145 760 ლარი საკმაოდ მოცულობითია იმ სამუშაოებისათვის, რაც მას ევალებოდა ხელშეკრულებით.

ორგანიზაცია აღნიშნულ ინფორმაციას მიაწვდის შესაბამის ორგანოებს და მიმართავს მათ ზემოაღნიშნული საქმით დაინტერესდნენ.

მედიანიუსი

ბიძინა ივანიშვილი: „ვაფრთხილებ ჟურნალისტებს... ისინი არ არიან განსაკუთრებული ხალხი...“

ბიძინა ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ სპეციალური გადაცემაც კი მიუძღვნას იმაზე საუბარს თუ როგორია დღევანდელი მედია, ვინ არიან მეპატრონეები და ჟურნალისტები. გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, რომლის სრული ვერსიაც 15 სექტემბერს გამოქვეყნდება, ბიძინა ივანიშილი ამბობს, რომ ჟურნალისტები უნდა შეეგუონ, რომ ისინი არ არიან რაღაც განსაკუთრებული ხალხი,

„ძალიან ხშირად მიმიღია საყვედური, რომ ვბედავდი და მედიას ვსაყვედურობდი, მაგრამ მედია ვერ იქნება ტაბუდადებული თემა. მედიაში მომუშავე ადამიანები არიან ჩვეულებრივი ადამიანები – საზოგადოების წევრები და ისინიც უნდა ექვემდებარებოდნენ კონტროლსა და, თუ გნებავთ, კრიტიკას. როგორც ჩემს დროს, როცა ვახერხებდი კრიტიკული აზრი გამომეთქვა, ისე დღეს, თუკი დღევანდელი მთავრობიდან ამას ვინმე მოახერხებს, მიდის საშინელი აჟიოტაჟი, რომ ხდება მედიაზე ძალადობა და ა.შ. რა თქმა უნდა, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მედია თავისუფალი იყოს ხელისუფლებისგან (რადგან ყველაზე მეტად საშიშია, თუ ხელისუფლება ერევა და ძალადობს მედიაზე), მაგრამ ის, რომ ამ თემას ტაბუ დაადო – მედიას არ შეეხო და არ გააკრიტიკო, ეს ვერ მოხდება. მე ძალიან ხშირად შევეხები ამ თემას – ახლავე ვაფრთხილებ ჟურნალისტებს, შეიძლება სპეციალური გადაცემა და საათებიც მივუძღვნა იმის ანალიზს, როგორია დღევანდელი მედია, ვინ არიან მეპატრონეები, თუ ჟურნალისტები. მე ამას არ მოვერიდები. ეს განწყობა ახლავე მიიღონ და შეეგუონ ჟურნალისტები, რომ ისინი არ არიან რაღაც განსაკუთრებული ხალხი, არიან საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები, მათაც შეიძლება შეეშალოთ და იმ სურათს ნუ დახატავენ, რასაც საკაკაშვილი აკეთებს, რომ არის პოლიტიკურად დევნილი. ნებისმიერ მოქალაქეს, სადაც არ უნდა მსახურობდეს და რა პოზიციაც არ უნდა ეკავოს, უნდა ჰქონდეს კრიტიკული აზრის გამოთქმის უფლება. თუ ამას ბედავენ და ამ დროს მედიის თავისუფლებას თავს ვერავინ ესხმის, ეს არის იდეალური – თუ ამას მთავრობის წევრი ბედავს და ამავდროულად, არანაირი ნიშანი არაა, რომ მან შეიძლება მედიაზე ზეწოლა მოახდინოს ან მოახდინა, იდეალურია. ე.ი მას სუფთა ზურგი აქვს. ეს მის სიძლიერედ შეიძლება ჩავთვალოთ. ის იწვევს მედიას და უპასუხონ. დღეს ვერავინ იტყვის, რომ მედიასაშულებებს მთავრობის რომელიმე წევრის პასუხის უფლება არ აქვთ. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ იმისთვის, რომ მედია გახდეს უკეთესი. თუ მას დაედო ტაბუ და მასზე მსჯელობა აიკრძალა, ვერ გავბედეთ, კრიტიკული შენიშვნები გამოვთქვათ, ეს იქნება ყველაზე დიდი უბედურების მომტანი. სწორედ ეს იყო, რასაც მიაღწია საკაკაშვილმა – კრიტიკა არ სურდა ამ კაცს, მთელი მედიის მობილიზება მოახდინა და მივიღეთ შედეგი, კატასტროფისკენ მიყავდა ჩვენი ქვეყანა“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პირველი რადიო

მანანა კობახიძე: „დედა რომ მაგინოთ, მადლობა უნდა გითხრათ?!“

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ „ფეისბუქის“ გვერდზე პოსტი გამოაქვეყნა, სადაც წერს „ოცა სრულიად უცნობი ადამიანები უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებიან, ყოვლად უზნეო და ამორალური პოსტებს დაგიდებენ, აი, მეორე მეუღლემ, ან ძმამ ან შვილმა მართლა შუბლი რომ გაუხვრიტოს, მეორე არ გვითხრას ვინმემ კრიმინოგენული ვითარება დამძიმდა“– „ნეტგაზეთმა“ მანანა კობახიძეს პოსტის შესახებ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა:

– „როცა სრულიად უცნობი ადამიანები უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებიან, ყოვლად უზნეო და ამორალურ პოსტებს დაგიდებენ ეს ვითომ კაცები, სინმდვილეში არაკაცები, ბილწსიტყვაობენ და თანაც ქალის მიმართ, აი მერე მეუღლემ ან ძმამ ან შვილმა მართლა შუბლი რომ გაუხვრიტოს, მერე არ გვითხრას ვინმემ კრიმინოგენული ვითარება დამძიმდაო“ – ეს ნამდვილად თქვენი პოსტია?

– დიახ, ჩემია

– ამ პოსტიდან გამომდინარე, მიგაჩნიათ, რომ ბილწსიტყვაობის გამო შუბლს თუ გაუხვრიტავენ ვინმე,ს ეს კრიმინალი არ არის?

– ასე პირდაპირ გაიგეთ?

– დიახ, მე ასე გავიგე, თუ სხვა რამეს გულისხმობდით, იქნებ განგვიმარტოთ.

– რა თქმა უნდა, ეს არ არის პირდაპირი მნიშვნელობით ნათქვამი, რომ დედას თუ გვაგინებენ, უნდა ავიღოთ იარაღი და მოვკლათ, მაგრამ ასეთი სიტყვილი, რომელიც, სამწუხაროდ, გამოსჭვივის საზოგადოებაში, გარკვეული კატეგორია ადამიანებისგან, განსაკუთრებით პოლიტიკოსების მიმართ, როცა კრიტიკა აბსოლუტურად არ ეფუძნება კონკრეტულ გარემოებას, ფაქტებს და მეორეც, ასევე, მინდა ვთქვა, ლანძღვა არც ერთ შემთხვევაში არ არის გამართლებულ. თუ არ მოსწონთ ხელისუფლება და პოლიტიკოსი, რა თქმა უნდა, შეიძლება გვაკრიტიკონ, ნებისმიერი კრიტიკა მოისმინო, ადამიანმა გაიზიარო, ან არ გაიზიარო, მაგრამ „ფეისბუქის“ გვერდს რომ გახსნი და ეს გვერდი გახსნილი გაქვს არა საჭორაოდ, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებს სურთ რაღაცის მოწერა და თავის საკითხთან დაკავშირებით კომუნიკაცი. გინდა, რომ კონტაქტი გქონდეს ამომრჩეველთან თუნდაც „ფეისბუქის“ მეშვეობით და არის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა და არა საჭორაო სივრცე ჩემთვის, აი, იქ ჩემთვის უცხო ადამიანები, თუმცა სახელით და გვარით რომ არსებობენ, მიმაჩნია, რომ ძალიან არასწორად იქცევიან, ძალიან უშვერი, ბილწი, ბინძური სიტყვებით გაგინებენ, შეურაცხმყოფელ სტატუსს დაგიდებენ, რა თქმა უნდა, ადამიანი ხარ შენც პირადად და ადამიანია შენი ოჯახის წევრიც, შვილიც, მეუღლეც, რომელსაც ასევე აქვს წვდომა ამ ინფორმაციასთან. როცა სრულიად დაუმსახურებლად, მით უმეტეს, კიდევ ერთხელ ვამბობ, შეიძლება დაიმსახურო კრიტიკა და თმენის ვალდებულება გვაქვს, რომ მოვისმინოთ. ბილწსიტყვაობა და დედის გინება, რაც, სამწუხაროდ, ასე მომძლავრებულია, თავისთავად შეურაცხყოფაა და თავისთავად დანაშაულია ეს. იმიტომ, რომ ხულიგნობა სხვა არაფერი არაა, როცა საჯაროდ სივრცეში ადამიანს მიაყენებ შეურაცხყოფას, ეს არის ხულიგნობა. რა თქმა უნდა, ასეთი ქმედება უნდა ისჯებოდეს, სოციალურ ქსელში შეგაგინებენ, თუ ქუჩაში შეგაგინებენ, ეს არის ხულიგნობა, როცა საჯარო სივრცეში ხდება ასეთი ფაქტი.

– შეურაცხყოფაზე, პასუხად შუბლის გახვრეტა თქვენთვის ლეგიტიმური პასუხია?

– მე ეს არ მითქვამს.

– მაშინ როგორ უნდა გავიგოთ ეს ფრაზა?

– ყველას ერთნაირი ნერვები არ აქვს ამ ქვეყანაზე, ყველას ერთნაირი ნერვები და ფსიქიკა შეიძლება არ აქვს.

– ეს ვერ იქნება გამართლება, ის, რომ ნერვები მოგეშალა და ამიტომ ვიღაცას შუბლი გაუხვრიტე, მოგიწევს პასუხი აგო.

– კი, ბატონო, თუ ვინმე ჩაიდენს ამას, ის წავა ციხეში და, რა თქმა უნდა, პასუხს აგებს. მე კაცის კვლას კი არ ვამართლებ, მაგრამ შეიძლება ყველას არ აქვს ერთნაირი ნერვები და ყველას არ აქვს ერთნაირი თმენის უნარი. უმსგავსობის, ამორალობის, სიბინძურის და გინების თმენის უნარი ყველას ერთნაირი შეიძლება არ აღმოაჩნდეს და ამას მოჰყვეს რაღაც რეაქცია, ეს ვთქვი, როგორც შესაძლებლობა, ჰიპოთეზა და მოსაზრება. რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში ის ადამიანი დაისჯება, ვინც ამას განახორციელებს და მას პასუხს მოთხოვენ, მაგრამ მერე ნუ იტყვით, რომ კრიმინოგენული სიტუაცია დამძიმდა იმიტომ, რომ თუნდაც ყოფით ნიადაგზე ხდება [კრიმინალი].

– კრიმინალი ყოველთვის რაღაცის გამო ხდება, რატომ არ უნდა ილაპარაკონ მაშინ კრიმინალის გაზრდაზე?

– თქვენ ახლა რომ დედა მაგინოთ, მე მადლობა უნდა გითხრათ? დაწერეთ ახლა რასაც გეუბნებით, დედა რომ მაგინოთ ბინძური სიტყვებით, მე მადლობა უნდა გითხრათ?

– მადლობა არ უნდა მითხრათ, მაგრამ თქვენ თვითონ განმიმარტეთ, რომ ეს არის ხულიგნობა, ხულიგნობის გამო თქვენ შეგიძლიათ მე სამართლებრივად მომთხოვოთ პასუხი, იმაზე კი არ საუბრობთ პოსტში, რომ სამართლებრივად შეიძლება მოეთხოვოს იმ ადამიანებს პასუხი, რომელიც თქვენ მიმართ ან ნებისმიერი პოლიტიკოსის მიმართ იგინება. [არამედ შუბლის გახვრეტით]

– ხო მაგრამ, მე აქ ვამბობ, რომ ძალიან ბევრი დანაშაული ხდება იმის გამო, რომ ადამიანებს შეიძლება შეურაცხყოფას აყენებდნენ სრულიად დაუმსახურებლად, ადამიანებს დედას აგინებენ და ხშირად შეურაცხყოფის ნიადაგზე ჩვენ ქვეყანაში მომხდარა მკვლელობა, ეს არის რეალობა და რაც არის რეალობა, მეც ზუსტად ეს ვთქვი. მაგრამ ის მკვლელები ისჯებიან და ამაზე პასუხს აგებენ. არავინ არ უსვამს თავზე ხელს, იმიტომ, რომ მან დედის გინებისთვის ვიღაც მოკლა. ეს რეალობაა, რაც ფაქტია, ეს არის. მე ამ რეალობაზე მაქვს საუბარი.

– ქალბატონო მანანა, თქვენ, როგორც პარლამენტის ვიცესპიკერმა, სანამ პარლამენტში მოხვდებოდით, მანამდე უფლებადაცვით საქმიანობას ეწეოდით. რადგან თქვენ თვითონვე ამბობთ, რომ ეს არის რეალობა, რატომ არ გააკეთეთ თქვენს სტატუსში პირიქით, სამართლებრივ ჩარჩოებში რეაქციისკენ მოწოდება? რატომ ვსაუბრობთ შუბლის გახვრეტაზე და არა იმაზე, რომ [ვინს შეურაცხყოფას გაყენებთ] სამართლებრივად მოგეთხოვებათ პასუხი?

– იცით რა არის? უკაცრავად, მაგრამ თქვენ თუ სიტყვა-სიტყვით, პირდაპირი მნიშვნელობით ამ ყველაფერს იგებთ, მაშინ პირდაპირი მნიშვნელობით მოთხოვეთ პასუხი გივი თარგამაძეს, სულის ამოხდით რატომ ემუქრებოდა ხალხს და ეს სულის ამოხდა იყო თუ არა რეალური. მე ვფიქრობ, რომ მის შემთხვევაში ეს იყო რეალური, მართლა ხდიდნენ სულს ადამიანებს და ჩემს შემთხვევაში ნამდვილად არ ამიღია იარაღი, არ წავსულვარ და არ გამიხვრეტია შუბლი იმ ადამიანისთვის, ვინც სრულიად უსაფუძვლოდ და რა საფუძველი უნდა ჰქონდეს ბილწსიტყვაობას, მე არ ვიცი. კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ ვინმეს არ მოსწონს მანანა კობახიძე, როგორც პოლიტიკოსი, შეუძლია მაკრიტიკოს, მაგრამ ის, რომ უშვერი სიტყვებით ილანძღება და ბილწსიტყვაობს, შეიძლება გარდაცვლილ დედას აგინებს ადამიანს, ამაზე შეიძლება გაგიჩნდეს ასეთი რეაქცია და შეიძლება თქვა, რომ დიახ, პოლიტიკოსიც ადამიანია, სხვათა შორის, ეს მეწერა მე. თქვენ ფიქრობთ, რომ მე ადამიანი არ ვარ და შეგიძლიათ, რომ მე მაგინოთ დედა?

– არ გეუბნებით, ქალბატონო მანანა, მაგას, გინება და შურაცხყოფა კომუნიკაციის ფორმად საერთოდ არ მიმაჩნია.

– აბა, რატომ ჩაეჭიდეთ ამ ფრაზას, იარაღი არც მე, არც ჩემ ძმას, არც ჩემს მეუღლეს არ აუღია...

– გეკითხებით, რატომაც ჩავეჭიდე, რატომ არ მოუწოდეთ/ უთხარით, რომ ასეთი შეურაცხყოფის საპასუხოდ, თქვენ აგებთ სამართლებრივად პასუხს, იმიტომ, რომ ეს არის ხულიგნობა?

– ვის მოვუწოდო, მითხარით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეშილ ორგანიზაციებს?!

– ან მიგემართათ სამართალდამცავებისთვის, არ გიფიქრიათ ამაზე?

– თქვენ რა იცით, რომ არ მიფიქრია?

– თუ გიფიქრიათ, გეკითხებით და მითხარით...

მე კაცის კვლას კი არ ვამართლებ, მაგრამ შეიძლება ყველას არ აქვს ერთნაირი ნერვები და ყველას არ აქვს ერთნაირი თმენის უნარი. უმსგავსობის, ამორალობის, სიბინძურისა და გინების თმენის უნარი ყველას ერთნაირი შეიძლება არ აღმოაჩნდეს და ამას მოჰყვეს რაღაც რეაქცია. ეს ვთქვი, როგორც შესაძლებლობა, ჰიპოთეზა და მოსაზრება.

– იცით რა, მე მგონი, პოლიტიკოსსაც აქვს გამოხატვის თავისუფლება. ვერ გავიგე, პასუხს მთხოვთ, რატომ დავწერე ასე, ვერ გავიგე? გამოხატვის თავისუფლება აქვს პოლიტიკოსსაც, თქვენ არ მოგეწონათ ჩემი ნაზრევი, კი, ბატონო, გამაკრიტიკეთ. მე აქ ის განვმარტე, რომ ძალიან ბევრი აგრესია, ძალიან დიდი, ასე ვთქვათ, ბილწსიტყვაობა, დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება მოდის ადამიანებისგან, ნამდვილად არ არის კარგი და ნერვები ყველას ერთნაირი შეიძლება არ აღმოაჩნდეს. შეიძლება ამ ნიადაგზე მოხდეს დანაშაული, მერე, რა თქმა უნდა, ვიღაცები იტყვიან, რომ კრიმინოგენული ვითარება არის მძიმე, ეს არის რეალობა, მე ფაქტი ვთქვი. ძალიან ბევრი შემთხვევა ყოფილა ჩვენს რეალობაში, ისტორიაში, წარსულში, აწმყოში, როდესაც ადამიანის დედის გინების გამო, საჯაროდ გამოხატული ბილწსიტყვაობის გამო, შეიძლება მოხდეს დანაშაული და ადამიანმა აფექტის ნიადაგზე, სულიერი აღელვების ნიადაგზე შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული, ეს ჩვეულებრივად კრიმინოლოგიაში ახსნადია. დასაბუთებულია, როგორ მიდის ადამიანი უეცარ სულიერ აღელვებამდე,

– როცა ბილწსიტყვაობის გამო კლავენ ადამიანს და ვინმემ შეფასება რომ მისცეს, რომ კრიმინოგენული ვითარება დამძიმდა, არ არის თქვენთვის სამართლიანი ეს შენი შვნა?

– ბოდიშს ვიხდი და დაწერეთ ესეც ძალიან გთხოვთ, თქვენ რა გგონიათ, რომ მე ამ სტატუსით, ასე ვთქვათ, კრიმინოგენული ვითარების დაძაბვა/არდაძაბვა ან დანაშაულის რაოდენობის გაზრდა– არგაზრდაზე გავაკეთე აქცენტი? თქვენ ეს გგონიათ, ამაზე მეტს ვერ ჩაწვდით?

– მე რა შეკითხვებიც გამიჩნდა, გკითხეთ, გეკითხებით თქვენი პასუხებიდან გამომდინარე...

– კი, ბატონო, მე გამოვთქვი აზრი, პოლიტიკოსს აქვს გამოხატვის თავისუფლება, ისევე როგორც თქვენ ჟურნალისტს, ვიღაცას შეიძლება ჩემი ნათქვამი არ მოეწონოს, არც მე არ მომწონს, როდესაც შევდივარ „ფეისბუქზე“ და დედის გინება მხვდება, ეს არაკაცების საქციელია და კაცები არ შეიძლება ეწოდოს და მე ეს არ მომწონს.

– ქალბატონო მანანა, თქვენ რომ დაგეწერათ, რომ მე ეს [გინება] არ მომწონს, მე თქვენთან არ დავრეკავდი, მაგრამ როცა თქვენ ამბობთ....

– არსებობს ხო ჰიპერბოლიზაცია, გაზვიადება, გადატანითი მნიშვნელობით ან გაზვიადებული ფორმით თქმა, რომელიც არ ნიშნავს, რომ პირდაპირი გაგებით, მანანა კობახიძე აიღებს იარაღს და ვიღაცას შუბლს გაუხვრიტავს.

– რადგან თქვენი ეს პოსტი ინტერპრეტაციის ასეთ საშუალებას იძლევა, შეიძლება არა მხოლოდ მე, ბევრმა ადამიანმა იგივენაირად გაიგო ეს პოსტი.

– თუ მიზანმიმართულად მირეკავთ იმიტომ, რომ მანანა კობახიძეს ისეთი რამ ათქმევინოთ, რომ მერე ჩაიჭერთ ამას, მერე „ნაცმოძრაობა“ აიტაცებს, განცხადებებში წამომაძახებენ.

– მე არ ვიცი, თქვენ ოპონენტები რას და როგორ წამოგაძახებენ...

– კი, ბატონო, მათი უფლებაა, ვინც რა უნდა, ის წამომაძახოს, მაგრამ დედის გინების უფლება არავის არ აქვს. შეიძლება ძალიან არ მომწონს რომელიმე პოლიტიკოსი, პოლიტიკური ძალა, რომელიმე ქმედება, მაგრამ მე არ ვცდები ნორმალური კორექტული კრიტიკის ფარგლებს და არსად ბილწსიტყვაობა არ არის ჩემ საუბარში და არც იქნება, ვეწინააღმდეგები ყველაფერს რაც არის ნორმალური კორექტული კრიტიკის მიღმა, რაც არის ბილწსიტყვაობა, შეურაცხყოფა ადამიანისთვის, ქალბატონისთვის, მით უმეტე,ს მამაკაცისგან და ამას ყოველთვის შევეწინააღმდეგები. ასეთი ქმედებები შეიძლება იყოს მაპროვოცირებელი ზოგიერთისთვის და შეიძლება სულიერი აღელვების ნიადაგზე ადამიანმა დანაშაული ჩაიდინო. ტყუილად არ არის 11-ე მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში, იმიტომ, რომ ხდება ასეთ ნიადაგზე დანაშაულის ჩადენა. ეს არის ცუდი, როცა სიძულვილით, ღვარძლით, ლანძღვით და გინებით აავსეს სოციალური ქსელი და ზოგადად საზოგადოება დამძიმდა, სიძულვილის ფონით, ამაზეა საუბარი და არა იმაზე რომ მე ახლა იარაღს ავიღებ და შუბლს გავუხვრეტ.

– თქვენი აზრით, ძალადობის ლეგიტიმაციას არ ახდენთ ამ ფორმულირებით და ვიღაცა ვიღაცას რომ შეაგინებს, იმანაც შეიძლება აიღოს იარაღი და შუბლი გაუხვრიტოს?

– ჩემო ძვირფასო, მე კი არ მოვახდინე ლეგიტიმაცია, 111-ე მუხლი არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში სწორედ იმიტომ, რომ სულიერი აღელვების ნიადაგზე ადამიანები, სამწუხაროდ, ჩადიან დანაშაულს და ძალიან ადვილია ამ სულიერი აღელვების პროვოცირება, როცა სიძულვილით დაბინძურებული ფონია, არა მარტო სოციალურ ქსელში, არამედ ყველგან, ეს არის ფაქტი და მე ფაქტი ვთქვი, და თქვენ როგორც გინდათ, ისე გამომედავეთ და დავასრულებ თქვენთან საუბარს.

ნეტგაზეთი

დედოფლისწყაროში 4 წლის ბავშვმა სხეულის მძიმე დამწვრობა მიიღო

დედოფლისწყაროში 4 წლის ბავშვმა ეზოში თამაშისას, თივის ზვინს ცეცხლი წაუკიდა, რის შედეგადაც სხეულის მძიმე დამწვრობა მიიღო. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს. დაზარალდა ბავშვის დედაც, რომელიც ხანძრიდან შვილის გამოყვანას ცდილობდა.

რეანიმატოლოგ გიორგი წერეთლის განცხადებით, ბავშვი რეანიმაციულ განყოფილებაში, შოკურ მდგომარეობაში 80%-იანი დამწვრობით იმყოფება. ის დამწვრობის ცენტრში დედასთან ერთად გადაიყვანეს.

მედიანიუსი

საპატრულო დეპარტამენტი დარიალის სასაზღვრო-გამტარი პუნქტის მუშაობის გრაფიკთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს

დარიალის სასაზღვრო-გამტარი პუნქტი დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე მუშაობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი დარიალის სასაზღვრო-გამტარი პუნქტის მუშაობის გრაფიკთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს. როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში აცხადებენ, აღნიშნული გრაფიკი შესაძლო მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით მოქმედებს. „შესაძლო მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით, საპატრულო-გამტარი პუნქტი დარიალი დღეის მდგომარეობით მუშაობს შემდეგი რეჟიმით: დალის 6 საათიდან, საღამოს 7 საათამდე. ეს განპირობებულია იმით, რომ ღამის პირობებში, ნულოვანი ხილვადობის დროს შეუძლებელია რისკის მქონე მონაკვეთების ვიზუალური გაკონტროლება“, – აცხადებს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ლევან მაჭავარიანი.

ნიუსპრესი

ავტოავარიას მამაკაცი ემსხვერპლა

კახეთში, ყვარლის რაიონში, ფეხითმოსიარულე 78 წლის მამაკაცს ავტომობილი დაეჯახა და ის ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევა ლაგოდეხი-ყვარლის დამაკავშირებელ გზაზე მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ავტომობილს ყვარლის საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მართავდა, რომელიც სამართალდამცავებს თავად ჩაბარდა. საქმეზე მოკვლევას ყვარლის პოლიციის სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

ფოთში გარემოს დაბინძურებისთვის კომორის დროშით მცურავი გემი დაჯარიმდა

გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ფოთში კომორის დროშით მცურავი გემი 65 000 ლარით დააჯარიმეს.

როგორც გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში აცხადებენ, გემის დაჯარიმების მიზეზი ზღვაში ნავთობპროდუქტების შემცველი წყლების ჩაღვრა იყო. გემი საქართველოს ტერიტორიას აღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ დატოვებს.

მედიანიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

„აფხაზეთში სერიოზული ცვლილებები მოხდება“

რა გზავნილს უნდა ველოდოთ სოხუმიდან

გულიკო ბალაძე

უპარტიოთა მოძრაობის დამფუძნებელი, დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია აცხადებს, რომ რამდენიმე თვეში აუცილებლად იქნება გზავნილი აფხაზეთიდან.

– რამდენიმე თვეში საქართველოს საზოგადოება მიიღებს გზავნილს, რა შემთხვევაში არ გამორიცხავენ დღევანდელი აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტიდან სხვადასხვა დაჯგუფების წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგს, – განაცხადა ჩვენთან ინტერვიუში მამუკა გვაძაბიამ.

– ბატონო მამუკა, თუ გაქვთ ინფორმაცია, ხაჯიმბას მოყვანით აფხაზეთში ვითარება თუ შეიცვალა? ახალ პირობებში აფხაზები თავს კარგად გრძნობენ?

– კომუნისტებიდან მოყოლებული – გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილისა და დღევანდელი ხელისუფლებების დროს – ცენტრალური ხელისუფლებები აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ ბოლომდე ადეკვატური არასოდეს ყოფილან. კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ზეწოლას განიცდიდა. არც გამსახურდიას ხელისუფლება იყო ბოლომდე ადეკვატური. ოღონდ, მაშინ გასაგები მიზეზების გამო, ძლიერი აგენტურული ქსელი იყო. სუკის აგენტურა ძლიერი გახლდათ აფხაზეთშიც და თბილისიც.

– ხელისუფლებები ვერ ერკვეოდნენ კონფლიქტის ანატომიაში თუ ვერ სწვდებოდნენ ხასიათს იმ ადამიანებისას, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ?

– ცენტრალური ხელისუფლებები ბოლომდე ვერ სწვდებოდნენ პრობლემების არსს. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში რეგიონი თავისებურებებით ხასიათდება (პოლიტიკაც ამ თავისებურებების გათვალისწინებით უნდა ეწარმოებინათ). ასეა საქართველოს განუყოფელ ნაწილშიც, აფხაზეთში. აფხაზეთის რეგიონი თავისებურებებით ხასიათდებოდა. ამ თავისებურებებსა და მის არსს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ბოლომდე ვერ სწვდებოდა. რეგიონის თავისებურებების არსში ვერწვდომამ, აგენტურული ქსელის მუშაობამ, კრემლის ძალისხმევამ მიგვიყვანა კონფლიქტამდე. ამას კრემლი ქართველების ხელითაც აკეთებდა. ეს დღესაც გრძელდება, რომ საქართველო არ წავიდეს რუსეთის ორბიტიდან. ასე მოვედით დღემდე. ადეკვატური და ყოვლისმომცველი გაგება იმ პრობლემებისა, რაც აფხაზეთში იყო, ჩვენ აფხაზეთს არ დავკარგავდით. კომუნისტების დროს აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პარლამენტს შეეძლო ორი მესამედის ნახევრით ძალიან მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილების განხორციელება. ფაქტობრივად, 40 კაცს ანუ ერთ ეთნიკურ ჯგუფს შეეძლო საკონსტიტუციო ცვლილების მიღება. მე იმ პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელი ვიყავი, რომელსაც „მრგვალი მაგიდა“ ერქვა, მაგრამ იმ ცხუმ-აფხაზეთის „მრგვალ მაგიდაში“ ისეთი ატმოსფერო სუფევდა, რომ აქაც კვალიფიციურად, გეგმაზომიერად არ იყო ჩამოყალიბებული აფხაზეთში განსახორციელებელი პოლიტიკა. ყველა ცდილობდა თავისი პოლიტიკური კარიერის კეთებას იქ არსებულ პოლიტიკური კონიუნქტურის ჩაუწვდომლად. მსხვერპლის გაღება არავის უნდოდა, რომ კი არ ეამებინა ცენტრისთვის, არამედ სიმართლე ეთქვა. ვთქვათ, იგივე ყბადაღებული საარჩევნო კანონი, რომელსაც მე თავის დროზე აპარტეიდული საარჩევნო კანონი ვუწოდე. ამ კანონის მიზანი იყო, სტაბილიზაცია მოეტანა აფხაზეთში, ომი არ ყოფილიყო და აფხაზეთი არ დაგვეკარგა.

– ამას მიაღწიეს კიდეც. გადატრიალებამდე არაფერი მომხდარა.

– გადატრიალება უბედურება იყო. აფხაზეთი სოხუმში, გაგრასა და ოჩამჩირეში კი არ დაიკარგა, არამედ – თბილისში. შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა, აფხაზეთში თავისი ძალების მხარდაჭერით (რომელიც ჰყავდა მას ლომინაძისა და მისი ბანდის სახით) საომარი მოქმედებები გაჩაღებულიყო, რასაც მოჰყვა აფხაზეთის დაცემა, გენოციდი, ეთნოწმენდა და ქართველების დევნილებად ქცევა.

– პრობლემის არავითარი შესწავლა არ მომხდარა?

– პრობლემის არავითარი შესწავლა არ ხდებოდა. ყოველთვის შედეგს ებრძოდნენ. მიზეზს არასოდეს შებრძოლებიან. სააკაშვილი მოვიდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ლოზუნგით. აღმაშენებლის საფლავზე ფიცი დადო, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენდა. პირადად მეც ამ პათოსს ავყევი და ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ამ იმედებით ვცხოვრობდი (არც ერთ ხელისუფლებას არ ვლანძღავ და არც ვაქებ. უბრალოდ, ფაქტების კონსტატაციას ვახდენ). სააკაშვილის ხელისუფლებას ეგონა, ყველაფერს თავისი რესურსებით გააკეთებდა. ის ძალებიც კი არ ჩართო, რომლებიც კომპეტენტურნი იყვნენ აფხაზებთან კონტაქტის მოძებნის თვალსაზრისით. საერთოდ, უგულებელყვეს ისინი. პირადად მაქვს ამის გამოცდილება. ჩვენ გვქონდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რამდენიმე აფხაზის თბილისში ჩამოყვანას და აქ კონფერენციის ჩატარებას. ეს პროექტი სააკაშვილის ხელისუფლებამ უგულებელჰყო. ამას დაემატა კიდევ კოდორის ხეობის ოკუპაცია. რა თქმა უნდა, ეს ოკუპაცია მხოლოდ სააკაშვილის მთავრობას არ ბრალდება, ოკუპანტი მოდის, მაგრამ აქ მთავარი სხვაა.

– მთავარი ისაა, რომ იმ პოლიტიკამ, რასაც, ვთქვათ, სააკაშვილის ხელისუფლება ატარებდა, ამგვარი შედეგი მოიტანა.

– დიახ, ეს ფაქტია. საკმაოდ კომპეტენტური ხალხი სახელმწიფოებრივი საქმეებისაგან გარეთ დარჩა. მხედველობაში მაქვს აფხაზეთი და, ზოგადად, ოკუპირებული რეგიონები. დღევანდელი ხელისუფლება ყველაზე შორს წავიდა. დღევანდელი ხელისუფლება ძლივს ამოღერღავს ხოლმე ოკუპაციას. რუსეთთან დაპირისპირება არ უნდათ, დათვს ბაბაიას ეძახიან (ეს ჩემი პოზიციაა), მაგრამ ოხრახუშისა და ქინძის პოლიტიკამ არანაირი შედეგი არ გამოიღო დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების კუთხით. აქაც არაადეკვატურ აღქმასთან გვაქვს საქმე. სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხში მინისტრი ზაქარეიშვილი ამბობს, რომ თავისი პოზიცია არ გააჩნია უკრაინის მოვლენებთან და აფხაზეთთან პარალელის გავლებასთან დაკავშირებით. ეს მინისტრი ჩართული იყო გრანტების ჭამაში, აფხაზებთან ფულს იყოფდნენ. მე ყველა ხელისუფლება გავაკრიტიკე იმ მომენტებში, რაშიც ისინი სცოდავდნენ.

– ახლა სეპარატისტების ცოდვებზე ვილაპარაკოთ.

– ნაციონალ-სეპარატისტები და მათი მხარდამჭერი ოკუპანტები ვინ არიან, ვიცით, მაგრამ, როდესაც შენ ისე მოქმედებ, რომ სეპარატისტებს მისი გამოყენების საშუალებას აძლევ, ცუდია. მაგალითად, ჩვენ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნარჩენებს ვეძახით ლეგიტიმურ ხელისუფლებას. ფაქტობრივად, ნარჩენებია და ლეგიტიმურს ვეძახით. ეს უბიძგებს სეპარატისტებს, იქაც არსებულს ლეგიტიმური ეძახონ. არც თბილისში, არც მით უმეტეს, სოხუმში აფხაზეთს ლეგიტიმური ხელისუფლება არ ჰყავს. როცა დევნილები დაბრუნდებიან და არჩევნები ჩატარდება, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იქნება ხელისუფლება ლეგიტიმური. ნაციონალ-სეპარატისტებმა ჩაიდინეს დანაშაული კაცობრიობის წინაშე, მაგრამ ეს საკითხი არსად ფიგურირებს. ქართულ მხარეს არ უნდა ამის წამოწევა. ქართულმა მხარემ ეს რომ წამოსწიოს, მაშინდელი ქართული არალეგიტიმური შევარდნაძის ხელისუფლება იმავე პასუხისმგებლობის წინაშე დადგება, რა პასუხისმგებლობის წინაშეც დადგებიან ნაციონალ-სეპარატისტები.

– შევარდნაძე რომ გარდაიცვალა, სიკვდილის შემდეგ გაასამართლებენ?

– ისეთი ტენდენცია შეიმჩნევა, მავანი და მავანი, პოლიტიკის ბიჭბუჭები ცდილობენ, შევარდნაძეს შეახოცონ ხელი. შევარდნაძე გარდაცვლილია და ცდილობენ, თავი დაიძვრინონ და ყველაფერი შევარდნაძეს დააბრალონ. სხვათა შორის, შევარდნაძეს რომ არ ჰქონოდა აფხაზეთში თავისი მარიონეტების მხარდაჭერა, ისეთების, როგორებიც არიან გივი ლომინაძე, ვახტანგ ყოლბაია, გია გვაზავა, ეთერ ასტემიროვა და სხვები, რომლებიც თვეში ორსამჯერ დადიოდნენ სოხუმიდან თბილისში და მოითხოვდნენ ჯარების შეყვანას აფხაზეთში, შევარდნაძეს შეიძლება სხვა გადაწყვეტილება მიეღო.

– თქვენ ნამდვილად იცით, რომ ეს ადამიანები დადიოდნენ შევარდნაძესთან ჯარის შეყვანის მოთხოვნით?

– მე ჩემს სიტყვებზე პასუხს ვაგებ. ამ საკითხზე მტკიცებულებების მოძიება შეიძლება. საერთოდ, ნაციონალ-სეპარატისტები და ოკუპანტები მოქმედებენ საქართველოსა და ქართული სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. რუსეთს თავისი ინტერესები აქვს, მარიონეტი ხელისუფლება ყოველთვის სჭირდება აფხაზეთში, რომ თავისი ინტერესები გაიმყაროს შავ ზღვაზე.

– დღეს რა ხდება აფხაზეთში?

– საქართველოს განუყოფელი ნაწილი, აფხაზეთი, დღეს ოკუპირებულია. ოკუპანტმა, საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა დიდმა სახელმწიფომ აღიარა მისი დამოუკიდებლობა, საოკუპაციო ჯარი დგას და ერთიმანეთის მიყოლებით იცვლებიან მარიონეტული რეჟიმები. დღეს არის მორიგი მარიონეტის ზეობის ეპოქა. ხაჯიმბა ისეთივეა, როგორიც იყვნენ არძინბა და სხვები.

– სხვათა შორის, ძალიან მალე გავრცელდა ინფორმაცია, ხაჯიმბა გარდაიცვალაო, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა.

– რამდენადაც ვიცი, ინსულტზე ლაპარაკობდნენ. შეიძლება, ეს თავიანთი გავრცელებული დეზინფორმაცია ყოფილიყო საზოგადოებრივი აზრის მოსასინჯად. აფხაზური საზოგადოება პოლიტიკური კულტურის მხრივ ძალიან დაბალ საფეხურზეა. იქ 6 რეგისტრირებული პოლიტიკური ორგანიზაციაა. ოთხი კანდიდატიდან მხოლოდ ერთი წამოაყენა პარტიამ, დანარჩენი კი – საინიციატივო ჯგუფებმა. აფხაზეთში კლანური ინტერესები უფრო ჭარბობს, ვიდრე პოლიტიკურ იდეოლოგიაზე აღმოცენებული პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები. ხაჯიმბა იყო ერთადერთი, რომელიც ორგანიზაციამ წამოაყენა. ხაჯიმბამ პირველივე ტურში, ფაქტობრივად, ვერ გაიმარჯვა. ე.წ. საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი წევრისაგან მაქვს ინფორმაცია, რომ ხაჯიმბას ცოტ-ცოტა წაუმატეს, რომ პირველ ტურშივე მორჩენილიყო, რაც რუსეთს აწყობდა, რადგან რუსეთმა ბოლო ორი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს თავისი ხელდასხმული კანდიდატი ვერ გაიყვანა. არც ბაღაფშსა და არც ანქვაბს მხარს არ უჭერდნენ. ამიტომ ძალიან პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ პირველ ტურშივე გაემარჯვა. ფაქტობრივად ვერ გაიმარჯვა, მაგრამ პირველ ტურშივე გაამარჯვებინეს. თუმცა, გაყალბების გამპროტესტებელიც არავინ იქნება. მთავარი მომენტი იყო ის, რომ ამ არჩევნებიდან 28 ათასი ქართველი (გალის რაიონიდან) გამოეთიშა.

– ამ ქართველებს მათ ე.წ. არჩევნებში მონაწილეობის მიღება უნდოდათ?

– ქართველებმა მომავალში აფხაზეთში მიმდინარე ნებისმიერ პოლიტიკურ პროცესში უნდა მიიღონ მონაწილეობა. ახლა იმ აზრზე ვარ, რადგან აფხაზეთში არიან, იქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა უნდა მიიღონ. ეს არის რეალობა. იმას არ ვამბობ, ნაციონალ-სეპარატისტებმა რეფერენდუმი რომ ჩაატარონ, ქართველებმა დამოუკიდებლობას უნდა მისცენ ხმა-მეთქი. ხაჯიმბამ ძალიან კარგად იცის, რომ ქართველების 99% მის წინააღმდეგ მისცემდა ხმას. ამიტომ ქართველების არჩევნებიდან გამოთიშვით ხაჯიმბას გამარჯვების მეტი შანსი გაუჩნდა. გალის რაიონის მოსახლეობიდან მაქსიმუმ 500-მა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ყველაზე სერიოზული და ძლიერი საყრდენი აფხაზეთში რუსეთს სომხური დიასპორა ჰყავს, მათ შორის, ეჩმიაძინის წარმომადგენლობა აფხაზეთში.

– ეჩმიაძინს წამომადგენლობა ჰყავს აფხაზეთში?

– დიახ. გაგრაში შენდება სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია. მათ თავიანთი მოტივაცია აქვთ. თან დიასპორას ხელმძღვანელობის აბსოლუტური უმრავლესობა გერეუსა და ფეესბეს თანამშრომლებია. გერეუსა და ფსბ-სთან თანამშრომლობის გარეშე, სომხური დიასპორას ხელმძღვანელობაში მოსვლა გამორიცხულია.

– ხალხმა როგორ მიიღო ხაჯიმბა?

– ნორმალურად.

– რეალური იყო ის პროტესტი, რაც ჩვენ ვნახეთ?

– თავის დროზე ვთქვი, ანქვაბს იგივე მოელის, რაც ბაღაფშს-მეთქი. მაინცდამაინც სიკვდილს არ ვგულისხმობდი. უბრალოდ, ვიცოდი, რომ მოსკოვი არც ბაღაფშს ენდობოდა და არც ანქვაბს.

– ხაჯიმბას ბოლომდე ენდობიან?

– ხაჯიმბას, თითქმის ბოლომდე ენდობიან. ხაჯიმბა მაინც მათი გამოზრდილია.

– ხაჯიმბა დათანხმდება რუსეთთან ასოცირებას? თუ ხაჯიმბა ასოცირებას დათანხმდება, აფხაზი უხუცესები და აფხაზური საზოგადოება ამას მოუწონებენ?

– მე ვიცი, რომ ევრაზიულ საბაჟო კავშირში ასოცირებაზეა საუბარი. რუსეთის ინტერესებშია საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნა. უნდა, რკინიგზით გიუმრის ბაზას დაუკავშირდეს. საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა მოსკოვში, რომელსაც ინტერნეტში ვუყურე. იქ გაშიფრული იყო რუსეთის ინტერესები. – გიუმრის ბაზა, შავ ზღვაზე გასასვლელი, ბათუმის პორტი, ანაკლიის პორტი, ე სარის რუსეთის ინტერესების საგანი. ახლა ანაკლიის პორტი უნდა მომარაგდეს სომხეთის ელექტროენერგიით, რომელსაც ივანიშვილის ხელდასხმული პიროვნება, ქარჩავა დებს თავის ინვესტიციებს სომხეთში. „გაზპრომით“ უნდა მოამარაგონ სომხეთის ელექტროსადგური, რომელმაც ანაკლიის პორტს უნდა მიაწოდოს ელექტროენერგია. ეს არის რუსეთის ლიბერალური იმპერიის ერთ-ერთი საცეცი.

– რუსეთის ამგვარი ინტერესების ლაბირინთში ხაჯიმბას პატარა კლანს რა შეუძლია? როგორ შეეწინააღმდეგებიან?

– აქ შეწინააღმდეგებაზე საუბარი არ არის. აქ საუბარია რუსეთის ქმედებებისთვის ტონის მიცემაზე.

– აფხაზი საზოგადოება ამას თანხმდება?

– აფხაზი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ნაციონალისტურადაა განწყობილი. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ასევე ანტიქართულადაც არიან განწყობილნი.

– ანტიქართველობა მათ რაიმეში შველის ამ შემთხვევაში? ხომ ჩაყლაპავს დიდი რუსეთი.

– ზოგი ხვდება ამას, ზოგი – ვერა. ამიტომ მინდა, ერთი პატარა გზავნილი გავახმაურო თქვენი გაზეთის მეშვეობით. რამდენიმე თვეში ქართველი საზოგადოება გაიგებს აფხაზური საზოგადოების საკმაოდ სოლიდური ნაწილის გზავნილს ქართული სახელმწიფოსა და ხელისუფლების მიმართ.

– როგორ გზავნილს?

– როგორი გზავნილი იქნება, ამას გაიგებთ. ჯერ ვერ ვიტყვი, როგორი გზავნილი იქნება. მე დაახლოებით ვიცი, როგორი გზავნილი იქნება, მაგრამ ვერ ვისაუბრებ. როდის გახმაურდება, არ ვიცი, მაგრამ რამდენიმე თვეში აუცილებლად იქნება გზავნილი, რა შემთხვევაში არ გამორიცხავენ დღევანდელი აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტიდან სხვადასხვა დაჯგუფების წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგს. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, თუ რაიმე რადიკალური არ მოხდა, ამ გზავნილს ქართველი საზოგადოება გაიგებს.

გააჩერებს თუ არა რუსეთის ახალი შეზღუდვები?

ევროპა გაზს იმარაგებს

მარიკა მჭედლიშვილი

–აშშ შეეწინააღმდეგება რუსეთის შეჭრას უკრაინაში მიუხედავად იმისა, რომ მოვლენები ამ ქვეყანაში არ წარმოადგენს რამენაირ საფრთხეს ამერიკისათვის, – ასეთი განმარტება გააკეთა აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ რუსეთის წინააღმდეგ გამოცხადებულ ახალ სანქციებთან დაკავშირებით.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის აზრით, ასეთი მეთოდები უშედეგოა და ხელს უშლის სამშვიდობო პროცესს:

– დასავლეთის ქვეყნების მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები მიმართულია უკრაინაში სამშვიდობი პროცესის ჩაშლისაკენ. და ნაკლებად ეფექტურია, – განაცხადა დუშანბეში პუტინმა.

ვაშინგტონი, პირიქით, მიიჩნევს, რომ სანქციები მშვიდობას უწყობს ხელს.

– სანქციები რუსეთის წინააღმდეგ ზიანს კი არ აყენებს, არამედ, ეხმარება უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებას, – აღნიშნა „იტარ-ტასთან“ ინტერვიუში ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელმა თეთრ სახლში კეიტლინ ჰეიდენმა.

მისი სიტყვებით, სანქციების ზემოქმედება ერთ-ერთი საკვანძო მიზეზია, რომლის წყალობითაც ცეცხლი შეწყვეტილია. მან იგულისხმა როგორც უკვე მოქმედი, ისე მომავალი სანქციები, რომელიც რეალურად მოქმედებს ეკონომიკაზე.

რუსეთში სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკურ იარაღად მიიჩნევენ და აცხადებენ, სანქციები რუსეთის წინააღმდეგ უკავშირდება არა უკრაინაში სამშვიდობო პროცესს, არამედ, დასავლეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის სიტყვებით, „რომ არ ყოფილიყო უკრაინა, დასავლეთი რაიმე ახალს გამოიგენებდა“.

ამჯერად, აშშ-მ ზომები გაატარა „სბერბანკის“ (შემნახველი ბანკის), „გაზპრომის“, „როსნეფტის“, „ლუკოილის“, „სურგუტნეფტეგაზის“, „როსტეხის“ წინააღმდეგ. ამ კომპანიებს ამერიკის ბაზარზე შესვლა აეკრძალათ.

მანამდე აშშ-მ შემოიღო სანქციები „ვი თი ბი“-ს, მოსკოვის ბანკის, გაზპრომბანკის, ვებ-ისა და როსსელხოზბანკის წინააღმდეგ. ახლა მათ „სბერბანკიც“ დაემატა. ამ 6 ბანკის მიმართ აიკრძალა ფინანსების გაცემა 30-დღეზე მეტი ვადით.

ამერიკამ რუსეთის ენერგეტიკული კომპანიების მომსახურება და მათი მოწყობილობების ექსპორტი აკრძალა.

ევროკავშირის ბოლო აკრძალვები რუსეთის შემდეგ კომპანიებს შეეხო: „როსნეფტ“-ი, „ტრანსნეფტ“-ი, „გაზპრომნეფტ“-ი, „ობორონპრომ“-ი. მათთვის აიკრძალა კრედიტების გაცემა 30 დღეზე მეტი ვადით.

დასავლეთი რუსეთის მოხელეებისა და გავლენიანი ბიზნესმენების „შავ სიასაც“ აფართოებს. ეს პუტინს რატომღაც ამხიარულებს. იგი ამბობს, რომ თუ უცხოეთში არ ივლიან, რუსი ჩინოსნები მეტ საქმეს გააკეთებენ. შრომობს თუ არა ბევრს სახელმწიფო დუმის სპიკერი ნარიშკინი, უცნობია. ფაქტია, რომ რამდენიმე თვის წინ ისიც „შავ სიაში“ შეიტანეს. მიუხედავად აკრძალვისა, იგი ორჯერ იმყოფებოდა პარიზში. მისთვის დასავლეთის სანქციებს ხელი არ შეუშლია იმაში, რომ შარლ დე გოლის მუზეუმიც კი მოენახულებინა.

რუსეთი, რომელმაც წინა კონტრსანქციები სურსათის რუსეთში შეტანის აკრძალვით (აშშ-დან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, ნორვეგიიდან, ავსტრალიიდან) გამოხატა, არც ამჯერად აპირებს გულხელის დაკრეფას. ამ ეტაპზე რუსეთი, სავარაუდოდ, შეზღუდავს მანქანათმშენებლობის (მათ შორის, ავტომობილების) საფეიქრო ნაწარმის, ასევე ქიმიური პროდუქციის შეტანას.

უკრაინას თავისი ანტირუსული სანქციები აქვს შემუშავებული. კერძოდ, უკრაინაში შესვლა აეკრძალებათ პირებს, რომლებიც, „მხარს უჭერდნენ უკრაინის მიმართ სამხედრო აგრესიას, ტერორიზმს და ქვეყნის ნაწილის ოკუპაციას“. არასასურველ პირებს აქტივებსაც გაუყინავენ. რუსეთს უკრაინაში სატრანზიტო პრობლემებიც შეექმნება.

უკრაინას გაზის მომარაგების პრობლემაც აწუხებს. აქამდე უკრაინა მთლიანად რუსეთზე იყო დამოკიდებული. „ნიუ იორკ თაიმსის“ ცნობით, უკრაინის ენერგეტიკული სახელმწიფო კომპანია „ნავტოგაზ“-ის ხელმძღვანელი ანდრეი კობოლევი იბრძვის, რათა გაზმომარაგება ზამთრის დადგომამდე უზრუნველყოს. ამისათვის ყველაზე კარგი ვარიანტია გაზის ევროპიდან მიღება. ამაში არის ერთი „მაგრამ“ ევროპის გაზმომარაგებაც ჯერჯერობით რუსეთზეა დამოკიდებული.

უკრაინისა და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრებმა ჩაატარეს გაზსადენის „ჩართვის“ ცერემონია. რაც, საშუალებას მისცემს სლოვაკეთს, მოამარაგოს უკრაინა გაზის გარკვეული მოცულობით.

– სლოვაკეთი ფრთხილად მოქმედებდა და ცდილობდა, დაეშოშმინებინა რუსეთიც და ევროკავშირში თავისი კოლეგებიც, – წერს „ნიუ იორკ თაიმსი“.

გაზეთის სიტყვებით, უკრაინის ენერგეტიკული სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელ კობოლევისათვის მთავარი გამოწვევა მაშინ იჩენს თავს, თუ გაზი რუსეთის გაზის დინება შეწყდება. მაშინ უკრაინას მოუწევს გაზის დაახლოებით ერთი მეხუთედით გამოყენების შემცირება.

უკრაინაში ფიზიკური პირები და მეწარმეები იხდიან გაზის ხელოვნურად შემცირებულ საფასურს, რაც, საბჭოთა დროის პოლიტიკის გადმონაშთია, – წერს „ნიუ იორკ თაიმსი“. კობოლევს ამის შეცვლა უნდა. ამასვე მოითხოვს უკრაინისაგან საერთაშორისო სავალუტო ფონდი. სსფ დაჟინებით აცხადებს, რომ უკრაინის ჩინოსნებმა უნდა გაზარდონ გაზის ფასი იმ დახმარების პაკეტის ფარგლებში, რაც ქვეყანამ ამ საერთაშორისო ორგანიზაციისგან წელს მიიღო. ჯერ არის ცნობილი, რით ჩაანაცვლებს უკრაინა რუსულ გაზს.

გაზის ციებ-ცხელება ევროპასაც შეეყარა. გაზეთ „ინდეფენდენტის“ სიტყვებით, ევროკავშირის წევრი ოცდარვა ქვეყანა გაზის რეკორდულ მოცულობას იმარაგებს. ვინაიდან, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთი გაზს გადაკეტავს. პირველად ისტორიაში გაზსაცავები პირამდეა გავსებული.

– ძალიან ცუდი მოვლენები ახლოვდება. სანამ რუსეთი აგრძელებს გაზის ინსტრუმენტად გამოყენებას უკრაინასთან უფრო ფართო დავაში, ევროპისთვის გაზის მიწოდებას საფრთხე შეექმნება, – აცხადებს ექსპერტი ჯონ ლოქსი.

აი, ასეთ დღეშია ევროპა. თუმცა, ყველა ევროპელი პოლიტიკოსი არ თვლის, რომ რუსეთს სანქციებით გააჩერებენ. მაგალითად, რია-ნოვოსტის ცნობით, ბუნდესთაგის დეპუტატი (ქრისტიან-სოციალური კავშირი) პეტერ ჰაუვაილერი აკრიტიკებს სანქციების პოლიტიკას.

– სანქციების პოლიტიკა მხდალი პოლიტიკაა და მას არასწორი მიმართულებით მივყავართ, – აცხადებს გერმანელი დეპუტატი.

მისი აზრით, ირანისა და ერაყის მაგალითმა დაადასტურა ამგვარი საჯარიმო ზომების არაეფექტურობა.

სანქციების წინააღმდეგ გამოვიდა ევროპული ბიზნესის ასოციაციაც. ასოციაციამ მიმართა ევროკავშირს, უკრაინასა და რუსეთს, ნუ აურევენ ერმანეთში ბიზნესსა და პოლიტიკას.

„მისტრალმა“ საფრანგეთის საპორტო ქალაქი დატოვა

რუსულ სააგენტო „ვესტის“ ინფორმაციით, „მისტრალის“ ტიპის ვერტმფრენმზიდმა „ვლადივასტოკმა“ საფრანგეთის საპორტო ქალაქი სენ-ნაზერი დატოვა. სააგენტოს ინფორმაციით, გემი ახლა გამოცდებს გადის და ბორტზე 200 რუსი მეზღვაური იმყოფება.

საფრანგეთსა და რუსეთს შორის ორი „მისტრალის“ შესყიდვაზე კონტრაქტი 2011 წელს დაიდო. კონტრაქტის ღირებულება 1,2 მლრდ ევროს შეადგენს. კონტრაქტის თანახმად, პირველი გემი რუსეთის შეიარაღებულ ძალებს 2014 წლის ბოლომდე უნდა ჩაბარდეს.

რაც შეეხება მეორე „მისტრალს“, რომლის სახელწოდებაა „სევასტოპოლი“, ფრანგული მხარე მისი რუსეთისთვის გადაცემას 2015 წელს აპირებს.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საფრანგეთმა „მისტრალის“ რუსეთისთვის გადაცემა შეაჩერა. მოგვიანებით საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ რუსეთისთვის „მისტრალის“ გადაცემაზე კონტრაქტი არც შეწყვეტილია და არც შეჩერებულა.

ფრანსუა ოლანდმა აღნიშნა, ამ კონტრაქტის რეალიზაცია დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

პრინც ჰარის კორტეჟი ავარიაში მოყვა

– ლონდონის ცენტრში ავარიაში მოყვა პრინც ჰარის კორტეჟი, – იტყობინება „დი ტელეგრაფი“. ავარია დილით ადრე ქალაქის ზოოპარკის მახლობლად მოხდა, როდესაც ერთ-ერთი მოტოციკლისტი პოლიციელი ტაქსის დაეჯახა. შეჯახების შედეგად დაშავდნენ ტაქსის მძღოლი და მოტოციკლისტი.

შეჯახების შემდეგ მოტოციკლისტი დაახლოებით ცხრა მეტრის მანძილზე გადავარდა, ხოლო ტოიოტა პრიუსის მძღოლი მანქანის სალონში გაიჭედა. მაშველებს მის გასათავისუფლებლად მანქანისთვის სახურავის მოჭრა მოუხდათ.

თვითმხილველთა თქმით, პრინცის კორტეჟი დიდი სისწრაფით მოძრაობდა. თავად პრინცი რენჯ როვერის ყველგანმავალში იმყოფებოდა. ავარიის შემდეგ პრინც ჰარის ავტომობილმა უსაფრთხოების დაცვის მოსაზრებით კიდევ რამდენიმე ასეული მეტრი გაიარა.

აღსანიშნავია, რომ ჰარი მომხდარმა შოკში ჩააგდო და ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ ავარიის მონაწილეები კარგად იყვნენ.

დაშავებულები საავადმყოფოში იქნენ გადაყვანილნი, თუმცა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უცნობია. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

წმინდანის დაბრუნება მშობლიურ უნივერსიტეტში

„ყოველი ადამიანის ცხოვრება არის განსაცდელი, გამოცდა. მამა გრიგოლ ფერაძემ ღირსეულად შეძლო ამ გამოცდის გატარება. 1960 წელს, როცა სასულიერო აკადემია დავამთავრე და სქართველოში ჩამოვედი, საქართველოს პატრიარქი იყო ეფრემ მეორე. მას საწერ მაგიდაზე ედგა არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის სურათი. ისინი თანაკურსელები იყვნენ. საოცარ ამბებს გვიყვებოდა პატრიარქი გრიგოლ ფერაძის შესახებ. წლების მანძილზე მუდამ იდგა საკითხი გრიგოლ ფერაძის კანონიზებისა. დადგა დღე, როცა საქართველოს წმინდა სინოდმა გრიგოლ ფერაძე აღიარა წმინდანად. ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მნიშვნელოვან დღეს,“ – განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტის გრიგოლ ფერაძის მემორიალური დაფის გახსნის დროს.

წმინდა გრიგოლის 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანჟეი ჩიეშკოვსკი, ქართველი და უცხოელი სტუმრები დაესწრნენ.

თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „წმინდა მოწამე მამა გრიგოლ ფერაძე არის განსაკუთრებული მოვლენა საქართველოსთვის, ქართული ეკლესიისა და ჩვენი უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტში გაიხსნა მისი მემორიალური დაფა და პრაქტიკულად გადაიშალა კიდე ერთი ფურცელი ჩვენი უნივერსიტეტისა და ქვეყნის ისტორიაში. ის პირველი კოჰორტის სტუდენტი იყო უნივერსიტეტში და ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დაფასებული იქნეს ყველა ჩვენი პროფესორი, სტუდენტი, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის, ეკლესიიის, მომავალი თაობების აღზრდაში. დღევანდელი ღონისძიება არის წმინდა გრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტში სიმბოლური დაბრუნება.“

„ეს ღონისძიება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოსა და პოლონეთს შორის საუკუნეების განმავლობაში ძალიან მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა. წმინდა გრიგოლი ამ ურთიერთობის ნათელი სიმბოლოა. ამავე დროს, ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა როგორც ვარშავის, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის. მისი სამეცნიერო ნაშრომები ამის დასტურია,“– აღნიშნა პოლონეთის ელჩმა საქართველოში ანჟეი ჩიეშკოვსკიმ.

„ეკლესიის ვალია ახსოვდეს მისი წმინდანები; უნივერსიტეტის ვალია ახსოვდეს მისი სტუდენტები. თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტის ისტორიაში მნიშვნელოვანი დღეა – მისი ყოფილი სტუდენტი დაუბრუნდა მშობლიურ კედლებს,“– განაცხადა ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიური სემინარის ხელმძღვანელმა დავით ყოლბაიამ.

თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ ვარშავაში წმ. გრიგოლ ფერაძის ეკლესიის მოძღვარს ჰენრიკ პაპროცკის და ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიური სემინარის ხელმძღვანელს დავით ყოლბაიას თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის უნივერსიტეტის მედალი გადასცა.

ღონისძიებაზე, რომელიც წმინდა გრიგოლის 115-ე წლისთავს მიეძღვნა, გაიმართა ილია ფერაძის ვიდეოფილმის „ის რაც გვაგონებს გრიგოლ ფერაძეს“– პრემიერა; გამოიფინა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივებში დაცული ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძესა და ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიწერილი გრიგოლ ფერაძის წერილები, თსუ ემიგრაციის მუზეუმში დაცული წმინდა გრიგოლ ფერაძის სამშობლოსა და ემიგრაციაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი იშვიათი ფოტოები, ხელნაწერები და ბეჭდური მასალა.

ღონისძიების დაწყებამდე, წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში (უნივერსიტეტის ეზო) ჩატარდა სავედრებელი პარაკლისი.

წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე 1918-1921 წლებში იყო თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი. 1921 წელს საქართველოს საეკლესიო კრებამ, ნიჭიერი სტუდენტი თეოლოგური ცოდნის დასაუფლებლად გაგზავნა გერმანიაში. დაუღალავი შრომით, ახალგაზრდა გრიგოლი გახდა ფილოსოფიის დოქტორი, ევროპის ცნობილი ორიენტალისტი, იგი ქართული ეკლესიის ისტორიაზე ლექციებს კითხულობდა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. იყო ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, ფლობდა 16 ენას.

1931 წელს პარიზის მრავალრიცხოვანი ქართული სათვისტომოს თხოვნით ბერად აღიკვეცა, დააარსა ევროპაში პირველი ქართული მართლმადიდებელი წმიდა ნინოს ეკლესია და გახდა მისი მოძღვარი. 1934 წელს იგი შეამკეს მიტრით.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, კომუნისტურმა მთავრობამ არ მისცა სამშობლოში დაბრუნების უფლება. მას ოცნებად ჰქონდა სამშობლოში დაბრუნება და მშობლიურ უნივერსიტეტში მოღვაწეობა. ამის შესახებ არაერთგზის წერდა იგი უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს, მის პედაგოგს კორნელი კეკელიძეს და ორჯერ მიმართა იოსებ სტალინსაც კი.

სიცოცხლის ბოლო წლები მან გაატარა პოლონეთში, მის მეორე სამშობლოში. ფაშისტური გერმანიის პოლონეთში შეჭრის შემდეგ, მან არ დატოვა ვარშავა. ფაშისტებმა მამა გრიგოლი დაიჭირეს და მოათავსეს ოსვენციმის ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში. 1942 წლის 6 დეკემბერს 45 წლის მამა გრიგოლი აღესრულა მოწამეობრივი სიკვდილით ოსვენციმის ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში. მისი მოწამეობა თანამედროვე მართლმადიდებლობის ერთ-ერთ ნათელ ფურცელს წარმოადგენს.

1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა. მისი კანონიზება იმ წელსვე ცნო პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც. გრიგოლ ფერაძის სახელი ამოტვიფრულია ვარშავის უნივერსიტეტის ომში დაღუპული პროფესორების მემორიალურ დაფაზე.

ღონისძიების ორგანიზატორია თსუ და წმ. გრიგოლ ფერაძის საზოგადოება.

მედიანიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ებოლას ცხელების შედეგად დაღუპულთა რიცხვი იზრდება

ებოლას ცხელების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 2400 ადამიანს გადააჭარბა, 4784 ინფიცირებულია. ამის შესახებ „როიტერი“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორ მარგარეტ ჩენზე დაყრდნობით იტყობინება. ერთი კვირის წინ 2097 დაღუპულზე და 3944 ინფიცირებულზე საუბრობდნენ.

ცხელების საწინააღმდეგო რეალური ვაქცინა არ არსებობს, თუმცა რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც პაციენტების სისხლი ვირუსისგან გაწმინდეს. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ სენეგალში ერთადერთი ინფიცირებულის განკურნება მოხერხდა. რას იღებდა და საერთოდ იღებდა თუ არა რაიმეს, არ ზუსტდება. ცნობილია, რომ მამაკაცი 21 წლისაა და გვინეაში დაიბადა.

სექტემბრის დასაწყისში ვირუსს თავი 29 წლის ბრიტანელმა უილიამ პულიმ დააღწია.

ებოლამ დასავლეთ აფრიკაში მიმდინარე წლის თებერვალში იფეთქა. თავდაპირველად ვირუსი გვინეაში გამოჩნდა, მოგვიანებით მეზობელ სიერა-ლეონეში და ლიბერიაში იფეთქა. ყველაზე მეტი ადამიანი ლიბერიაში დაიღუპა – ამ ქვეყნის ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ ეპიდემია თვითონ სახელმწიფოს არსებობას საფრთხეს უქმნის. ლიბერიის თავდაცვის მინისტრმა ბრაული სამუკაიმ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ცხელების წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყანას აუცილებელ დახმარებას არ უწევს. მისივე თქმით, თვითონ ლიბერია ამისთვის აუცილებელ შესაძლებლობებსა და ფინანსებს არ ფლობს.

რუსეთი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირთან გაუცხოება გაივლის

რუსეთი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირთან გაუცხოება გაივლის. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა „ტვ ცენტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, ეს გაივლის. ევროკავშირში უკვე გაისმის საღად მოაზროვნე ხმები“.

მისივე თქმით, დასავლელი კოლეგები, მათ შორის ევროკავშირიდან, ძველებურად ახორციელებენ სატელეფონო ზარებს, ჩადიან რუსეთში და რუსეთის წარმომადგენლებს თავისთან იწვევენ.

ლავროვმა აღნიშნა, რომ რუსეთი ევროკავშირთან სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავებაში და განმტკიცებაში არის დაინტერესებული.

ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ახალი პაკეტი ამოქმედდა. „ბიბისის“ ცნობით, ევროკავშირის ახალ „შავ სიაში“ 24 რუსი მაღალჩინოსანი და აღმოსავლეთ უკრაინაში მებრძოლი „ბოევიკების“ ლიდერები მოხვდნენ. სანქციები მათი ანგარიშების გაყინვასა და სავიზო აკრძალვას ითვალისწინებს.

ახალი სანქციების სიაში მოხვდა ხუთი რუსული ბანკიც – „სბერბანკი“, „ვითიბი“, „გაზპრომბანკი“, „ვნეშეკონომბანკი“ და „როსსელხოზბანკი“, ასევე ცხრა რუსული თავდაცვითი კონცერნი.

ევროკავშირის სანქციების „შავ სიაში“ ამ დროისთვის სულ 119 რუსი მაღალჩინოსანია.

თავის მხრივ, აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ რუსეთის ეკონომიკის ენერგეტიკული, საფინანსო და თავდაცვის სექტორების წინააღმდეგ სანქციების გაზრდის შესახებ გამოცხადდა. შეზღუდვები შეეხებათ „სბერბანკს“, „როსნეფტს“, „გაზპრომს“, „ლუკოილს“, „ტანსნეფტს“, „გაზპრომნეფტს“, „სურგუტნეფტეგაზს“, კომპანია „როსტეკს“, „ბანკ მოსკვის“, „გაზპრომბანკს“, „ნოვატეკს“, „როსსელხოზბანკს“, „ვნეშეკონომბანკს“, „ვითიბი ბანკს“.

აშშ-ის ფინანსთან უწყება განმარტავს, რომ სანქციების მიზეზი რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებებია.

ამის გარდა, კონტროლის ქვეშ ხვდება ხუთი კომპანიის უცხოური აქტივები – „კონცერნი „ალმაზ-ანტეი“, „ტიხომიროვის სახელობის აპარატურის მშენებლობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“, „კალინინის მანქანათმშენებელი ქარხანა“, „მიტიშის მანქანათმშენებელი ქარხანა“, „დოლგოპრუდნის სამეცნიერო-საწარმო“.

სანქციებს ექვემდებარება ასევე თავდაცვის სფეროს საწარმოები.

სანქციები ასევე შეეხება რუსეთის 24 მაღალჩინოსანს.

შოტლანდიის დამოუკიდებლობის თემა ურთიერთდაპირისპირებას იწვევს

ბრიტანელი ცნობილი ადამიანების – მსახიობების, მომღერლების, მწერლების, სპორტსმენებისა და სხვების პოზიციები შოტლანდიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გაიყო. მაგალითად, ცნობილი შოტლანდიელი მსახიობი შონ კონერი ღიად აცხადებს, რომ შოტლანდიელი ნაციონალისტია და მას დამოუკიდებელი შოტლანდიის ნახვა სურს. მსგავს პოზიციაზეა ცნობილი მსახიობი ჯერალდ ბატლერიც.

შოტლანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდიან „ჰარი პოტერის“ ავტორი ჯოან როულინგი, რომელმაც შოტლანდიის დიდ ბრიტანეთში დარჩენის მომხრეთა კამპანიას ერთი მილიონი ფუნტი სტერლინგი შესწირა. მისი თქმით, შოტლანდიამ შესაძლოა, ისტორიული შეცდომა დაუშვას, თუ გაერთიანებულ სამეფოს გამოეყოფა. როულინგი შოტლანდიის დედაქალაქში ედინბურგში ცხოვრობს.

შოტლანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არიან ისეთი ცნობილი მომღერლები, როგორებიც არიან, პოლ მაკარტნი, სიუზან ბოილი, მიკ ჯაგერი, ასევე მსახიობები ჯუდი დენჩი, პატრიკ სტიუარტი და ჰელენა ბოემ კარტერი.

ცოტა ხნის წინ კვლევითმა ორგანიზაცია „თიენეს სქოთლენდმა“ დიდი ბრიტანეთის შოტლანდიისაგან გამოყოფის შესახებ გამოკითხვა ჩაატარა. კვლევის შედეგების თანახმად, შოტლანდიის დამოუკიდებლობას გამოკითხულთა 38% უჭერს მხარს. შოტლანდიის დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას კი-39%. 23% კი ამ დრომდე არ ჩამოყალიბებულა საკუთარ გადაწყვეტილებაში.

თავის მხრივ, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აღნიშნა, რომ მისი სურვილია, ამერიკის უახლოეს მოკავშირეს ერთიან და ძლიერ ქვეყანად ხედავდეს.

„მიმდინარეობს რეფერენდუმის მომზადების პროცესი. საკუთარ ბედს მხოლოდ შოტლანდიელი ხალხი წყვეტს. ჩვენთვის დიდი ბრიტანეთი უახლოესი პარტნიორია. გარედან ჩვენ ისე ვხედავთ, რომ არსებული სისტემა შესანიშნავად მუშაობს. ცხადია, ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ ჩვენი ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორი იყოს ძლიერი, ერთიანი და ეფექტური პარტნიორი“, – აღნიშნა ობამამ.

ამასთან, ამერიკის პრეზიდენტმა ისიც დაამატა, რომ გადაწყვეტილება შოტლანდიელ ხალხზეა დამოკიდებული.

ობამას განცხადებას შოტლანდიის პირველი მინისტრი ალექს სალმონდიც გამოეხმაურა.

„ამერიკის პრეზიდენტმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ შოტლანდიის მომავალი მისმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. შოტლანდიის დამოუკიდებლობის შემდეგ ამერიკისთვის მხოლოდ ერთი რამ შეიცვლება – აქ ამერიკას ერთის ნაცვლად ორი საიმედო მეგობარი და მოკავშირე ეყოლება“, – აღნიშნა მინისტრმა.

შეგახსენებთ, შოტლანდიაში რეფერენდუმი 18 სექტემბერს არის დანიშნული. ამომრჩევლებმა შემდეგ კითხვას უნდა გასცენ პასუხი: „უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი ქვეყანა?“

უკრაინის პრემიერი: პუტინს ქვეყნის დანგრევა სურს და ნატო ჩვენი ერთადერთი დამცველია

უკრაინის პრემიერი არსენი იაცენიუკი აცხადებს, რომ ვლადიმერ პუტინს უკრაინის დანგრევა და სსრკ-ის აღდგენა სურს. იაცენიუკის თქმით, ნატო ქვეყნის დაცვის ერთადერთი შესაძლებლობაა, თუმცა ის ალიანსში სწრაფად გაწევრიანებას არ ელის.

პრემიერი კიევში იალტის ევროპული სტრატეგიის შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა: „ჩვენ კვლავ ომის მდგომარეობაში ვართ და მთავარი აგრესორი რუსეთის ფედერაციაა“. იაცენიუკის აზრით, უკრაინის აღმოსავლეთში პუტინის მიზანი „კიდევ ერთი გაყინული კონფლიქტია“.

– რუსეთი საფრთხეა მსოფლიო წესრიგისთვის და უსაფრთხოებისთვის, ევროპის მთელ ტერიტორიაზე, – მიიჩნევს უკრაინის მთავრობის ხელმძღვანელი.

„შექმნილ გარემოებებში უკრაინის აღმოსავლეთში ნატო „ქვეყნის დაცვისთვის ერთადერთი შესაძლებლობაა“, – აცხადებს იაცენიუკი. ამასთან, აღნიშნავს, რომ უახლესი გეგმების მიხედვით, ქვეყანა ალიანსის წევრობას არ იმედოვნებს. იაცენიუკი აღნიშნავს, რომ „ნატოს ყველა წევრი ასეთი პოზიციით კმაყოფილი არ არის“ და „მოკლევადიან პერსპექტივაში ნატო უკრაინის მისაღებად მზად არ არის“.

მისივე თქმით, მშვიდობის მიღწევის გარეშე ქვეყანაში „რეალური ცვლილებების უზრუნველყოფა რთულია“. იაცენიუკის თქმით, როდესაც ომი შეწყდება, საერთაშორისო ინვესტორების მოწვევის, ადგილობრივი ინვესტორების ნდობის აღდგენისა და რეფორმებზე კონცენტრირების შანსი გაჩნდება.

ასევე, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, უკრაინას შეუძლია ზამთარი რუსული გაზის გარეშეც გადაიტანოს. იაცენიუკის განცხადებით, უკრაინა ურთულეს მდგომარეობაში იმყოფება რუსეთიდან გაზის მიწოდების შეწყვეტის და დონბასის მაღაროს ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის გამო. როგორც პრემიერმა აღნიშნა, მიუხედავად ამისა, უკრაინა ზამთარს ევროპიდან გაზის რევერსიული მიწოდებით გადაიტანს:

„ჩვენს საცავებში 17 მილიარდი კუბმეტრი ბუნებრივი აირია. თუმცა ეს საკმარისი არ არის, რომ ზამთარი გადავიტანოთ, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ არ გავიყინოთ“.

არსენი იაცენიუკმა განაცხადა, რომ 26 ოქტომბერს დაგეგმილ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას პეტრო პოროშენკოს ბლოკისგან დამოუკიდებლად მიიღებს.

„ჩვენ არჩევნებზე პრეზიდენტთან ერთად უნდა წავსულიყავით, მაგრამ პრეზიდენტის პარტია, პოროშენკოს ბლოკი -არ მაკმაყოფილებს. ამიტომ, ჩვენ სხვადასხვა ბანაკებში ვართ, თუმცა გაერთიანებული ვართ ცვლილებებისა და რეფორმებისთვის“, – განაცხადა იაცენიუკმა.

წონაში მცირე მატებაც კი ჯანმრთელობისთვის სახიფათოა

საიდუმლო არ არის, რომ გასუქება და ზედმეტი წონა სერიოზულ ავადმყოფობებს იწვევს. იგი გულის იშემიური დაავადების, დიაბეტის მეორე ტიპის, ჰიპერტონიის, კიბოს, ინსულტის, ძილის აპნოეს, სუნთქვის პრობლემებისა და სხვა ავადმყოფობების რისკს ზრდის, იტყობინება „საიენს უორლდ რეპორტი“. თუმცა ბევრი არ არის ცნობილი იმის შესახებ, თუ წონაში მცირე მატება (2-5 კილოგრამი) როგორ მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

ამერიკის კარდიოლოგიური ასოციაციის მკვლევართა გუნდმა აღმოაჩინა: ახალგაზრდა ჯანმრთელ ადამიანებში, რომლებმაც დაახლოებით 2 კილოგრამი დააგროვეს, სისხლის წნევა იმატებს. მეცნიერები 8 კვირის განმავლობაში 18-დან 48 წლამდე ასაკის ადამიანებს აკვირდებოდნენ. კვლევის დასაწყისში მონაწილეებს სისხლის წნევა გაუზომეს, ამის შემდეგ 16 მოხალისეს ჩვეულებრივზე 400-1200 კალორიით მეტი უნდა მიეღო, რათა მათი წონა 5%-ით გაზრდილიყო; შემდეგ მკვლევარებმა კვლავ გაზომეს მონაწილეების სისხლის წნევა და ის ნორმალური წონის მქონე 10 ჯანმრთელი ადამიანის წნევასთან შეადარეს. ამ ადამიანების სხეულის მასა 8 კვირის მანძილზე არ იცვლებოდა.

წონამომატებული მოხალისეების სისტოლური არტერიული წნევა საშუალოდ 115-დან 118 მილიმეტრამდე გაიზარდა. მონაწილეებში, რომელთა ცხიმგროვები მუცლის არეში ფიქსირდებოდა, სისხლის წნევის მატება უფრო შესამჩნევი იყო. თუმცა წონის ასეთი მატება ქოლესტერინის დონეზე, ინსულინსა და სისხლში შაქარზე არ მოქმედებდა. მკვლევარები მიიჩნევენ: საჭიროა ადამიანების გაფრთხილება რამდენიმე ზედმეტი კილოგრამის საფრთხეზე, ბევრი ხომ წონას საკურორტო სეზონის დროს ანდა უნივერსიტეტში სწავლის პირველ წელიწადს აგროვებს, – აღნიშნავს უცხოური გამოცემა.

მცირე სტრესმაც კი, შესაძლოა, ნაადრევი სიკვდილი გამოიწვიოს

ორეგონის უნივერსიტეტის მკვლევრები სწავლობდნენ, თუ როგორ მოქმედებს სტრესი ადამიანებზე. ისინი განიხილავდნენ სტრესის ორ ძირითად ტიპს – ყოველდღიური საქმეებიდან გამომდინარე სტრესს, მაგალითად, სამუშაოსგან ან მეგობრებთან და ახლობლებთან ჩხუბისგან და ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებულ სტრესს, როგორიცაა სამსახურიდან გათავისუფლება და ახლობელი ადამიანის გარდაცვალება, წერს „საიენს უორლდ რეპორტი“.

სტრესი რთული გამოცდაა როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის. ადამიანის რეაქცია და არა სტრესული მოვლენების რაოდენობა განსაზღვრავს, რამდენად სერიოზული იქნება შედეგები. დღევანდელ პირობებში, რასაკვირველია, რთულია სტრესის სრულად თავიდან აცილება. მეცნიერები რჩევას იძლევიან, რომ ადამიანებმა საკუთარ მდგომარეობას თვალყური ადევნონ და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, სიძნელეების გადალახვა ისწავლონ.

მკვლევარებმა 1293 მამაკაცის მონაცემები შეაფასეს. მათ გამოარკვიეს, თუ რომელ სტრესულ გარემოებებს ეჯახებოდნენ მონაწილეები 1989-დან 2005-წლამდე პერიოდში. მეცნიერები მამაკაცებს 2010 წლამდე აკვირდებოდნენ. ამ დროის განმავლობაში, მონაწილეთა 43% გარდაიცვალა.

გარდაცვლილი მამაკაცებიდან დაახლოებით მესამედი კვლევის დასაწყისში რამდენიმე მნიშვნელოვან სტრესულ ცხოვრებისეულ მოვლენაზე საუბრობდა, ხოლო ნახევარი ყოველდღიური სტრესების დიდ ან ზომიერ რაოდენობას უჩიოდა. მონაწილეებს შორის, რომლებიც რამდენიმე ყოველდღიურ უსიამოვნებაზე საუბრობდნენ, სიკვდილიანობა ყველაზე დაბალი იყო (28,7%). სიცოცხლეს დაემშვიდობა ნახევარზე ცოტა ნაკლები მამაკაცი, რომელიც ზომიერი სტრესის ქვეშ იმყოფებოდა და 64,3% მათგან, ვინც ყოველდღიური ძლიერი სტრესისგან იტანჯებოდა, – წერს „საიენს უორლდ რეპორტი“.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

განცხადებები

● ვართ გამოცდილი სპეციალისტები სამშენებლო დარგში: სანტექნიკა, ელექტრობა, დემონტაჟი, კაფელ-მეტლახი, შეკიდული ჭერები. ტელ: 514-350-440.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

იმერეთში იმერული და მეგრული დერბები გაიმართა

ზესტაფონი – სამტრედია 0:1

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 დათუნაიშვილი (35)

ზესტაფონი: პავლოვიჩი, გაგოშიძე, თედ.გრიგალაშვილი, თორ.გრიგალაშვილი, რენე ფერეირა, გვალია (ჭანკოტაძე 59), სარდალიშვილი, ჭანტურიშვილი, შარიქაძე (ენდელაძე 68), ილურიძე (კაპანაძე 66), დვალი

სამტრედია: ბეგაშვილი, ბეჭვაია, თომაშვილი, კაკუბავა, კვირკველია, გორგიაშვილი (კერძევაძე 63), დათუნაიშვილი (ქებაძე 76), დოლიძე (გედენიძე 23), მელქაძე, გაბედავა, ქანთარია

გაძევება: ჯაბა დვალი (შესვენებაზე)

მატჩის პირველი ნახევარი მასპინძელთა აქტიურობით დაიწყო. უკვე მატჩის დებიუტში ჭანტურიშვილი-გვალიას მიერ წამოწყებულ კომბინაციას ჯაბა დვალი აგვირგვინებდა, თუმცა სტუმრები მეკარე გიორგი ბეგაშვილმა გადაარჩინა. შორიდან დარტყმებით სამტრედიელთა მეკარის შეწუხება სცადეს ვახტანგ ჭანტურიშვილმა და მალხაზ გაგოშიძემ, მაგრამ ბეგაშვილი ამ ეპიზოდებშიც საიმედო გახლდათ.

სახიფათო იყო გიორგი ილურიძის დარტყმა, თუმცა „ზესტაფონის“ ახალწვეულს სიზუსტე ოდნავ დააკლდა. 35-ე წუთზე კი სტუმრებმა ანგარიში გახსნეს – გორგიაშვილი-კვირკველია-ქანთარიას კომბინაცია საჯარიმოს ფარგლებს გარედან შესრულებული ზუსტი დარტყმით გიორგი დათუნაიშვილმა დაადგირგვინა.

ტაიმის მიწურულს, მას შემდეგ რაც მიხეილ სარდალიშვილი სტუმართა საჯარიმოში დავით კვირკველიასთან ორთაბრძოლისას წაიქცა, მასპინძლები თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის დანიშვნას ითხოვდნენ, თუმცა მატჩის არბიტრმა ჯენერი ხორავამ თამაშის გაგრძელება ბრძანა...

შესვენების შემდეგ ზესტაფონელები მოედანზე 10 კაცის შემადგენლობით გამოვიდნენ. როგორც გაირკვა, სწორედ შესვენების დროს მატჩის არბიტრს ჯაბა დვალის მოედნიდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილება მიუღია...

მოვლენათა ასეთი განვითარების მიუხედავად, მასპინძლებმა მეორე ნახევარი აქტიურად დაიწყეს – ანგარიშის გათანაბრებასთან ახლოს გახლდათ ვახტანგ ჭანტურიშვილი, თუმცა მისი დარტყმული სტუმართა კარის ბადეს გარედან მოხვდა.

სტუმრები ბედს სწრაფ კონტრშეტევებში ეძიებდნენ და ერთ-ერთ ეპიზოდში ანგარიშის კიდევ უფრო გაზრდის შანსი ბიჭიკო გედენიძეს მიეცა – სამტრედიელის დარტყმული ბოიან პავლოვიჩის კარის ძელს მოხვდა...

ამას მასპინძლეთა უფრო გააქტიურება მოჰყვა და ისინი მიზანთან ახლოს ზედიზედ ორჯერ იყვნენ – ხარიხას ჯერ მიხეილ სარდალიშვილის დარტყმული მოხვდა, შემდეგ კი – გიორგი ჭანკოტაძის.

მატჩის ეპილოგში თავის გუნდისათვის ქულის გადარჩენა თავური დარტყმებით თედორე გრიგალაშვილმა და გიორგი ჭანკოტაძემ სცადეს, თუმცა უშედეგოდ. სამტრედიელთა გამარჯვება მინიმალური ანგარიშით – 1:0.

ჰო, ამ მატჩის მიმდინარეობისას კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა. რამდენიმე სამტრედიელ ფეხბურთელს მაისურზე ნომრები მოძვრა და ისე მოუწია თამაშის გაგრძელება. სამტრედიელთა კაპიტან გიორგი მელქაძეს კი, სულაც მაისურის გამოცვლა მოუხდა. მხოლოდ თუ მანამდე 19-ნომრით ასპარეზობდა, მატჩი 20-ნომრიანი მაისურით დაასრულა.

ვიტ ჯორჯია – დინამო (ბთ) 2:0

მცხეთა. მცხეთა პარკი

1:0 კახაბრიშვილი (19), 2:0 კალანდია (28)

ვიტ ჯორჯია: შეროზია, საბაძე, კალანდია, გეთიაშვილი, გურეშიძე, გახარია, მაისურაძე, კურდღელაშვილი, ჩაჩიანი, კუხალეიშვილი, კახაბრიშვილი

დინამო: ალავიძე, ჩუენსუ, მგელაძე, მახარაძე, გავაშელიშვილი, შონია, დიასამიძე, ჩირიკაშვილი, კაკალაძე, ტატანაშვილი

„ვეტერინარებმა“ უპირატესობა მატჩის დებიუტში მოიპოვეს. პირველივე წუთებზე გოლის გატანა დადიანს შეეძლო, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. მალევე კუხალეიშვილსაც შეეძლო გატანა, თუმცა ბურთი მიზანს ისევ ასცდა.

მე-19 წუთზე მასპინძლების შეტევებმა შედეგი გამოიღო და ანარიშიც გაიხსნა. საბაძის ჩაწოდებას საჯარიმოში კახაბრიშვილი გამოეხმაურა და – 1:0. 9 წუთში მასპინძლებმა მეორეც გაიტანეს. მაისურაძის კარგად შესრულებული სტანდარტის შემდეგ ყველას კალანდიამ დაასწრო და საკუთარი გუნდის უპირატესობა გაზარდა. ტაიმის ბოლომდე სტუმრებმა ფაქტობრივად ვერაფერი შექმნეს და ანგარიშიც არ შეცვლილა.

მეორე ნახევარში „ვიტ ჯორჯიამ“ ტერიტორიული უპირატესობა შეგნებულად დათმო და აქცენტი ანგარიშის შენარჩუნებაზე გააკეთა. დინამოელები ბურთს კი ფლობდნენ, თუმცა შედეგი ამას არ მოჰყოლია. „ვიტ ჯორჯიას“ კი გატანა კიდევ შეეძლო – 75-ე წუთზე მასპინძლების მიერ გათამაშებულ კუთხურის შემდეგ ბათუმელთა კართან სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ უშედეგოდ. ისევე როგორც 90-ე წუთზე, როცა ალავიძესთან პირისპირ კუხალეიშვილი გავიდა. „ვიტ ჯორჯიას“ შემტევის დარტყმა სუსტი გამოდგა და მეკარის იოლი ნადავლი გახდა.

სპარტაკი – ტორპედო 0:0

თბილისი. მიხეილ მესხი

სპარტაკი: ნადირაძე, ბურძენაძე, გიგაური, ივანიშვილი (კაჭარავა 60), მახარობლიძე, კაჭკაჭიშვილი, ჭაფოძე, შინდაგორიძე (მუმლაძე 78), იოსელიანი, თექთურმანიძე (ლექვთაძე 87), მაისაშვილი

ტორპედო: თებიძე, ტაბატაძე, მახვილაძე, თოდუა (მარკოზაშვილი 46), ჩადუნელი, ზ.გელაშვილი, ჩიკვილაძე (ქებურია 78), ჩაკვეტაძე, ბონდარენკო, ფიფია, კვერნაძე (ბაბუნაშვილი 54)

უგოლო ფრით დაუზავდნენ ერთმანეთს „სპარტაკი“ და „ტორპედოც“, უნდა აღნიშნოს, რომ სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა საკმაოდ უსახური ფეხბურთი იხილეს და ფრე ნამდვილად ლოგიკური შედეგია. გუნდებს რამდენიმე მომენტი ჰქონდათ, თუმცა გოლამდე საქმე არ მისულა.

მერანი – ზუგდიდი 0:0

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

მერანი: მამალაძე, ლომაშვილი, ორბელაძე, ჯღამაია (შულაია 62), წყაროზია, ფონიავა, მელიავა, კიკნაველიძე, ჩიმაკაძე (ბოლქვაძე 46), გეგეჭკორი, ციცხვაია (ხარჩილაძე 71)

ზუგდიდი: თევდორაძე, რიგვავა, ლომაია, მირცხულავა, კობერიძე, ჯავაშვილი, ქირია, წურწუმია (კუკავა 62), შ.ლომია, ვ.კვარაცხელია (ღონღაძე 80), ეხვაია (ფარჯიკია 46)

უგოლო ფრით დასრულდა იმერეთში გამართული მეგრული დერბიც. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, მაგრამ სტადიონზე შეკრებილმა მაყურებლებმა გატანილი გოლები ვერ იხილეს. შეხვედრა ორმხრივი შეტევებით კი წარიმართა, მაგრამ როგორც ხედავთ გოლის გატანა ვერც ერთმა გუნდმა მოახერხა.

ამ ფრის შედეგად „ზუგდიდი“ ერთი პოზიციით დაქვეითდა და ამჟამად გასავარდნ ზონაში იმყოფება, „მერანი“ კი, პირიქით – ერთი საფეხურით აღზევდნენ.

შუქურა – სიონი 1:1

ქობულეთი. ჩელე არენა

1:0 ჩელებაძე (2), 1:1 უგულავა (14)

მე-12 წუთზე ხიზანეიშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

შუქურა: ჯიოევი, ჩალაძე, ბერუაშვილი, ხოჭოლავა, გ. გურული, კუტალია, კუხიანიძე (ლობე 79), თუხარელი, ჩაფიძე (მეტრეველი 53), ჩელებაძე, ზ. ტულუში (კომახიძე 61)

სიონი: მერლანი (ბათიაშვილი 7), გ.კვარაცხელია, ო.ხიზანეიშვილი, კანდელაკი, ფოფხაძე, ცხადაია, განუგრავა, გოგობერიშვილი (უგრეხელიძე 67), ლობჟანიძე, გაფრინდაშვილი (გურეშიძე 64), უგულავა

ზედიზედ მესამე ფრე ითამაშა ქობულეთის „შუქურამ“, ამჯერად აჭარლები „სიონს“ დაუზავდნენ.

მატჩში ანგარიში მალევე გაიხსნა, მე-2 წუთზე ბოლნისელთა კარის მიმართულებით საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომელიც გიორგი ჩელებაძემ შეასრულა ზუსტად და ამ გოლით ბომბარდირთა დავაშიც გაერია.

მიუხედავად ადრეულად გაშვებული გოლისა, ლადო ბურდულის შეგირდებმა მობილიზება შეძლეს და 11 წუთში ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს, გოლის ავტორად ჯაბა უგულავა მოგვევლინა. მანამდე ოთარ ხიზანეიშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი, ხოლო დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	4	3	0	1	6-5	9
2.მეტალურგი	4	2	2	0	5-1	8
3.დილა	4	2	1	1	4-1	7
4.სამტრედია	4	2	1	1	4-4	7
5.სპარტაკი	4	2	1	1	2-2	7
6.ვიტ ჯორჯია	4	2	0	2	4-2	6
7.შუქურა	4	1	3	0	4-3	6
8.დინამო (ბთ)	4	2	0	2	3-4	6
9.ტორპედო	4	1	2	1	4-3	5
10.სიონი	4	1	2	1	4-4	5
11.კოლხეთი	4	1	1	2	2-5	4
12.მერანი	4	1	1	2	3-4	4
13.ჩიხურა	4	1	1	2	3-4	4
14.ზესტაფონი	4	1	0	3	9-6	3
15.ზუგდიდი	4	0	3	1	2-3	3
16.გურია	4	0	2	2	0-8	2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპორტრადარმა გასულ წელს 300 გარიგებული მატჩი აღმოაჩინა

კომპანია „სპორტრადარი“ უკვე დიდი ხანია საეჭვო ჩატარებულ საფეხბურთო მატჩებზე ინფორმაციას აგროვებს. როგორც აღმოჩნდა, გასულ წელს კომპანიამ მთელ მსოფლიოში 300-ზე მეტი გარიგებული მატჩი დააფიქსირა.

ამავე კომპანიის ცნობით, მარტო ინგლისში გარიგებული მატჩების რაოდენობა ორნიშნა ციფრს უდრის. ამ კომპანიამ 2005 წლიდან 1.500 საეჭვო თამაში გამოავლინა. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ უკვე აქვთ ჩაწყობილ თამაშებში მონაწილე ფეხბურთელთა სია და ინფორმაციას ფლობს დამნაშავეთა დაჯგუფებებთან მათი კავშირის შესახებ.

გარდა ამისა გარიგებული მატჩები და სხვადასხვა მანიპულაციები კომპანიამ სპორტის სხვა სახეობებშიც აღმოაჩინა. ბოლო 6 თვის განმავლობაში „სპორტრადარის“ გამოძიების შედეგად 60 ადამიანი დააკავეს, რომლებიც გარიგებულ მატჩებში მონაწილეობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-სიტი 2:2
ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი 0:2
კრ.პალასი-ბარნლი 0:0
სანდერლენდი-ტოტენჰემი 2:2
საუთჰემპტონი-ნიუკასლი 4:0
სტოკი-ლესტერი 0:1
ჩელსი-სუონსი 4:2
ლივერპული-ასტონ ვილა 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	4	4	0	0	15-6	12
2.ასტონ ვილა	4	3	1	0	4-1	10
3.სუონსი	4	3	0	1	8-5	9
4.საუთჰემპტონი	4	2	1	1	8-3	7
5.სიტი	4	2	1	1	7-4	7
6.ტოტენჰემი	4	2	1	1	7-5	7
7.არსენალი	4	1	3	0	7-6	6
8.ლივერპული	4	2	0	2	6-5	6
9.ევერტონი	4	1	2	1	9-10	5
10.ლესტერი	4	1	2	1	4-5	5
11.ჰალი	3	1	1	1	3-3	4
12.სტოკი	4	1	1	2	2-3	4
13.სანდერლენდი	4	0	3	1	5-6	3
14.ვესტ ჰემი	3	1	0	2	4-5	3
15.ქარ	3	1	0	2	1-5	3
16.მანჩესტერი	3	0	2	1	2-3	2
17.კრ.პალასი	4	0	2	2	5-8	2
18.ბარნლი	4	0	2	2	1-4	2
19.ვესტ ბრომვიჩი	4	0	2	2	2-7	2
20.ნიუკასლი	4	0	2	2	3-9	2

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბირმინგემი-ლიდსი 1:1
ბლექბერნი-უიგანი 3:1
ბლექპული-ვულვზი 0:0
ბოლტონი-უენსდი 0:0
ბორმნუთი-როტერჰემი 1:1
ბრენტფორდი-ბრაიტონი 3:2
იფსვიჩი-მილუოლი 2:0
კარდიფი-ნორვიჩი 2:4
რედინგი-ფულემი 3:0
ჰადერსფილდი-მიდლსბრო 1:2
ჩარლტონი-უოტფორდი 1:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბარსელონა-ბილბაო 2:0
მალაგა-ლევანტე 0:0
რეალი-ატლეტიკო 1:2
სელტა-სოსიედადი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	3	3	0	0	6-0	9
2.ატლეტიკო	3	2	1	0	4-2	7
3.სელტა	3	1	2	0	6-4	5
4.ვალენსია	2	1	1	0	4-1	4
5.სოსიედადი	3	1	1	1	6-5	4
6.გრანადა	2	1	1	0	3-2	4
7.სევილია	2	1	1	0	3-2	4
8.მალაგა	3	1	1	1	1-3	4
9.ვილიარეალი	2	1	0	1	2-1	3
10.ბილბაო	3	1	0	2	3-3	3
11.ეიბარი	2	1	0	1	2-2	3
12.რეალი	3	1	0	2	5-6	3
13.ხეტაფე	2	1	0	1	2-3	3
14.რაიო	2	0	2	0	2-2	2
15.ალმერია	3	0	2	1	2-3	2
16.კორდობა	3	0	2	1	2-4	2
17.დეპორტივო	2	0	1	1	3-4	1
18.ესპანიოლი	2	0	1	1	2-3	1
19.ელჩე	2	0	1	1	1-4	1
20.ლევანტე	3	0	1	2	0-5	1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ნუმანსია-პონფერადინა 1:3
მალიორკა-უელვა 1:2
ალავესი-ბარსელონა ბ 2:3
რასინგი-ლას პალმასი 1:2
ლიაგოსტერა-ნუმანსია 0:0

იტალია. სერია ა

ემპოლი-რომა 0:1
იუვენტუსი-უდინეზე 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	2	2	0	0	3-0	6
2.რომა	2	2	0	0	3-0	6
3.მილანი	1	1	0	0	3-1	3
4.ნაპოლი	1	1	0	0	2-1	3
5.ჩეზენა	1	1	0	0	1-0	3
6.უდინეზე	2	1	0	1	2-2	3
7.კალიარი	1	0	1	0	1-1	1
8.პალერმო	1	0	1	0	1-1	1
9.სამპდორია	1	0	1	0	1-1	1
10.სასუოლო	1	0	1	0	1-1	1
11.ატალანტა	1	0	1	0	0-0	1
12.ვერონა	1	0	1	0	0-0	1
13.ინტერი	1	0	1	0	0-0	1
14.ტორინო	1	0	1	0	0-0	1
15.ჯენოა	1	0	0	1	1-2	0
16.კიევო	1	0	0	1	0-1	0
17.პარმა	1	0	0	1	0-1	0
18.ლაციო	1	0	0	1	1-3	0
19.ფიორენტინა	1	0	0	1	0-2	0
20.ემპოლი	2	0	0	2	0-3	0

იტალია. სერია ბ

აველინო-სპეცია 0:0
ვარეზე-ლანჩანო 1:1
ვირტუსი-ბრეშა 0:1
კროტონე-კარპი 1:1
მოდენა-პრო ვერჩელი 1:0
პერუჯა-კატანია 1:0
ტრაპანი-ჩიტადელა 2:1
ფროსინონე-ბარი 1:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-შტუტგარტი 2:0
დორტმუნდი-ფრაიბურგი 3:1
ჰერტა0მაინცი 1:3
პადერბორნი-კიოლნი 0:0
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი 1:1
გლადბახი-შალკე 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლევერკუზენი	3	2	1	0	9-5	7
2.ბაიერნი	3	2	1	0	5-2	7
3.დორტმუნდი	3	2	0	1	6-5	6
4.გლადბახი	3	1	2	0	5-2	5
5.პადერბორნი	3	1	2	0	5-2	5
6.მაინცი	3	1	2	0	5-3	5
7.ჰოფენჰაიმი	3	1	2	0	4-2	5
8.კიოლნი	3	1	2	0	2-0	5
9.აინტრახტი	2	1	1	0	3-2	4
10.ჰანოვერი	2	1	1	0	2-1	4
11.ვერდერი	3	0	3	0	6-6	3
12.ვოლფსბურგი	3	0	2	1	4-5	2
13.ფრაიბურგი	3	0	1	2	1-4	1
14.ჰამბურგი	2	0	1	1	0-3	1
15.ჰერტა	3	0	1	2	5-9	1
16.შალკე	3	0	1	2	3-7	1
17.შტუტგარტი	3	0	1	2	1-5	1
18.აუგსბურგი	2	0	0	2	2-5	0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დარმშტადი-აუე 2:0
ლაიპციგი-ბრაუნშვაიგი 3:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

რენი-პსჟ 1:1
მონპელიე-ლორიანი 1:0
ნიცა-მეცი 1:0
რეიმსი-ტულუზა 2:0
სტ.ეტიენი-კანი 1:0
ბასტია-ლანსი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბორდო	4	3	1	0	9-3	10
2.სტ.ეტიენი	5	3	1	1	6-6	10
3.პსჟ	5	2	3	0	10-3	9
4.მონპელიე	5	3	0	2	5-2	9
5.რენი	5	2	2	1	8-5	8
6.ლილი	4	2	2	0	4-1	8
7.მარსელი	4	2	1	1	8-5	7
8.ლორიანი	5	2	1	2	6-4	7
9.ლანსი	5	2	1	2	6-5	7
10.ნანტი	4	2	1	1	3-2	7
11.ნიცა	5	2	1	2	5-9	7
12.კაენი	5	2	0	3	5-3	6
13.ლიონი	5	2	0	3	6-6	6
14.ბასტია	5	1	3	1	6-7	6
15.ტულუზა	5	2	0	3	5-7	6
16.მეცი	5	1	2	2	3-5	5
17.რეიმსი	5	1	1	3	7-11	4
18.მონაკო	5	1	1	3	5-9	4
19.გენგამი	4	1	0	3	1-7	3
20.ევიანი	4	0	1	3	2-10	1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ნანსი-სოშო 1:1

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

აიაქსი-ერაკლესი 2:1
ტვენტე-იგლზი 2:1
ალკმაარი-ჰერენვენი 0:1
ზვოლე-პსვ 3:1
ფეინოორდი-ტილბურგი 1:2

ჰოხტუგალია. პრიმეირა ლიგა

მორეირენსე-რიუ ავე 1:1
არუოკა-ბრაგა 1:0
სპორტინგი-ბელენენსეში 1:1

ხესეთი. პრემიერლიგა

ცსკა-არსენალი 2:1
ლოკომოტივი-მორდოვია 1:1
ზენიტი-დინამო 3:2
როსტოვი-რუბინი 1:2

მოტლანდია. პრემიერლიგა

სელტიკი-აბერდინი 2:1
დ.იუნაიტედი-ჰამილტონი 2:2
კილმარნოკი-სტ.მირენი 2:1
პარტიკი-ინვერნესი 3:1
როსი-მოზერველი 1:2
სტ.ჯონსონი-დანდი 0:1

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-ბაზელი 3:1
არაუ-თუნი 2:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-რიდი 3:1
შტურმი-ადმირა 0:2

ბელგია. იუპილიგა

ლიერსი-ანდერლეხტი 2:2
ვარეგემი-ბეველენი 1:4
მეხელენი-ვესტერლო 5:2
სერკლი-შარლერუა 1:0
სტანდარდი-ოსტენდე 3:5

საბერძნეთი. სუპერლიგა

ვერია-კერკირა 2:1
პაოკი-ვოლოსი 3:0
ოლიმპიაკოსი-ოფი 3:0

თურქეთი. სუპერლიგა

გენჩლერი-ბურსა 1:2
ქარაბუქი-ისთანბული 0:0
გალათასარაი-ესკიშეჰირი 0:0
ქონია-ბალიქესირი 2:0

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

ბანიკი-ბოლესლავი 1:0
ჰრადეც კრალოვე-იიჰლავა 0:3
ბუდეოვიცე-სლოვაკეკ 2:2
დუკლა-ბოჰემიანსი 1905 ..... 0:1
პრეიბრჟამი-იაბლონეცი 1:4
ტეპლიცე-სპარტა 0:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

კრაკოვია-ლეჩნა 2:1
იაგელონია-ლეხი 1:0
ლეგია-შლიონსკი 4:3

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლიმპიკი-მეტალურგი(დ) 3:2
მეტალისტი-დნიპრო 2:5
ზორია-დინამო 2:2
ჩერნომორეცი-შახტარი 0:2

დანია. სუპერლიგა

ოლბორგი-კოპენჰაგენი 1:0

შვედეთი. ალსვენსკა

ჰაკენი-მალმიო 3:3

ნორვეგია. ტიპელიგა

ოდ გრელანდი-ვიკინგი 4:1
სტრომგოდსეტი-ბრანი 1:4

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ინტერი-მარიეჰამნი 0:2
სეინეიოკი-ლახტი 1:1

აშშ. მლს

ფილადელფია-ნიუ იორკი 2:2
ნიუ ენგლანდი-მონრეალი 2:1
დალასი-ვანკუვერი 2:1
ჰიუსტონი-კოლამბუსი 2:2
ჩიკაგო-ტორონტო 1:1
კოლორადო-პორტლენდი 2:2

ბრაზილია. სერია ა

ფლუმინენსე-პალმეირასი 3:0
შაპოკოენსე-რესიფე 3:1
სანტოსი-კურიტიბა 2:1

კალათბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

მესამე ადგილისთვის

ლიტვა-საფრანგეთი 92:95

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



კალეიდოსკოპი

ჩინელი სტუდენტი სპერმის ბანკში გარდაიცვალა

ჩინეთის უხანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი სპერმის ბანკში ბოლო ათი დღის განმავლობაში თავისი მეოთხე ვიზიტის დროს გარდაიცვალა, რომელიც უნივერსიტეტის საავადმყოფოშია განთავსებული. როგორც ექიმებმა დაადგინეს, 23 წლის ჩჟენ განას გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა, როდესაც დონორი ცალკე კაბინაში იმყოფებოდა და მამაკაცებისთვის განკუთვნილ ჟურნალში ეროტიული შინაარსის ფოტოსურათებს ათვალიერებდა.

ჩჟენ განამ უნივერსიტეტში სწავლა 2010 წელს დაიწყო და მალე სამეცნიერო პროგრამების მონაწილე გახდა, რომლისთვისაც სპერმა იყო საჭირო. თავისი ბოლო ვიზიტისას მედპერსონალმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ განა კაბინაში ორი საათი იმყოფებოდა, შიგნით შესულებს კი ის გარდაცვლილი დახვდათ.

აღნიშნული ინციდენტი ჯერ კიდევ 2012 წლის თებერვალში მოხდა, თუმცა ის მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი და ისიც მას შემდეგ, რაც გარდაცვლილის ოჯახმა სასამართლოს მიმართა კომპენსაციის მისაღებად. მოსარჩელე მხარეს მთავარ არგუმენტად ის ფაქტი მოჰყავს, რომ ჩჟენ განას ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი იყო საავადმყოფო და კომპენსაციად 800 ათასი დოლარი მოითხოვა. მაგრამ სასამართლომ ჩათვალა, რომ მას თავადვე შეეძლო გადაწყვეტილების მიღება და ამიტომ სტუდენტის ოჯახმა ჯერჯერობით კომპენსაციის სახით მხოლოდ 30 ათასი დოლარი და დამატებით კიდევ 14 ათასი დოლარი მიიღო დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უნიკალური დოკუმენტები ხელოვნების სასახლეშია

ხელოვნების სასახლეს ირლანდიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ამ ზაფხულს უნიკალური საჩუქარი გადასცა. ეს დღემდე უცნობი დოკუმენტების დიდი კოლექციაა, რომელიც მოიცავს 1649-1798 წლებში ინგლისურ პრესაში დაბეჭდილ ცნობებს საქართველოსა და მეფე ერეკლეს შესახებ.

„მეფე ერეკლე ინგლისურ პრესაში“ – ასე უწოდეს პროექტს მისმა ორგანიზატორებმა და მისი პრეზენტაციაც გამართეს. პრეზენტაციას კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძეც დაესწრო. კოლექცია მინისტრს ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ პირადად გააცნო.

– ეს კოლექცია მოიცავს 500-ზე მეტი ბეჭდური ასლი ქართული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვან ცნობებს აერთიანებს, პერიოდულ პრესაში აღწერილია მეფე ერეკლეს რამდენიმე გმირული ბრძოლა, განსაკუთრებით ხაზგასმულია მისი ავტორიტეტი იმდროინდელ მსოფლიოში. დოკუმენტების კოლექცია ასევე მოიცავს ცნობებს XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს შესახებ. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია უცნობი წყაროების თარგმნა ქართულ ენაზე და მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, – განაცხადა გიორგი კალანდიამ.

მინისტრმა მუზეუმის საგამოფენო დარბაზებთან ერთად დაათვალიერა სიძველეთსაცავის უნიკალური ფონდები, იშვიათი ხელნაწერები, რარიტეტული გამოცემები და ძვირფასი ტილოები, მათ შორის ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის შედევრები.

ეკა ირემაშვილი

ლიტერატურული თარგმანის ვორქშოფი დაიხურა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს მწერალთა სახლში ქართველი და ბრიტანელი ავტორების მონაწილეობით ჩატარებული ერთკვირიანი ლიტერატურული თარგმანის ვორქშოფი დაიხურა. ლიტერატურული ვორქშოფი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის, საქართველოს მწერალთა სახლი და ბრიტანეთის საბჭოს ხელწეყობით მოეწყო.

ბრიტანელი და ქართველი პოეტების ერთობლივ სამუშაო დისკუსიას ალექსანდრა ბიულერი უძღვებოდა. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ პოეტები და მთარგმნელები სტივენ უოტსი, ადამ სმარტი, ალექსანდრა ბიულერი, ანჯელა ჟარმანი, ნია დევისი, მაია სარიშვილი, ლელა სამნიაშვილი, შოთა იათაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი და რატი ამაღლობელი.

ვორქშოფის მიზანია ხელი შეუწყოს ხანგრძლივი სამომავლო ურთიერთობების ჩამოყალიბებას ქართველ და ბრიტანელ პოეტებს, კრიტიკოსებსა და მთარგმნელებს შორის. პროექტის შედეგად, ქართული პოეზიის ანთოლოგიის ბრიტანეთში გამოცემასთან და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით გაღრმავდება აგრეთვე თანამშრომლობა ვორქშოფის ორგანიზატორ ორგანიზაციასა და ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს შორის.

ვორქშოფის ფარგლებში ბრიტანელმა პოეტებმა ასევე იმუშავეს ირაკლი ჩარკვიანის ლექსების თარგმანზე. პროექტის შედეგად, ექვსი ქართველი პოეტის ლიტერატურული თარგმანები „არს პუბლისშინგის“-ის მიერ ანთოლოგიის სახით 2015 წელს გამოიცემა.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში საყოველთაო მსვლელობა მოეწყო

ქართველი პოეტისა და მწერლის ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან 107 წელი გავიდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, საგურამოში მწერლის სახლ-მუზეუმში საყოველთაო მსვლელობა მოეწყო.

საგურამოდან საზოგადოებამ წიწამურში, ილიას მემორიალთან გადაინაცვლა, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პარაკლისი გადაიხადა. „დღე, როცა ვერ მოკლეს ილია“ – ასე უწოდეს ღონისძიებას ორგანიზატორებმა ახალგაზრდულმა გაერთიანებამ „ეროვნული იმპერატივი“. მსვლელობა საღამოს მთაწმინდის პანთეონში ილიას საფლავთან დასრულდა.

საგურამოში იმყოფებოდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძეც. მინისტრმა საგურამოს ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით ეწვია. ღონისძიებას ქალაქ თბილისის მერი დავით ნარმანიაც ესწრებოდა. მუზეუმის დირექტორის ანდრო ბედუკაძის განცხადებით, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კულტურის მინისტრი ამ დღესთან დაკავშირებით საგურამოს სახლ-მუზეუმს ესტუმრა.

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებისა და დაბადების დღეს ყოველ წელს საგურამოში სხვადასხვა ღონისძიება იმართება, სადაც ქართველი ერი კიდევ ერთხელ იხსენებს იმ ადამიანს, რომელიც ჩვენს ისტორიაში გამორჩეული იყო, ის ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მას წმინდა ილია მართალი უწოდა.

ეკა ირემაშვილი

სპორტი

კლასიკოსები მსოფლიოდან უმედლოდ მოდიან

ტაშკენტში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრებმა მედლის აღება ვერ მოახერხა. რვა ქართველი მოჭიდავიდან საპრიზო სამეულში ერთიც ვერ მოხვდა.

ყველაზე ახლოს მედლებთან პირველ დღეს ვიყავით. ზურაბ დათუნაშვილს (75 კგ) ბრინჯაომდე ერთი მოგება დააკლდა, ვლადიმერ გეგეშიძეს (85 კგ) – ორი.

ძირითად ბადეში ზურაბ დათუნაშვილმა ხუთი შეხვედრა ჩაატარა. პოლონელი არკადიუშ მარჩინ კულინიჩის (8:0), ბელარუსი ვალერი პალენსკის (4:2), ბულგარელი იავორ დიმიტროვ იანაკიევისა (2:2) და ინდოელი გურპრეტ სინგხის (7:5) ძლევის შემდეგ, ნახევარფინალში სომეხ არსენ ჯულფალაკიანთან დამარცხდა (0:1) და რეპეშაჟის ფინალში გადაერთო, სადაც აზერბაიჯანელ ელვინ მურსალიევთან მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილებით წააგო. შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა და ბრინჯაოს ბედი ქართველი მოჭიდავის ერთმა გაფრთხილებამ გადაწყვიტა.

ვლადიმერ გეგეშიძემ ოქრო-ვერცხლის შანსი მეოთხედფინალში დაკარგა, აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე ირანელ სამან ტაჰმასებისთან წაგებით და მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ფინალის საგზური მოიპოვა, გეგეშიძეს ბრინჯაოს გზა გაეხსნა, მაგრამ რეპეშაჟის ნახევარფინალში გერმანიის ნაკრების წევრ რამსინ აზიზსირს ვერ აჯობა და ჩემპიონატი მე-7 ადგილით დაასრულა.

მეორე დღეს 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე რევაზ ლაშხმა სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაზე გამოსვლა მეოთხედფინალით დაასრულა. გიორგი ცირეკიძემ (80 კგ) პირველსავე წრეში წააგო, ხოლო იაკობ ქაჯაიამ (130 კგ) – მერვედფინალში.

ბოლო დღეს საქმეში გოდერძი დავითაძე (59 კგ), მინდია წულუკიძე (71 კგ) და ვასილ იმერლიშვილი (98 კგ) ჩაერთნენ და სამივე წინასწარ ეტაპზე დამარცხდა.

მ. ჟ.

კავკასიელებმა სპარინგ-მატჩში თბილისელები დაამარცხეს

20 სექტემბერს თბილისის კავკასიელები ევროპული პროფესიული საკლუბო რაგბის ჩელენჯ ქაპის 2014-15 წლის სეზონის საკვალიფიკაციო პლეიოფის ორმატჩა რაუნდში იტალიურ რაგბის როვიგო დელტას გასვლაზე ეთამაშება. გუნდები მეორე საკვალიფიკაციო შეხვედრაში ერთმანეთს 27 სექტემბერს თბილისში, „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე ერკინებიან.

ევროპულ დებიუტამდე ერთი კვირით ადრე, თბილისის კავკასიელებმა შევარდენის სანაკრებო ბაზაზე თბილისის „ლოკომოტივთან“ სპარინგი გამართეს. შეხვედრაში ლევან მაისაშვილმა შეკრებაზე მყოფი ყველა „კავკასიელი“ გამოსცადა, ხოლო „ლოკომოტივის“ რიგებში რამოდენიმე ესპუარმა და რუსთავის „ხარების“ მოთამაშემ ითამაშეს, მათ შორის ბორჯღალოსანმა, ვაჟა ხუციშვილმა.

მატჩი კავკასიელების გამარჯვებით – 36:0 დასრულდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ანგარიში ნაკლებად მნიშვნელოვანია.

პირველ ტაიმში გუნდს შეუთამაშებლობა ეტყობოდა და ერთგვარი მუხტიც აკლდა, რის გამოც ბურთი შეტევაში არაერთხელ დაიკარგა. ლელოს გატანის რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა ბურთის ვერშემაგრების, ან პასის არასწორად გაცემის გამო დაიკარგა. მერე მათ რატომღაც ანგარიშის ჯარიმით გახსნა გადაწყვიტეს და ბურთმა ძელებსშუა არ გაიარა, პირველი ტაიმის შუაში კი, პირველი ლელო გავიდა.

ცენტრალური ხაზის სიახლოვიდან წამოწყებული სწრაფი იერიში მარჯვენა ფლანგზე გაიშალა, სადაც შემტევებმა მეტობა გაითამაშეს და ალექსანდრე თოდუამ ანგარიში გახსნა. ხუთიოდ წუთში კავკასიელებმა 5-მეტრა დერეფანი მოიგეს, ბაჩანა გოგიშვილმა „ლოკომოტივის“ დაულაგებელ დაცვას შეუტია და თანაგუნდელის დახმარებით მიზანს მიაღწია. ირაკლი ყიასაშვილმა ორივე გარდასახვა გამოიყენა და ტაიმი 14:0 დასრულდა.

შესვენებაზე ცვლილებები მრავლად განხორციელდა, რაც ბუნებრივიცაა. ლევან მაისაშვილს სურდა, რომ საქმეში ყველა ენახა. მეორე ნახევარში გუნდი, უფრო ზუსტად მისი უკანა ხაზი კარგად ამუშავდა და შეცდომების რაოდენობაც შემცირდა.

თამაში ახალი განახლებული იყო, როდესაც კავკასიელებმა დერეფნიდან მოლი დააყენეს და ბურთი ბაჩო კოლელიშვილმა დაამიწა. მეოთხე ლელო ლამაზ კომბინაციას მოყვა: მარჯვენა ფლანგზე შერკინებაში ბურთის მოგების შემდეგ, უკანა ხაზმა იერიში მარცხენა ფლანგზე სწრაფად გაშალა, წითელ ზოლში ბურთი ძირს დავარდა, თუმცა, გიორგი აფციაური სიტუაციას არ გამოეთიშა და ლელოში შეიჭრა.

მეხუთე ლელოც გაშლილი იერიშის შედეგად გავიდა: ამჯერად მარცხენა ფლანგზე დერეფანში ბურთის მოგების შემდეგ, მარჯვენა გვერდით ხაზთან აფციაური ჯერ ერთ მცველს დაუსხლტა, მეორესთან კონტაქტში შევიდა და ბურთი ლელოში თორნიკე ცერცვაძეს შეაყოლა. ტაიმის ბოლოს კავკასიელებმა მეტოქის დაცვა ხანგრძლივი შეტევით მოარღვიეს და „ლოკომოტივის“ ლელოში გიორგი სანიკიძე თემურ სოხაძემ შეუშვა.

სპარინგში კავკასიელებმა გაიმარჯვეს. გუნდი შეკრებას 17 სექტემბერს დაასრულებს და იტალიაში, თავიანთი სადებიუტო მატჩის გასამართად გაემგზავრება.

ლევან მაისაშვილი, თბილისის კავკასიელების მთავარი მწვრთნელი:

– ამ თამაშის შემდეგ, შემადგენლობასთან დაკავშირებით არსებული კითხვის ნიშნები მოგვეხსნა. უკვე ზუსტად ვიცით იმ 26 მორაგბის ვინაობა, რომლებიც როვიგოში გაემგზავრება.

თავიდან ცოტა არეულად დავიწყეთ თამაში, მაგრამ ეს ბუნებრივია. შეუთამაშებელ გუნდს ქარიც დაერთო და ამან გარკვეული იქონია. ბიჭებს მეტი დრო დაჭირდათ თამაშის გასახსნელად, თუმცა მრავლად იყო ისეთი შეცდომებიც, რომლებიც კარგია ახლა რომ გამოჩნდა. ვიდეო ანალიზს რომ ჩავატარებთ, იმედია, მოთამაშეები მიხვდებიან ვარჯიშის დროს რას ვგულისხმობდით. არ შეიძლება შეტევაში ამდენი ბურთის დაკარგვა, რადგან წინ გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგე გველოდება, ვიდრე დღეს გვყავდა და ის ამას არ გვაპატიებს. მთლიანობაში, პირველი თამაშის კვალობაზე ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა და ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რომ დარჩენილ სამ დღეში მაქსიმალურად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები.

უკმაყოფილო ვარ იმით, რომ არ შესრულდა ის კონკრეტული დავალებები, რომელიც ბიჭებს მივეცი. საწყისი 25 წუთის განმავლობაში ძალიან ბევრი ბურთი დავკარგეთ და ასეთი დიდი უპირატესობის ფონზე, უქულოდ ვიყავით. დაცვის პრობლემები არ გამოჩენილა, რადგან უმეტესად ჩვენ გვქონდა ბურთი. იყო ეპიზოდები, როდესაც ბიჭები აგრესიულად მოქმედებდნენ დაცვაში და ამით კმაყოფილი ვარ. ეს სწორედ ისაა, რაზეც ჩვენი თამაში უნდა ავაწყოთ. მაგრამ აუცილებელია, რომ როვიგოში ასეთი აგრესიული წნეხი მთელი 80 წუთის განმავლობაში გაგრძელდეს, სხვა მხრივ წარმატების მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება.

მ. ჟ.

სჯანგოხდი



1. რეზო გაბრიაძის თეატრის სპექტაკლი; 2. ქალბატონი (გერმანულად); 3. იუპიტერის თანამგზავრი; 4. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1731-1810); 5. ღირებულება; 6. ... ზოლა; 7. პარკოსანი მცენარე; 8. ... -კლარჯეთი; 9. გმადლობთ (ფრანგულად); 10. ომის უკუსიდიდე; 11. კაენის მსხვერპლი; 12. ბალეტის მოცეკვავე ქალი; 13. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 14. რისამე დაწესებული რაოდენობა; 15. შვლის ნაშიერი; 16. თეთრი თხევადი საკვები; 17. ქვეყნის შეიარაღებული ძალები; 18. ... ჰეპბერნი; 19. ფარული, უხილავი; 20. საცალფეხო გზა; 21. სამუშაოს შესრულების უნარი; 22. მიწაში ამოთხრილი ადგილი; 23. კლავიშებიანი საკრავი; 24. ალკოჰოლიანი სასმელი; 25. ერთგვარი თუთიყუში; 26. ვერგილიუსის თხზულება; 27. ... ბოლდუინი; 28. მაღალი წიწვოვანი ხე; 29. ... კლინტონი; 30. მაუგლის მეგობარი ავაზა; 31. ბილიარდის ჯოხი; 32. კომში; 33. რიგი ფუნქციების მქონე რთული მანქანა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფელდიგიერი; 2. რუდაქი; 3. რენუარი; 4. რიეკა; 5. ბისმარკი; 6. „ჰერში“; 7. ბიშკეკი; 9. ბულონი; 13. ვერნი; 17. გემა; 18. ობი.

თარაზულად: 1. ფლაიერი; 3. როლერი; 8. ფიშერი; 10. ხარფუხი; 11. პირლო; 12. „გალუაზი“; 14. დისნეი; 15. „შპიგელი“; 16. კეგლი; 19. ჯუნგლი; 20. ქირურგი; 21. ლოზანა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რეფორმა; 2. ტრანზიტი; 3. აზურიტი; 5. კომბაინი; 7. ოგინსკი; 9. „მილენიუმი“; 13. პერგოლა; 15. დეფილე. 16. სოსელო; 18. ხაიფა.

თარაზულად: 4. ბედეკერი; 6. „შარტრეზი“; 8. პოტამოლოგია; 10. ფანდური; 11. ლოტი; 12. აკორდი; 14. მდადი; 17. კიურე; 19. სფერო; 20. კემპინგი; 21. იედო; 22. პერგამონი; 23. დარნიცა.

რა ელის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს?

ეკა ირემაშვილი

რა ელის ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს? ავარიულ მდგომარეობაში მყოფ შენობას გადაუდებელი შველა სჭირდება. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს ეწვივნენ. მინისტრს ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკოლოზ რაჭველმა უმასპინძლა. მიხეილ გიორგაძემ დაათვალიერა რკინიგზელთა სახლის შენობა, რომელშიც ეროვნული მუსიკალური ცენტრი და ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი დროებით არის განთავსებული. მოადგილესთან მანანა ბერიკაშვილთან ერთად, მინისტრი ცხინვალის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის, ასევე საქართველოს სახლმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და საგუნდო კაპელის წარმომადგენლებს შეხვდა. საუბარი შეეხო ინფრასტრუქტურულ პრობლემებს და ფინანსურ საკითხებს. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის თქმით, ყველა პრობლემურ საკითხზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.

– კულტურის მინისტრის რანგში მიშა გიორგაძე და მოადგილის რანგში მანანა ბერიკაშვილი ჩვენს მუსიკალურ ცენტრს ეწვივნენ, თორემ როგორც ერთგული მსმენელები მიშა და მანანა არაერთხელ დასწრებიან ჩვენს კონცერტებს. შეხვედრა გაიმართა როგორც სიმფონიური ორკესტრის ასევე საგუნდო კაპელის საბჭოების არჩეულ წევრებთან. საუბრები ძალზე საინტერესოდ, ნაყოფიერად და კონსტრუქციულად გაიმართა. მინისტრი ჩავაყენეთ ყველა მიმდინარე პრობლემის თუ შემოქმედებითი სიახლის საქმის კურსში. შემდგომ კი სტუმრები ორივე კოლექტივის სრულ შემადგენლობას მიესალმნენ. მჯერა, რომ შედეგიანი იქნება შეხვედრა. უპირველეს გადასაჭრელ პრობლემად რჩება სივრცეები რეპეტიციებისთვის და კონცერტების გასამართად, – განაცხადა ნიკოლოზ რაჭველმა.

მისივე თქმით, ცენტრში ყოველთვის ნაყოფიერი შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობს:

– შევადგინე ჩვენი ორკესტრის ბოლო დროს შესრულებული ნაწარმოებების ჩამონათვალი და უნებური კითხვა გამიჩნდა: ნეტავ ჩემს ძვირფას მუსიკოსებს, საქართველოს სახელმწიფო/ეროვნული სიმფონიური ორკესტრის გმირ წევრებს თუ ახსოვთ, უსახსრობის, უშენობობის, უპირობობის, კულტურის სამინისტროს იმჟამინდელი ხელმძღვანელების მიერ გამოცხადებული ომის მიუხედავად რამდენი ნაწარმოები შეგვისრულებია, რამდენი ფესტივალი და სეზონური კონცერტი გაგვიმართავს? მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ ნაწილია დიდი სიმფონიური რეპერტუარისა, რისი შესრულების სიამოვნებაც არაერთხელ გველის წინ, მე მგონი აღნიშნული ჩამონათვალი, ქართველ და უცხოელ დირიჟორთა თუ სოლისტთა რაოდენობა და მათი ხარისხი ძალზე შთამბეჭდავად და უკონკურენტოდ გამოიყურება! ასე რომ მე მგონი ნამდვილად ვიმსახურებდით ხელფასების ზრდას, თუმცა მაინც მომჭირნედ და დიდი ბრძოლის შედეგად, ვიმსახურებდით მშვიდობას გია ყანჩელის, ლექსო თორაძის, პაატა ბურჭულაძის, სოსო ბარდანაშვილის, ანიტა რაჭველიშვილის, ნინო ქადაგიძის, თეო ჯორბენაძის, ნატოს, ლიზას, ნინოს, სვიმონის, გიორგის და სხვა არაერთი ჩემი უძვირფასესი კოლეგისა აქტიური თანადგომის და ორკესტრის ერთიანობისა და სიმტკიცის წყალობით და ახლა ვიმსახურებთ ნორმალურ სამუშაო პირობებს რეპეტიციებისა და კონცერტების ჩასატარებლად! შეგახსენებთ, რომ ამჟამად არ გვაქვს არც სარეპეტიციო სივრცე და აღარც საკონცერტო დარბაზი, ვინაიდან ჩვენი შენობა აღმაშენებლის გამზირზე ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო ჩვენი დროებითი შეკედლება რბილად რომ ვთქვათ არავის სურს...

მე მჯერა, რომ მიშა გიორგაძე ყველაფერს გააკეთებს ჩვენი პრობლემის მოსაგვარებლად! კულტურის ახალმა მინისტრმა მანანა ბერიკაშვილთან და მის განახლებულ გუნდთან ერთად, ისევე როგორც მანამდე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მისი კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძესთან ერთად და კიდევ უფრო მანამდე ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, გია ყანჩელთან და ლექსო თორაძესთან ჩვენს საკითხებზე შეხვედრის დროს, დახმარების და თანადგომის პირობა აღგვითქა! – განმარტა ნიკოლოზ რაჭველმა.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს სახელმწიფო/ეროვნული სიმფონიური ორკესტრი იწყებს საიუბილეო სეზონისთვის მზადებას. წელს მათი 90 წლის იუბილეა:

– იმედია მალე შევძლებთ მოგახსენოთ თუ სად ვუმასპინძლებთ მუსიკის მოყვარულ ჩვენს ძვირფას პუბლიკას, – აცხადებს ნიკოლოზ რაჭველი.

ია ჩანტლაძე შეყვარებულია

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ია ჩანტლაძე შეყვარებულია.:

„რაც უფრო ვიზრდები, მით უფრო პატარავდება იმ ხალხის სია, ვისაც მინდა ჩემი დრო დავუთმო, ჩემი სიხარული გავუზიარო და ჩემი სევდის გამხელის არ შემეშინდეს.

უფრო ნაკლებად მაინტერესებს რას ფიქრობენ ჩემზე. მთავარი ისაა, მე რას ვფიქრობ „მათზე“ ან სულაც, ვფიქრობ თუ არა საერთოდ.

რაც დრო გადის, სულ უფრო ნაკლებად ვიღებ ადამიანების შეცდომებს პიროვნულად, რადგან ვთვლი, რომ თუ ვინმე ვერ „ქაჩავს“, მხოლოდ მათი პრობლემაა.

რაც დრო გადის, სულ უფრო ვხვდები, რა ბედნიერი ადამიანი ვარ! სიცოცხლის უფლებით რომ დავჯილდოვდი და ამდენ მშვენიერებას ვუყურებ ყოველდღე!

ყველანი ძალიან მიყვარხართ, ვინც ჩემს ცხოვრებას აზრიანს და ლამაზს ხდით! მადლობა ყველას, ვინც რამე მასწავლეთ ცხოვრებაში თქვენი სიკეთით, და თუნდაც თქვენი შეცდომებით ჩემ მიმართ.

მადლობა ასევე ყველას, ვინც ჩემი შეცდომების გააზრების საშუალება მომეცით.

ეს არ არის „ოსკარის“ ცერემონიალის ტექსტი.

„ოსკარს“ თუ ავიღებ ოდესმე, „დაჟე“ უფრო ჩუმი ვიქნები.

უბრალოდ მიხარია და დავწერე.

შეგიძლიათ შემომიერთდეთ!“

ფოტოგამოფენა „რაჭა“ ამბროლაურშია

ეკა ირემაშვილი

ფოტოგამოფენა „რაჭა“ ამბროლაურშია. ამბროლაურის კულტურის ცენტრში, სახვითი ხელოვნების მუზეუმში ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორმა პარმენ მარგველიძემ ფოტოგამოფენა „რაჭა“ გახსნეს.

– ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ეროვნულ არქივში დაცული ფოტომასალა. მათ შორის XIX საუკუნეში დიმიტრი ერმაკოვისა და იტალიელი ფოტოგრაფის, ვიტორიო სელას მიერ რაჭაში გადაღებული ფოტოები, ტიპაჟები, ხედები, ხუროთმოძღვრების ძეგლები, ასევე რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთლის მოგზაურობის ამსახველი ფოტოები. გარდა ამისა, წარმოდგენილია XX საუკუნის ამბროლაური, ონი, შოვი, 1987 წლის წყალდიდობა და 1991 წლის მიწისძვრა რაჭაში. ფოტოგამოფენაზეა კადრები მხატვრული ფილმიდან „რაჭა ჩემო სიყვარულო“, – განაცხადა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა.

გამოფენის პარალელურად, ნაჩვენები იყო ფრაგმენტები ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებული პირველი ქართული დოკუმენტური ფილმიდან „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

თოჯინების თეატრი ნოვატორად დასახელდა

ეკა ირემაშვილი

გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო თოჯინების პროფესიული თეატრი უნიმა-ს საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში სომხეთს სტუმრობდა. გასტროლი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა, სადაც თოჯინების თეატრის დასმა წარმოადგინა სპექტაკლი „იავნანამ რა ჰქმნა?!“.

ქალაქ ვანაძორის კულტურული ღონისძიებების ცენტრში „ლორი“ თეატრის დასმა არასაკონკურსო სპექტაკლი ითამაშა და დიდი მოწონება დაიმსახურა. თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მიერ ნაჩვენები „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ყველაზე ემოციურ, ეფექტურ და ნოვატორულ სპექტაკლად დასახელდა. „უნიმა“-ს საერთაშორისო ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ საფრანგეთის, თურქმენეთის, ირანის, სომხეთისა და რუსეთის თეატრალური დასები.

ამჟამად თბილისის თოჯინების თეატრი ახალი თეატრალური სეზონის გახსნისთვის ემზადება. 21 სექტემბერს თეატრი თავის პატარა მაყურებელს ამავე სპექტაკლიც შეხვდება. წარმოდგენა საპრემიეროა და მისი დამდგმელი რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილია.

როგორც თეატრში აცხადებენ, პრემიერაზე მუშაობის და სიახლეების პარალელურად, თეატრში არაერთი პრობლემაა, ყველაზე მთავარი კი მათთვის შენობის არქონაა. თეატრის მესვეურები აპირებდნენ კიდეც საპროტესტო აქციების გამართვას კულტურის სამინისტროსთან, თუმცა უკეთესი დაპირებების მოლოდინში ეს აქცია გადაიდო.

თოჯინების თეატრი უკვე წლებია ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი. ისინი დარბაზს ბერძენიშვილის ცენტრში „მუზა“ ქირაობენ, სადაც წარმოდგენებს მართავენ, რეპეტიციებს კი ერთ პატარა ოთახში გადიან, სადაც არანაირი ელემენტარული სამუშაო პირობები არ არსებობს.

თოჯინების თეატრი შენობის გარეშე მას შემდეგ დარჩა, რაც წინა ხელისუფლებამ აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაცია დაიწყო. მათი შენობა თბილისის განვითარების ფონდმა დაანგრია და ახლა მის ადგილას მხოლოდ შავი კარკასი დგას, რომელსაც მოწესრიგებული მხოლოდ წინა ფასადი აქვს, შიგნით კი ნაგავსაყრელად არის ქცეული.

როდის მოგვარდება დედაქალაქში მცხოვრები პატარრებისთვის ყველაზე საყვარელი თეატრის – თოჯინების თეატრის პრობლემა, ჯერჯერობით უცნობია.

გრაკლიანის გორას ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ეკა ირემაშვილი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, გრაკლიანის გორაზე ღია ცის ქვეშ მუზეუმი შეიქმნება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ანთიძემ არქეოლოგიური ექსპედიცია მედიის წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა და გრაკლიანის არქეოლოგიურ ობიექტს ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

– გრაკლიანის გორაზე პირველი მონაპოვარი 2007 წელს თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის მშენებლობის დროს გამოვლინდა. გრაკლიანის არქეოლოგიური საიტი შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე მდინარე ლეხურას მარჯვენა ნაპირზე წამომართულ გორაზე მდებარეობს. ადგილზე გამოვლენილია ძველი წელთ აღრიცხვის IV-I ათასწლეულით დათარიღებული საცხოვრებელი კომპლექსი, საკულტო ნაგებობები, სამარხები, თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლის და ოქროს ნივთები – საყოფაცხოვრებო და საბრძოლო დანიშნულების იარაღები და სამკაულები, – განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა.

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და ფინანსებისა და საბანკო საქმის ფაკულტეტის კათედრა სამძიმარს უცხადებს ამავე კათედრის პროფესორს

ავთანდილ ჩუთლაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მოჭედილყდიანი ხელნაწერები აღარ განადგურდება

ეკა ირემაშვილი

მოჭედილყდიანი ხელნაწერები აღარ განადგურდება. მათი გადარჩენა ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა სპეციალური პროექტის ფარგლებში შეძლო. „უძველესი ქართული მოჭედილი ძეგლების დიაგნოსტიკა (XI-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერები)“ – ასე ეწოდებოდა პროექტს, რომლის პრეზენტაციაც ხელნაწერთა ცენტრში გაიმართა. ღონისძიებას დაესწრნენ კულტურის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე აღუდა გოგლიჩიძე, იტალიის საელჩოს წარმომადგენლები და მიწვეული სტუმრები. პრეზენტაციას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ბუბა კუდავა უძღვებოდა.

– პროექტი ეხება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების ერთ ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს, ეს არის მოჭედილყდიანი ხელნაწერები. მათ რამდენიმე საუკუნეა რესტავრატორის ხელი არ შეხებია. ამ პროექტის ფარგლებში იტალიელი და ქართველი კოლეგები ერთობლივად მოახდენენ ამ ძეგლების დიაგნოსტიკას და ისინი განადგურებისგან გადარჩებიან. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ უნიკალურ ძეგლებთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XI-XIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებს. მათ შორის აღსანიშნავია ტბეთის, წყაროსთავისა და ბერთის სახარებები, რომელთა ყდები მოჭედილია ბექა და ბეშქენ ოპიზრების მიერ. 2012 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულმა გეგმურმა მონიტორინგმა გამოავლინა ხარვეზები, რამაც დღის წესრიგში დააყენა ჭედური ყდების რესტავრაციის საკითხი. აქედან გამომდინარე, მომზადდა პროექტი „უძველესი ქართული მოჭედილი ძეგლების დიაგნოსტიკა (XI-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერები)“, რომელიც ითვალისწინებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XI-XIII საუკუნეების მოჭედილყდიანი ხელნაწერების ყდების დეტალურ შესწავლას, დიაგნოსტიკას და კონსერვაციის მეთოდის განსაზღვრას მათი შემდგომი კონსერვაციის, დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით. კვლევითი პროცესი, რომელიც 6 თვეს გასტანს, წარიმართება იტალიელი რესტავრატორისა და ქართველი გემოლოგის მონაწილეობით. შედეგად მოხდება დაზიანებების კომპეტენტური შეფასება და განისაზღვრება დაზიანებული ჭედური ყდების კონსერვაციის მეთოდოლოგია. პროექტის შესახებ მომზადდება ორენოვანი ალბომი, – განაცხადა ბუბა კუდავამ.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, პროექტი ხორციელდება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით.

– ამერიკის საელჩო მხარს უჭერს მთელ რიგ კულტურულ პროექტებს საქართველოში. სიბედნიეროდ, ეს ქვეყანა ნამდვილი ოქროს საბადოა კულტურული მემკვიდრეობის მხრივ. ერთ-ერთი პროექტი, რომელიც განხორციელდა, ეს არის უძველესი სახარების კონსერვაცია და დიგნოსტიკა, ახლა კი სრულიად ახალი პროექტი იწყება, – აღნიშნა ამერიკის ელჩმა.

TV პროგრამა

ოხშაბათი 15 სექტემბერი

08.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ანიმალია" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**ბაბადა ემი**" **12.30** ტ/სერ. "**ტაბილი**" **მწარე ცხოვრება**" **14.00** "სამოთხის ვაშლები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" **23.00** მხ/ფ "**დედა წყვდიადი**" (ნ.ნოლტი) **01.10** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მონრეალი" ტორონტო" **09.00** მხ/ფ "**სპაპეგს შორის**" **10.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ახალი ზელანდია" **11.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" – ბრძოლა გადარჩენისთვის **12.00** მხ/ფ "**მონსტრები დღეს**" **13.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "დიდებული დუნაი" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა"- პ/გ "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" (პ/ე) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. "**შურის-მაძიებელი**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**შაპი ფარდი**" **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში – 2**" **00.00** მხ/ფ "**ჯარლიბოს გზა**" (შ.პენი) **01.20** მხ/ფ "**როგორ პიპოვე შენ**" (მ.ბროდერიკი)

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მაორობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ჯარადი**" **22.00** გააცინე და მოიგე **23.30** სერ. "**დეტექტივები**" **00.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.30** სერ. "**ქამი ყველილოვისა**" **01.00** სპორტ ტაიმი - დაწყება **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

08.00 მუსიკა **09.00 17.00** **სერიალი** "**ლენა**" **10.00 18.00 სერიალი** "**ვინტალისტი**" **11.00, 15.00, 00.15** მხ/ფ **12.30, 16.30, 19.30** ბაკიფტ თეწკშუთ **13.00, 21.00 სერიალი** "**ინტერესის ობიექტი**" **14.00** სტილის სამყარო **19.00** პეპლის ეფექტი **20.00** დ/ფ **22.00** MTV **23.45** პოპკორნი **02.50** მუსიკა

06.10 საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**აურზაური სალხინთში**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ანალგაზარდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" **13.30** კონცერტი - ჯანო ბაგრატიონის საღამო **15.05** სალუნი **15.25** სპექტაკლი - "**ძველი ქალი**" **17.20** დეკორატიული ფლორა **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი ათოქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მეველდი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** ღირსი ასურელი მამა ისიდორე სამთავნელი **22.25** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" შ ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ისტორია ეპილოგის გარეშე" ნიკო ნიკოლაძე **00.05** სიახლენი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ბრაფი მონტე კრისტო**" შ ნაწ.

მაესტრო **7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**კატის თვალი**" **8.10** ფარული კამერა **8.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **10.05, 11.05** **სერიალი** "**სიყვარული და ღირსება**" **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.40, 16.05, 17.05 სერიალი** "**1001 ღამე**" **18.40, 19.08, 20.07 სერიალი** "**ქუზი და გუნეი**" **19.03** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან" **22.15 სერიალი** "**კარტ სიბი და ზარა**" **23.20 სერიალი** "**დიდებული საუკუნე**" **1.40 სერიალი** "**რთული გზა**" **3.20** ბრძოლა წესების გარეშე

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7399	ევრო — 2.2493
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8252	100 რუსული რუბლი — 4.6207

ამინდის პროგნოზი 15 სექტემბრისთვის

კალეიდოსკოპი

დეპარდიე დღეში 14 ბოთლ ალკოჰოლს იღებს

ფრანგმა მსახიობმა ჟერარ დეპარდიემ აღიარა, რომ მოწყენილობისგან თავის დაღწევაში მას ალკოჰოლი ეხმარება. მისი თქმით, როდესაც მოწყენილია, საკუთარი თავის კონტროლს კარგავს და მაშინ შეუძლია, დღეში 14 ბოთლი სპირტიანი სასმელი დალიოს.

– როდესაც მოწყენილი ვარ, ვსვამ, ხოლო როდესაც დალევას ვიწყებ, ისე არ ვსვამ, როგორც ამას ნორმალური ადამიანი აკეთებს. შემიძლია, დღეში 12, 13, 14 ბოთლი დავლიო. ექიმებმა მთხოვეს, მათთვის მომეთხრო ალკოჰოლის მიმართ ჩემს ლტოლვაზე და მე მათ ვუპასუხე: „უბრალოდ, ასე ხდება“. – განაცხადა მსახიობმა.

მისი თქმით, ასეთ დღეს ის შამპანურით ან წითელი ღვინით იწყებს, რომელსაც ჯერ კიდევ დილის 10 საათამდე იღებს.

– შემდეგ ისევ შამპანური, შემდეგ პასტისი, ზოგჯერ ნახევარი ბოთლი, სადილობის დროს ორ ბოთლ ღვინოს ვსვამ. დღის მეორე ნახევარში ისევ შამპანური, ლუდი და პასტისი, რომელსაც 17:00 საათამდე ვასვამ. საღამოს არაყი ან ვისკი, – ამბობს დეპარდიე.

ამასთან, 65 წლის მსახიობმა აღნიშნა, რომ ექიმებმა მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ალკოჰოლის მიღებისგან თავის შეკავება ურჩიეს.

– და მაინც, რაც არ უნდა იყოს, მე არ მოვკვდები. ახლა არა. კვლავაც თავს ენერგიულად ვგრძნობ, – დაამატა მსახიობმა.

ამერიკელი პასტორი დააპატიმრეს

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ კოლუმბიის შტატის პასტორი ორი კვირით საპატიმროში გაგზავნა ღვთის მსახურების მეტისმეტად ხმამაღლა ჩატარების გამო. ჯონი კლარკი იმის გამო დაისაჯა, რომ ის ღვთის მსახურების დროს ეკლესიაში ხმის გამაძლიერებელს იყენებდა.

ეკლესიის მეზობლად მცხოვრებლები იმის გამო ჩიოდნენ, რომ იქიდან მთელი ორი წლის მანძილზე მეტად ხმამაღალი ხმები გამოდიოდა. ამ დროის განმავლობაში ეკლესიაში, სულ მცირე, 50-ჯერ მაინც იყო მისული. ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავდნენ, რომ ეკლესიიდან ძლიერი ხმაური დილით ადრე და გვიან ღამით გამოდიოდა.

ადრე ეკლესიას ხმაურის დაწესებული ნორმის დარღვევისთვის რამდენჯერმე მოუხდა ჯარიმის გადახდა.

– ვერ ვიჯერებ. ღვთის მსახურებისთვის დაპატიმრება, რა იქნება შემდეგ? – განაცხადა პასტორის მეუღლემ გარიეტ კლარკმა, რომელიც ეკლესიაში ღვთისმსახურებას მეუღლესთან ერთად ატარებს. ასევე მისი თქმით შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად ეკლესიის კედლების ხმის ჩამხშობი მასალებით დაფარვა მიაჩნია, მაგრამ ეკლესიას ამის თანხა არ გააჩნია.

მოზარდი ულირსი ქმედებისთვის დააკავეს

ამერიკის პენსილვანიის შტატში მცხოვრებ მოზარდს სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა ქრისტეს ქანდაკებასთან შეუფერებელი სურათის გადაღებისთვის. როგორც ტელეარხი კრონ 4 იუწყება, ყმაწვილმა ფეისბუქში განათავსა ფოტოსურათი, რომელშიც ის ძეგლთან სექსუალური აქტის იმიტირებას აკეთებდა, რომელიც მის მშობლიურ ქალაქ ევერესტში დგას. აღნიშნული ძეგლი ადგილობრივი ქრისტიანული ორგანიზაციის „სიყვარული ქრისტესთვის“ შენობის წინაა მოთავსებული.

სავარაუდოდ, მოზარდს ორ წლამდე პატიმრობა ემუქრება. უცნობია, თუ რამ უბიძგა მოზარდს ასეთი საქციელისკენ.

სისხლის სამართლის საქმეს „თაყვანისცემის ობიექტის შებილწვისთვის“ ოჯახურ საქმეთა სასამართლო განიხილავს. სასამართლო პროცესის გამართვის თარიღი უცნობია. თუ სასამართლო მოზარდის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, მას სასჯელის მოხდა არასრულწლოვანთა გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოუწევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თიკა ჯამბურია ევროპის მოედანზე იმღერებს

ეკა ირემაშვილი

მომღერალი თიკა ჯამბურია ევროპის მოედანზე იმღერებს. კონცერტი 15 სექტემბერს ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გაიმართება და მასში პროფესიონალ მომღერლებთან ერთად სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას.



ვარდების მოედანზე დაგეგმილ გრანდიოზულ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თიკა ჯამბურია, მეგი გოგიტიძე, მარიკო ლეჟავა, მარიკო ჩაჩხიანი, ლიკა ლემონჯარია, ანსამბლი „სეუ“, თსუ „გორდელა“, თსუ „არტი“, ანსამბლი „მერანი“ და კონსერვატორიის ჯაზბენდი. კონცერტში მონაწილეები ევროპის მოედანზე შეკრებილი მსმენელისთვის ცნობილ სიმღერებთან ერთად ახალ მუსიკალურ კომპოზიციებსაც შეასრულებენ.

როგორც კონცერტის ორგანიზატორები აღნიშნავენ, პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პატრონაჟით განხორციელდება.

ეკო ფანგანი ჟურნალისტებს აფრთხილებს

ეკა ირემაშვილი

მოდელი და ტელეწამყვანი ეკო ფანგანი ჟურნალისტებზე განაწყენებულია. გაბრაზება ჟურნალისტების მიერ ეკოს ასლან აბაშიძის ყოფილ ვაჟთან გიორგი აბაშიძესთან სასიყვარულო რომანით დაკავშირებამ გამოიწვია. გიორგი აბაშიძე წლების განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობდა. მისი საქართველოში დაბრუნების მთავარ მიზეზად ჟურნალისტებმა სწორედ ეკო ფანგანისა და გიორგი აბაშიძის სიყვარული დაასახელეს, რამაც ტელეწამყვანის გაღიზიანება გამოიწვია და მან განცხადება სოციალურ ქსელში საჯაროდ გააკეთა:



„საიდან დავიწყო აღარ ვიცი. ყოველთვის ვერიდები ჟურნალისტებზე რაღაცის დაწერას, თითქმის ყველა მეგობრებში მყავს და ბევრ მათგანს დიდ პატივს ვცემ, როგორც ჟურნალისტს და ადამიანს. მაგრამ უკვე ყელში ამოვიდა ჟურნალისტების დიდი ჯგუფის არაპროფესიონალიზმი და უკაცრავად და სიბანძე! (უწიგნურობაზე, გაუნათლებულობაზე და ელემენტარული გრამატიკის არ ცოდნაზე აღარ ვლაპარაკობ) მეგობრების პირადი ფოტოალბომებიდან ამოღებული ფოტოებით საკუთარი მწირი ფანტაზიით შექმნილი ისტორიების გამოქვეყნება, მეტყველებს ამ ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმზე და ის გვერდები კი, სადაც ეს გადაუმოწმებელი ინფორმაცია იბეჭდება, არის ყოვლად შეუმდგარი საცოდავი ვითომ მედია სივრცე! მართლა ცოდოა ყველა, ვინც ჩემი და გიორგი აბაშიძის უაზრო ისტორია თავისით ააგორა, მეც და გიორგისაც რაღაცები მოგვაკერა და ამდენი თვეა იმეორებს! ფოტო გადაღებულია გაზაფხულზე ჩვენი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე! მას მერე არც მინახავს გიორგი აბაშიძე, თუმცა ბავშვობიდან ვმეგობრობ, რადგან ძალიან ადრე მამაჩემი რამდენიმე წელი აჭარაში მოღვაწეობდა! გასაგებია?! თქვენ ხომ არაფერი გაგეგებათ ჟურნალისტობის და იმას მაინც მიხვდით, რომ თქვენი ბანძი ჭორების გამო, სხვა ადამიანებს, შეიძლება, ზიანი მიადგეს, მაგრამ ამდენი აზროვნების უნარი ვის აქვს! ყველას, ვინც ამ პოსტს თავის თავზე მიიღებს, წარმატებებს ვუსურვებ!“

ილია მეორემ ეთერ კაკულია მოინახულა

ეკა ირემაშვილი

მძიმე სენით დაავადებული ქართველი მომღერალი ეთერ კაკულიას საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ მოინახულა. მის უწმინდესობასთან ერთად მომღერალს სხვა სასულიერო პირებიც ესტუმრნენ.

ეთერ კაკულია რამდენიმე თვეა ავადმყოფობს. მას მძიმე სენი დაუდგინდა. კეთილი ხალხის დახმარებით შეგროვდა საჭირო თანხა და მომღერალი სამკურნალოდ ისრაელშიც წავიდა. ეთერ კაკულიას კოლეგებმა საქველმოქმედო საღამოებიც გამართეს, სპეციალური ანგარიშიც გახსნეს ბანკში და სპეცნომერიც აამოქმედეს, სადაც დარეკვით მომღერალს 1 ლარი გადაერიცხებოდა. ეთერ კაკულია ისრაელიდან იმაზე მალე დაბრუნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. როგორც მომღერალმა განაცხადა, ექიმები იმედებს აძლევენ და გამოჯანმრთელების პირობასაც იძლევიან.

თავად მომღერალი არ მალავს, რომ დიდი ხანია ავადაა, თუმცა მდგომარეობის გაუარესებამდე ამ ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავს იკავებდა. საბოლოოდ, როცა მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, მისმა მეგობრებმა ქართველი საზოგადოება საქმის კურსში ჩააყენეს და თანხაც უმოკლეს დროში აგროვდა.

ეთერ კაკულია აცხადებს, რომ საკმაოდ მოტყდა და ავადმყოფობამ შეაშინა. მომღერალი, რომელიც მთელი ცხოვრება იმას ამბობს, რომ 102 წლამდე უნდა იცოცხლოს და მისი იუმორი და ხალისიანი ხასიათი ყველასთვის გადამდებია, ავადმყოფობამ ცოტა შეაშინა.

მომღერალი ამ ეტაპზე მკურნალობას სახლში განაგრძობს, თუმცა ეტაპობრივად ისრაელში ჩასვლა ისევ დასჭირდება.

იუმორი

მეზობელი მეზობელს ეუბნება:

– ძვირფასო, შენს კატას სტერილიზება გაუკეთე, თორემ შეგვაწუხა თავისი სერენადებით.

– უმჯობესი იქნება, თუ თქვენს ქმარს გაუკეთებთ სტერილიზებას, თორემ ყელში ამოვიდა თავისი ხელების ფათურით.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ რა, უნივერსიტეტში არ იყავი?

– რატომ? დღეს ხომ 43 აგვისტოა?

– დღეს 12 სექტემბერია.

●●●

დილით ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, წუხელის დამესიზმრა. რომ ძვირფასი ბეჭედი მიყიდე.

– თუ კარგად მოიქცევი, შემდეგი სიზმრის დროს ახალ ძვირფას ქურქს გაჩუქებ, – უპასუხა ქმარმა.

●●●

მამაკაცი მხოლოდ სამ შემთხვევაში სვამს: როდესაც ცუდ ხასიათზეა – მწუხარებისგან, როდესაც კარგ ხასიათზეა – ბედნიერებისგან და როდესაც ნორმალურადაა – მოწყენილობისგან.

●●●

ექიმი ნაცნობს ურჩევს:

– თუ ღამით თავს ცუდად გრძნობ, „პახმელიაზე“ ხარ, ვერ იძინებ, მაშინ ცოტა არაყი დალიე და დაწექი დასაძინებლად!

– კი მაგრამ, როგორ დავწვე დასაძინებლად, თუ არაყი დასალევი იქნება?!

●●●

ქმარი მივლინებაში წავიდა. ცოლს საყვარელი ესტუმრა. ერთი კვირის შემდეგ კარზე ზარის ხმა გაისმა.

– ასე ადრე რატომ დაბრუნდა? – ამბობს შეშინებული ქალი.

– მადლობა ღმერთს! როგორც იქნა! – გაიფიქრა საყვარელმა.

●●●

განქორწინებული ქალი მამაკაცს, რომელზეც გათხოვებას აპირებს, უყვება:

– ჩემს ყოფილ ქმარს იმის გამო გავშორდი, რომ ყოველდღე მაღაზიაში მგზავნიდა არყის საყიდლად!

– ოჰ, ის უნამუსო! მაგასაც კაცი ჰქვია, რა!.. – ეუბნება მამაკაცი.

– იცი, ეს როგორი დამამცირებელია!

– შენ მაგაზე არ ინერვიულო, მაღაზიაში მე თვითონ ვივლი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



ჯოსვოხდი

თარაზულად: 1. რვიანის ფორმის ფუნთუშა; 5. ქიმიური ელემენტი; 7. საწვიმარი; 9. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. მომხმარებლის (კლიენტის) მისაზიდი საშუალება; 12. ეგვიპტელთა ერთ-ერთი ღმერთი; 13. რისამე მარაგი; 16. ქართული ტელეკომპანია; 17. შოტლანდიური ნაგაზი; 18. კუზიანი კურდღელი; 20. მსახური ქალი ჰარამხანაში; 22. გამის პირველი, ძირითადი ბგერა; 23. მთავარი სისხლძარღვი; 24. კუთვნილი თანხის წინასწარ აღებული ნაწილი; 25. ჩოგბურთის მოედანი.

შვეულად: 2. ქალაქი რუსეთში; 3. ელექტრულად ნეიტრალური ელემენტარული ნაწილაკი; 4. სისულელე; 5. ხილი; 6. საგნის კონტური; 8. გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი (XIXს.); 11. ანატოლი ... (დიდოსტატი); 14. კრების, სხდომის ჩატარების წესი; 15. პარაზიტი ჭია; 16. კონსულების მმართველობის პერიოდი ძველ რომსა და საფრანგეთში; 17. სხეულის ნაწილი; 19. გზების დასაგებად ხმარებული ფისი; 21. საფოსტო ნიშანი; 22. ტყის მსხალი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

ასტროპროგნოზი 15 სექტემბრისთვის

ვერძი – სიყვარულში გიმარჯოლებთ, გელით საჩუქარი. **ჯარო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **გუჯები** – ნურავის ენდობით, ახლობლების გარდა. **კირჩხიბი** – ისე მოიქეცით, როგორც გული გეტყვით. **ლომი** – დიდი წინსვლა გელით. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – თქვენი ოპონენტი გებრძვით, ფრთხილად იყავით. **ღრიანკალი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, იაქტიურეთ. **თხის რქა** – კარგი ამბები და სიახლე გელოდებათ. **მერწყული** – ეს დღე ახლობლებსა და მეგობრებს დაუთმეთ, მათგან კარგ ამბებს გაიგებთ. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!